ხელისუფლებას ნიჭიერება აღარ ჰყოფნის A3

"გაუნათებელი სინათლე" - "ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლის შემდეგ A4

მოსკოვში არჩევნების წინ ჟურნალისტებს ასამართლებენ A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 20 ოქტომბერი, 2003 წელი. №276 (488) — ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## "ერთობა" დასაყრდენს არამხოლოდ "ედინაია როსიას" სახით ეძებს

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც დღეს მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს, პრორუსულადაა განწყობილი. მათთვის რუსეთთან აქტიური კონტაქტების მქადაგებელი ძალა, პოპულარობის გარდა, რეალურად ავტორიტეტსაც იძენს. ასე რომ, ქართველმა ლიდერებმა კარგად იციან, ვის ესტუმრონ არჩევნების წინ და სად მოსინჯონ დასაყრდენი.

A3

### ეკონომიკა

## შევარდნაძე შიდასახელისუფლებო სიტუაციას "ალაგებს" და ბიუჯეტზე პასუხისმგებლობას "ანაწილებს"

სახელმწიფო კანცელარიაში, ოპოზიციაზე თავდასხმებს შორის გამოცხადებული "შესვენებების" დროს, ახალი "მოძრაობები" შეინიშნება - საქართველოს პრეზიდენტი სსფ-ს ვიზიტის წინ შიდასახელისუფლებო სიტუაციას "ალაგებს" და პასუხისმგებლობას "ანაწილებს".

A4

### უცხოეთი

## ნეტარი დედა ტერეზა

გუშინ რომის პაპმა 300 ათასი მაყურებლის თვალწინ დედა ტერეზა ნეტარად შერაცხა, რაც პირველი ნაბიჯია მისი წმინდანად გამოცხადების გზაზე.

A5

### საზოგადოება

## „მეუღლეებისგან დამოუკიდებელი„ ქალები არ ხმაურობენ და არც ნერვებს უშლიან ქმრებს

მრეწველების მეუღლეებმა, დაახლოებით, 8 წლის წინ გადაწყვიტეს, ზურგი გაუმაგრონ მამაკაცებს და მათთან ერთად სხვა უღელიც იტვირთონ; ამისთვის მათ სპეციალური კლუბიც კი დააარსეს, რომელიც ოქტომბერში არასამთავრობო ორგანიზაციად ოფიციალურად დარეგისტრირდა.

A6

### სამართალი

## კალაძის გატაცების საქმეში ახალი დეტალები გაჩნდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის განცხადებით, ორწელიწადნახევრის წინ გატაცებული და მთელი ამ ხნის მანძილზე უგზო-უკვლოდ დაკარგული მძევლის, ლევან კალაძის საქმეში ახალი დეტალებია.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | |
| ქუთაისი | 22 | |
| ბათუმი | 21 | |
| სოხუმი | 19 | |
| თელავი | 15 | |
| ზუგდიდი | 22 | |
| გორი | 16 | |
| ახმეტა | 16 | |
| ჭიათურა | 19 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0850 |
| ევრო | 2.4169 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4903 |
| რუბლი | 0.0693 |

# სკანდალი, რომელსაც, შესაძლოა, არჩევნების გადადება მოჰყვეს

თამარ მჭედლიშვილი

*ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულმა სკანდალმა პიკს მიაღწია – ხელისუფლება უკვე იძულებულია, ხმამაღლა აღიაროს, რომ ამომრჩეველთა დღემდე არსებული მონაცემები გაყალბებულია, თუმცა ჩინოვნიკური ელიტა არ აპირებს, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს. მეტიც – სახელმწიფო მინისტრი და შინაგან საქმეთა სამინისტრო თითს "გარკვეული ოპოზიციური პარტიებისაკენ" იშვერს, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი პასუხისმგებლობას ძველი ცესკო-ს ხელმძღვანელობას და, უშუალოდ, იმ დროს ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ზესაშვილს აკისრებს. არჩევნებამდე კი სულ ორიოდე კვირაა დარჩენილი და ამომრჩეველთა სიების გადაუმოწმებლობის შემთხვევაში, იგი გაყალბებისთვის განწირულია. კულუარებში კი სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები არჩევნების ორი კვირით გადადების თაობაზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნინო ბურჯანაძე და "დემოკრატები" ცესკო-ში არჩევნების გადარჩენის წინადადებებით წარდგნენ.*

# აპოლიტიკური პულრეიტინგი

## ჭრიკიშვილი- ახალი სახე სახელისუფლებო ბლოკში

რა სჭირდება ქართულ ბილიარდს და - პოპულარიზაცია; რა სჭირდებათ არჩევნების წინ ქართველ პოლიტიკოსებს და - დასვენება; რა სჭირდება ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას და - ნახოს, რომ პარტიები ბრძოლის ველზე მხოლოდ აგრესიულები არ არიან, თუნდაც, კიებით ხელში, ბილიარდის მაგიდასთან.

ეს სურვილები გუშინ ვერაზე, საბილიარდო "ფიქრის გორაში" ახდა.

"24 საათმა", ბილიარდის ფედერაციამ და საბილიარდო "ფიქრის გორამ" ბილიარდის "წინასაარჩევნო" ტურნირი ჩაატარეს პულში.

გაზეთმა შეარჩია რეიტინგით პირველი რვა პოლიტიკური ბლოკი-პარტია და ტურნირში მონაწილეობა შესთავაზა. ზოგმა ხუმრობად ჩათვალა, ზოგმა უდროობა მოიმიზეზა, ზოგმა – თამაშის უცოდინარობა. მემარჯვენე ნონა გაფრინდაშვილს გული დაწყდა, სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას და თამაშის კლასსაც ვაჩვენებდი, მაგრამ 19 ოქტომბერს ზუგდიდში უნდა ვიყოო.

გაგრძელება B5 გვერდზე



*წერეთლის და დავითაშვილის დავა ბოლოს შერიგებით დასრულდა.*

# „ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურებმაც დაიდეს წილი"

ლელა მჭედლიძე
ბაქო-თბილისი

*"აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ეტიბარ მამედოვი პრეზიდენტობის ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი გახლდათ. გარდა ამისა, იგია იმ ოპოზიციური პარტიის ლიდერიც, რომელსაც, აზერბაიჯანელების აზრით, ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, ისა გამბარის პარტიასთან გაერთიანებულიყო. "24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს ეტიბარ მამედოვთან.*

**- რამდენად სერიოზული გართულება მოჰყვება იმ მოვლენებს, რომელიც არჩევნების შემდგომ პერიოდში განვითარდა აზერბაიჯანში, ბაქოში?**

- ის, რაც ბოლო დღეებში ქვეყანაში ხდება, კარგს არაფერს მოიტანს, რადგან ასეთი ამბები ძალზე საშიშია.

გაგრძელება A8 გვერდზე



*ბაქოში არეულობების დროს 300-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.*

## "სამართლიანი არჩევნების" განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მარიამ ცაცანაშვილისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა დევდარიანის 18 ოქტომბრის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება "სამართლიანი არჩევნების" უკიდურეს აღშფოთებას იწვევს.

პრესკონფერენციაზე შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ძველი ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიების გაყალბებაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ცესკო-სთვის გადაცემული სიები რადიკალურად განსხვავდება იმ სიებისაგან, რომლებიც დღესდღეობით აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციებს, რომ სიები შეცვლილია ძველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ იმ მოტივით, რომ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაკისრებოდა.

საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის მოხელეების მხრიდან ამგვარი განცხადება იმ ორკვირიანი მცდელობის შემდეგ, რაც ყოველმა ამომრჩეველმა გასწია ამომრჩეველთა სიის გადამოწმებისთვის, ავლენს თითოეული ამომრჩევლისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას. ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული იმგვარი ქაოსი, რის წარმოშობაშიც დიდია ხელისუფლების, სულ მცირე, არაეფექტური მოქმედების წილი, ქმნის საშიშროებას, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ზურგი აქციოს მთლიანად საარჩევნო პროცესს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ახალი პროვოკაცია რუსეთიდან

*რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში გუშინ ახალი სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. რუსეთის მასმედიის ცნობით, ჩეჩენ საველე მეთაურს რუსლან გელაევს ომი მოსწყინდა, იგი ახალი ცხოვრების დასაწყებად ემზადება, თუმცა, მშობლიურ ჩეჩნეთში დაბრუნებას არ აპირებს.*

ინგა ალავიძე

**"რუსლან გელაევმა, რომელიც ამჟამად თავის ჯგუფთან ერთად პანკისის ხეობაში იმყოფება, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ჩეჩნეთში აღარ დაბრუნდება,"** - განაცხადა ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა ილია შაბალკინმა.

მისი თქმით, ასლან მასხადოვი, შამილ ბასაევი და ბანდფორმირებათა სხვა მეთაურები დიდი ხანი ელოდნენ გელაევის ჩეჩნეთში დაბრუნებას. გელაევმა თავის თანამებრძოლებს დაბრუნების პირობაც კი მისცა, მაგრამ როგორც ჩანს, საბოლოოდ, გადაწყვეტილება შეცვალა. **"ეს საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის - პანკისელი ქისტების მონაყოლითაც დასტურდება, რომლებიც დროგამოშვებით ჩადიან ხოლმე ჩეჩნეთში,"** - განაცხადა შაბალკინმა, რომლის ინფორმაციითაც, პანკისელი ქისტების თქმით, ახლახან გელაევმა კიდევ ერთი დიდი სახლი იყიდა ქალაქ რუსთავში, გვარი გადაიკეთა და საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.

გაგრძელება A7 გვერდზე

## „კრემლის კაცის" ინაუგურაცია საიდუმლო ვითარებაში გაიმართა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული აჰმად კადიროვის ინაუგურაცია შედგა. როგორც ცნობილია, მან ეს ტიტული ორი კვირის წინ გამართულ არჩევნებში მოიპოვა, რომელსაც საერთაშორისო დამკვირვებლებმა და დასავლეთმა საკმაოდ მკვეთრი შეფასება მისცეს. ასეა თუ ისე, ჩეჩნეთის მესამე პრეზიდენტის წოდება ახლა "კრემლის კაცს" ეკუთვნის. თუმცა, თავისი გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია ასლან მასხადოვს, რომელიც რუსეთის არმიის წინააღმდეგ მთებიდან აწარმოებს ბრძოლას. "კრემლის კაცმა" კი გუშინ ფიცი დადო, რომ ჩეჩენ ხალხს მშვიდობას და კეთილდღეობას მოუტანს და სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოს ერთგული იქნება.

აღსანიშნავია, რომ კადიროვის საინაუგურაციო ცერემონიის ადგილი ბოლო წუთამდე გასაიდუმლოებული იყო. რუსული მასმედიის ცნობით, კადიროვმა საზეიმო ფიცი გუდერმესის საქალაქო ადმინისტრაციის შენობაში დადო. როგორც ჩანს, გროზნოში მას საკუთარი თანამემამულეებისგან მოულოდნელი აქციების მოწყობის შეეშინდა. ჩეჩენი მებრძოლები კი, პროტესტის გამოსახატად მშვიდობიან აქციებს რომ არ აწყობენ, ყველასათვის ცნობილია.

გაგრძელება A5 გვერდზე

## საქართველოს რუსეთის წინაშე პოლიტიკური ავანსის გაღება მოუწევს

თამარ ხორბალაძე

გასული კვირის მთავარი მოვლენა უდავოდ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი გახლდათ, რომელიც, სავარაუდოდ, გაცილებით სერიოზულ პოლიტიკურ შედეგებს გვიქადის, ვიდრე - წმინდა ეკონომიკურს.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას საქართველოს ხელისუფლებამ, ამ ფორუმის სახით, მშვენივრად ითამაშა საქართველოს მოსახლეობისა და მეწარმეების ნოსტალგიურ გრძნობებზე, ცხადია, რომ უახლოეს პერიოდში ამ ფორუმს, სტრატეგიული დარგების რუსული ჯიბისკენ გადანაცვლების გარდა, სხვა ხელშესახები ეკონომიკური შედეგი საქართველოსთვის ვერ მოჰყვება. თუმცა, ამას ცალკეულ ბიზნესმენებზე ვერ ვიტყვით. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო იყო გასულ კვირას პრეზიდენტის მძახლის - საქართველოს სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის გურამ ახვლედიანის სატელევიზიო კომენტარი, რომელმაც რუსული კაპიტალის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებულ საფრთხეზე საუბრისას საზოგადოება იმით დაამშვიდა, რომ **"რუსულ მხარეს ქართველი პარტნიორები ეყოლება"**. თუ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დამსწრე საზოგადოების პარტიულ სიმპათიებს გავითვალისწინებთ, ნათელია - რუსული ეკონომიკური წრეების "პარტნიორი" ვინ შეიძლება გახდეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ფოტორეპორტაჟი A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ამბები

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 - B7 ტოტო-ლოტოს ცხრილები B8 სხვადასხვა

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, საზოგადოების მოთხოვნებისა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე საქართველოში არსებული სარეკლამო ბაზრის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად მოცვის და ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 45[1] მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში კომისია)

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი პირობებით:

**ა)** 1 გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | სიხშირული არხი | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის სიმ. რად. კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | ფოთის ანძა | 41E41; 42N09 | 60 | 12 | 0.1 | 15 |

შენიშვნა:

1. სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით. აღნიშნულ მე-9 ზონაში გაერთიანებულია: ქ.ფოთი, ხობის, სენაკის, მარტვილის, აბაშის და ხობის რაიონები.

2. გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა – სამაუწყებლო ზონა 9

**გ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2003 წლის 19 დეკემბრის 12 საათი;

**დ)** გადაწყვეტილების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 30807.00 (ოცდაათი ათას რვაას შვიდი) ლარით;

**2.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი პირობებით:

**ა)** 1 გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | სიხშირული არხი | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის სიმ. რად. კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | ყვარელი საბაგიროს ანძა | 45E46; 41N58 | 45 | 103.8 | 0.25 | 15 |

შენიშვნა:

1. სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით. აღნიშნულ მე-3 ზონაში გაერთიანებულია თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თიანეთის რაიონები.

2. გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა – სამაუწყებლო ზონა 3

**გ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2003 წლის 19 დეკემბრის 12 საათი.

**დ)** გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 1721.25 (ათას შვიდას ოცდაერთი) ლარით;

**3.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**4.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**5.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს საყალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**6.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 45[7] და 36[7] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"-„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სამაუწყებლო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების 1-ლ ან მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**7.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

**8.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**9.** ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**10.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, აგრეთვე მასში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**11.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-4 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-9 და მე-10 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**12.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია – ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**13.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**14.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 45[5] მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი). საკონკურსო ბიჯი უცვლელია.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

**15.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

**16.** სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

**17.** კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", „რეკლამის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**19.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით.

**20.** კომისია უფლებამოსილია კონკურსში გამარჯვებულს განუსაზღვროს სამაუწყებლო ზონებში შემავალი იმ ტერიტორიების დაფარვის გრაფიკი, სადაც მაუწყებლობა შეზღუდულად, ან საერთოდ არ ვრცელდება;

**21.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**22.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**23.** კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**24.** ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს:

ა) წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად - 2003 წლის 7 ნოემბრის 17 საათამდე;

ბ) წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად - 2003 წლის 7 ნოემბრის 17 საათამდე;

**25.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7 ა) 6 თვის ვადაში;

**26.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42
ტელ.: 921667 / 932338 ფაქსი: 921625

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი დასავლეთ საქართველოში გუშინ ბაღდათის რაიონის ესტუმრა და ადგილობრივ მოსახლეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში "ლეიბორისტების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს ყოფილი უფროსი [illegible] წარუდგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" მიიჩნევს, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში 7-პროცენტიან ბარიერს 4 პოლიტიკური ძალა გადალახავს. "ლეიბორისტების" ერთ-ერთი [illegible] "ლეიბორისტები" და "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ 45 წლის [illegible] დანიშნა. [illegible] დანიშვნამდე ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, მანამდე კი ქალაქ ცხინვალის მილიციის უფროსი იყო. კოკოითმა სხვა საკადრო ცვლილებებიც განახორციელა: განათლების მინისტრად დანიშნა ალა ჯიოევა, ჯანდაცვის მინისტრად – ჯემალ ჯიკაევი, ფინანსთა მინისტრად – აზა ხაბელოვა, ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ – სერგეი პლიევი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, „აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე 20 ოქტომბერს ამომრჩეველთან ფართომასშტაბიანი შეხვედრის გამართვას და პარტიის მიერ ბოლო წლებში ხორცშესხმული საქმეების გაცნობას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მარნეული.** 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში „დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ქვემო ქართლის მოსახლეობას „შევარდნაძის, მამალაძის და სააკაშვილის ერთად დამარცხებას" ჰპირდება. „აღორძინების" ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ გუშინ მარნეულსა და ბოლნისში მოსახლეობასთან შეხვედრისას მათ საკუთარი პარტიის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატები (ნოდარ მუმლაძე – მარნეული; თემურ სვანიძე – ბოლნისი) წარუდგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კოალიცია "საქართველოს ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეა" აცხადებს, რომ სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" ინვალიდებისა და ვეტერანების პროშევარდნაძისტულ ყრილობას ამზადებს თბილისში და ყველას მოუწოდებს, რომ არ წამოეგონ წინასაარჩევნოდ "ნაირ-ნაირ დაპირებებს" და ამ შეკრებაზე არ მივიდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველ მშვიდობისმყოფელთა მორიგი ქვედანაყოფი ორშაბათს, ორკვირიანი მომზადების მიზნით, გერმანიაში გაემგზავრება, საიდანაც ნოემბრის დასაწყისში კოსოვოში გადაისვრიან. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, კოსოვოში 150 სამხედრო მოსამსახურისაგან შემდგარი ასეული გაემგზავრება, რომლებიც იქ გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში მაისიდან მყოფ ქართულ სამშვიდობო ქვედანაყოფს შეცვლიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გოჩა ფიფიას მიერ 17 ოქტომბერს დაწყებულ შიმშილობის აქციას, რომელიც ხელისუფლების მიერ საარჩევნო სიების მოსალოდნელი გაყალბების წინააღმდეგ არის მიმართული, გუშინ მხარი "აღორძინების", "ახალი მემარჯვენეების", "ნაციონალური მოძრაობის" და "თანხმობისა და სამართლიანობის კავშირმა" დაუჭირეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ვლადიმირ რადჩენკო საქართველოში ჩამოვა. ვიზიტი მიმდინარე წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში არის მოსალოდნელი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მერაბ კოსტავას საზოგადოების" ლიდერი ვაჟა ადამია მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რიცხვი 235-დან 120-მდე უნდა შემცირდეს. მისი აზრით, პარლამენტი მხოლოდ პარტიული პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობის მხარდამჭერი საარჩევნო გაერთიანება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე 40-50 მანდატის მოპოვებას შეძლებს. მისი აზრით, ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს უმრავლესობის - 118 მანდატის მოპოვებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე "გორში და თელავში ნამდვილი სამოქალაქო ომის მოწყობას აპირებს", რასაც "ნაციონალური მოძრაობა" არ დაუშვებს. დაპირისპირება იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუ ხალხი მასობრივად მივა საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან და ადგილობრივ გამგებლებს არჩევნების გაყალბების საშუალებას არ მისცემს, - განაცხადა სააკაშვილმა კვირას გორში, სადაც იგი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მისი მტკიცებით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გაცემული აქვს დავალება, რომ არჩევნები სახელისუფლებო ბლოკმა "ახალმა საქართველოსთვის" შეიძლება დათმოს ყველგან, თბილისის, გორის და თელავის გარდა. **პრაიმ-ნიუსი**

# სკანდალი, რომელსაც, შესაძლოა, არჩევნების გადადება მოჰყვეს

პირველი გვერდიდან

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სახელისუფლებო ბლოკში უკვე რამდენიმე დღეა, არჩევნების გადადების თაობაზე მსჯელობა მიმდინარეობს. მუშავდება სცენარი, რომლის თანახმად, ბლოკის ლიდერებმა, ასევე, სახელმწიფო მინისტრმა თხოვნით უნდა მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს არჩევნების ორი კვირით გადადების თაობაზე. ეს დრო კი ხელისუფლებამ ოპოზიციის წინააღმდეგ შავი პიარ-კამპანიისთვის უნდა გამოიყენოს.

ჩვენი ინფორმაციით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კარგად არის ინფორმირებული ამ სცენარის თაობაზე, თუმცა მისი პოზიცია ხელისუფლებისგან რადიკალურად განსხვავდება - იგი არჩევნების გადადების კატეგორიული წინააღმდეგია და აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოგვარდეს. სხვათა შორის, მან ასეთი განცხადება ცესკო-ს გუშინდელ სხდომაზე გააკეთა, როდესაც კომისიის წევრები სწორედ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე ბჭობდნენ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ცესკო-მ ამომრჩეველთა სიების დაზუსტება 26 ოქტომბრამდე გადაწია.

ყველა პოლიტიკური ძალა საბოტაჟად ნათლავს იმას, რაც ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით მოხდა, თუმცა კულუარებში მოარული ვერსიები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია.

ოპოზიციონერთა მტკიცებით, ამომრჩეველთა სიების გაყალბება თავიდანვე იყო დაგეგმილი და იგი პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი სპეციალური სამთავრობო ქვეკომისიის საქმიანობით დაიწყო - იმ ქვეკომისიისა, რომელსაც დღეს უკვე იუსტიციის მინისტრის პოსტზე წარდგენილი მარიამ ცაცანაშვილი თავმჯდომარეობდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უშუალო შემსრულებლის ფუნქცია იტვირთა და ცესკო-ს გაყალბებული სიები გადასცა. თვენახევრის განმავლობაში ეს სია ცესკო-ს იმდროინდელი თავმჯდომარის გია ზესაშვილის კაბინეტში იდო და მხოლოდ 15 აგვისტოს გადაეცა არასამთავრობო ორგანიზაცია IFS-ს, რომელსაც ცესკო-სთან ოფიციალური კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ამომრჩეველთა მონაცემების ბაზის შექმნაზე.

როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი გიორგი სეხნიაშვილი აცხადებს, მან თბილისელ ამომრჩეველთა მონაცემები სწორედ 15 აგვისტოს მიიღო და მხოლოდ ეს სიები იყო კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი, სხვა რაიონებიდან ჩამოსული ინფორმაციები კი აკინძული დოკუმენტაციის სახით იყო წარმოდგენილი. მისივე თქმით, IFS-ი მზად არის, გამოძიებას პირველივე მოთხოვნისას წარუდგინოს ცესკო-დან მიღებული კომპაქტ-დისკი. **"მე ვიცი, რა იყო ამ კომპაქტზე, მაგრამ თავს ვერ დავდებ, რომ ეს სწორედ ის კომპაქტი იყო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცესკო-ს გადაუგზავნა. ჩემთვის ისიც უცნაურია, რატომ იდო ამდენ ხანს ეს მონაცემები ცესკო-ში. ეს, ალბათ, გამოძიებამ უნდა გამოიკვლიოს,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გიორგი სეხნიაშვილმა.

რაც შეეხება სახელისუფლებო ბლოკის ვერსიას (უნდა ითქვას, რომ იგი, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დაუჯერებლად ჟღერს): ბლოკის წარმომადგენელთა ლოგიკით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ზუსტად 2 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მაშინდელ ხელმძღვანელობას ყველა ის მონაცემი გადასცა, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში აგროვებდა. ცესკო-ში თავი მოიყარა, აგრეთვე, იუსტიციისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებიდან მისულმა ინფორმაციებმა. კომისიამ ყველა ეს მონაცემი IFS-ს გადასცა.

საგულისხმოა, რომ მომხდართან დაკავშირებით საკმაოდ მკაფიო პოზიცია უკავია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს, რომელიც დარწმუნებულია, რომ გაყალბებაზე პასუხისმგებლობა არა შსს-მ, არამედ ცესკო-ს ყოფილმა ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს. იგი კატეგორიულად ითხოვს ამ სკანდალის სასწრაფოდ გამოძიებას და ცალსახად აცხადებს, რომ სიების გადამოწმებისა და დაზუსტების გარეშე არჩევნებზე პასუხიმგებლობას ვერ აიღებს. **"შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალები კარგად არის დამუშავებული,"** – ასეთია მისი პოზიცია.

გუშინ ცესკო-ში მოვლენები საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. ზუსტად თორმეტ საათზე იქ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მივიდა. ორი თავმჯდომარის საუბარი შექმნილ მდგომარეობას შეეხო. ბურჯანაძემ დევდარიანს წინადადებების პაკეტი გადასცა, რომელიც ამომრჩეველთა ერთიანი სიების გადამოწმების ვადის 22-დან 26 ოქტომბრამდე გადაწევას, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადის 48 საათამდე შემცირებას, სასამართლოში გასაჩივრების ვადების 29 ოქტომბრამდე გაგრძელებას ეხებოდა. "ბურჯანაძე-დემოკრატები", ასევე, ითხოვდნენ, იმ საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას, რომლებიც ამომრჩეველთა ერთიანი სიების გადამოწმების პროცესს ხელოვნურად აჭიანურებენ და ა.შ.

სხვათა შორის, შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ასეთი რამ განაცხადა: **"ყველამ უნდა გაიხსენოს, თუ ვინ ხელმძღვანელობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მანამ, სანამ მისი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი გახდებოდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა, დაისვას იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ისეთი სიები შეადგინეს, რასაც, პრაქტიკულად, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლა შეუძლია."**

ნანა დევდარიანი და ნინო ბურჯანაძე ერთსა და იმავე პოზიციაზე აღმოჩნდნენ – ორივემ დამნაშავედ ცესკო-ს ყოფილი ხელმძღვანელობა დაასახელა. ამასთან ისიც ითქვა, რომ ხელისუფლების თანხმობისა და მისგან სათანადო გარანტიების მიღების გარეშე ვერავინ შეძლებდა ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება და რომელსაც საბოტაჟის კვალიფიკაცია ენიჭება.

მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ ცესკო დატოვა, კომისიის წევრები დახურულ კარს მიღმა რამდენიმე საათი კიდევ თათბირობდნენ. შემდეგ კი დაინიშნა სხდომა, რომელიც საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო. კომისიამ მიიღო გადაწვეტილება ამომრჩეველთა სიების გადამოწმების ვადის 26 ოქტომბრამდე გადაწევის თაობაზე, რაც ვითარების გამოსწორების ბოლო მცდელობაა.

და ბოლოს: ორი დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას არასამთავრობო სექტორის მხრიდან საკმაოდ მძაფრი რაქცია მოჰყვა. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" ოფიციალური განცხადებით მიმართა მინისტრს და მას რამდენიმე სერიოზული ბრალდება წაუყენა. განცხადებაში მინისტრის მისამართით დასმულია რამდენიმე შეკითხვა, რომელსაც, ყველა ნიშნის მიხედვით, ნარჩემაშვილი პასუხს არ გასცემს.

არადა, ჩვენთვის ნამდვილად საინტერესო იქნებოდა პასუხი "სამართლიანი არჩევნების" მიერ დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაზე: **"თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთ აქვს უფრო სრულყოფილი და გამართული სიები, მაშინ რატომ არ გადასცემს ამჟამინდელ ცესკო-ს იმ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც თავდაპირველად მიაწოდა ყოფილ ცესკო-ს?"**

ისე კი ჩნდება კიდევ ერთი შეკითხვა, რომლის ადრესატიც არა მხოლოდ ნარჩემაშვილია – რატომ ატყდა ხმაური ასე გვიან? იმიტომ ხომ არა, რომ დროა, ამუშავდეს ხელისუფლების მოქმედების ე.წ. სათადარიგო სცენარი, რომელიც არჩევნების გადადებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნების გაყალბების პროცესს საფრთხე დაემუქრება?

# "სამართლიანი არჩევნების" განცხადება

პირველი გვერდიდან

ძველი ადმინისტრაციის ცუდი მემკვიდრეობის მიუხედავად, საქართველოს ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებელია მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც ყველა ღონე უნდა იხმაროს მდგომარეობის გამოსასწორებლად და არ უნდა ამოეფაროს ცესკო-ს ძველი შემადგენლობის, ანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზურგს. საარჩევნო ადმინისტრაციამ მაქსიმალურად სწრაფად უნდა აღმოფხვრას საარჩევნო სიებთან დაკავშირებული უზუსტობები და გაამართლოს ამომრჩევლის ნდობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეების მიერ გაწეული ძალისხმევა არჩევნების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად უშედეგოდ ჩაივლის.

ჩვენ ვეკითხებით შინაგან საქმეთა მინისტრს:

თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთ აქვს უფრო სრულყოფილი და გამართული სიები, მაშინ რატომ არ გადასცემს ამჟამინდელ ცესკო-ს იმ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც თავდაპირველად მიაწოდა ყოფილ ცესკო-ს?

რა კეთდება, რომ ამომრჩეველთა სიები დაზუსტდეს?

დაიწყეს თუ არა სამართალდამცავმა ორგანოებმა ზემოაღნიშნული ფაქტის გამოძიება და იმის დადგენა, თუ უშუალოდ ვინ ჩაიდინა სიყალბე, ან ვინ შეუწყო ხელი ამომრჩეველთა სიების გაყალბებას?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ ფაქტებზე ამგვარი განცხადებები არ უნდა კეთდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე.

საქართველოს მოქალაქეებს სურთ, დაცული იყოს მათი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. "სამართლიანი არჩევნები" მოითხოვს ყველასგან, ვინც პასუხისმგებელია საქართველოში არჩევნების ჩატარებაზე, უზრუნველყოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ამის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა ამომრჩეველთა სრულყოფილი სიების არსებობაა.

# ჯუმბერ პატიაშვილი მოსკოვს ეწვია

## "ერთობა" დასაყრდენს არამხოლოდ "ედინაია როსიას" სახით ეძებს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში წინასაარჩევნო თანადგომას მარტო საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი ძალები როდი ეძებენ. ამჯერად რუსეთის დედაქალაქს "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი ეწვია.

**"რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება წარმოუდგენლად მიმაჩნია, ამიტომ მოსკოველ კოლეგებთან და თანამოაზრეებთან მჭიდრო კონტაქტები ჩვენი ურთიერთობების გაგრძელების პერსპექტივას იძლევა. გარდა ამისა, არის ერთობლივი პროექტები, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის,"** - განუცხადა "24 საათს" მოსკოვში ჩასულმა ჯუმბერ პატიაშვილმა.

გუშინ დილით "ერთობა" რუსული პროსაპრეზიდენტო პარტიის - "ედინაია როსიას" ოფისში იყო მიპატიჟებული. აქ, რუს თანამოაზრეებთან ერთად, მიმოიხილეს წინასაარჩევნო სიტუაცია საქართველოსა და რუსეთში.

ქართველი პოლიტიკოსები მიპატიჟებულები არიან რუსეთის პარლამენტში. "ერთობის" ლიდერს დაგეგმილი აქვს საუბარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინთან. პატიაშვილის სიტყვებით, აფხაზეთის საკითხზე ქართული მხარის პოზიციის დაფიქსირება ლოშჩინინს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რომ **"განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმების მიუხედავად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პრობლემის მოგვარებში საქართველოში განსხვავებული პოზიციები არ არსებობს".**

"ერთობა" ასევე გეგმავს რუსეთში მცხოვრებ ქართველ ამომრჩეველთან შეხვედრასაც. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. ჩვენი მონაცემებით, მათი უმრავლესობა ოფიციალური თბილისის კურსისადმი შეურიგებელია. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების უდიდეს ნაწილს სწორედ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შეადგენს და იგია დღეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ყველაზე სერიოზული დასაყრდენი. ამიტომ მათი გულის მოგებას ჯუმბერ პატიაშვილიც შეეცდება.

მაგრამ, მეორე საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც დღეს მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს, პრორუსულადაა განწყობილი. თითქმის ყველას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს მიღებული და თავის მეორე სამშობლოდ რუსეთს მიიჩნევს. ცნობილია, რომ ეს ფენა აფხაზეთის სკითხის მოგვარებას და სახლში დაბრუნებას საქართველოში არსებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლას უკავშირებს. მათი სიმპათიები იხრებოდა და იხრება საქართველოს პრორუსული პოლიტიკური პარტიებისაკენ. მათთვის რუსეთთან აქტიური კონტაქტების მქადაგებელი ძალა, პოპულარობის გარდა, რეალურად ავტორიტეტსაც იძენს. ასე რომ, ქართველმა ლიდერებმა კარგად იციან, ვის ესტუმრონ არჩევნების წინ და სად მოსინჯონ დასაყრდენი.

# ხელისუფლებას ნიჭიერება აღარ ჰყოფნის

ეკა კვესიტაძე

ქართული საზოგადოება, დიდი ხანია, გატაცებულია კონსპირაციული თეორიებით. ერი, რომელსაც განმანათლებლობის ეპოქის ყველაზე მთავარი ღირებულებები ყურადღების მიღმა დარჩა და დაავიწყდა, რომ "შენს ბაღს მხოლოდ შენ უნდა მოუარო," დღეს თავის ცუდ ცხოვრებაში ყველას ადანაშაულებს, საკუთარი თავის გარდა.

ეს ფონი ფრიად სახარბიელო აღმოჩნდა გურამ შარაძისნაირი "საზოგადო მოღვაწეებისა" და ავანტიურისტების ასაყვავებლად, რომლებიც ცდილობენ, დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ყველა უბედურების თავი და თავი ევროპელი თუ ამერიკელი მასონები არიან, რომლებიც დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, როგორ წაართვან ქართველ ერს თვითმყოფადობა.

ეს ფონი სახარბიელო აღმოჩნდა ფუნდამენტალისტი მღვდლებისათვის, რათა მორჩილი მრევლისთვის თავზე მოეხვიათ ის ცრურწმენა, რომ საქართველოდან საეკლესიო ნივთების საზღვარგარეთ გატანა და გამოფენა ამ ნივთებისაგან "მადლის გაწოვას" ნიშნავს, რომლის გარეშე საქართველო "პირისაგან მიწისა აღიგვება."

კონსპირაციული თეორიებით გატაცების შედეგია ისიც, რომ ამ ქვეყანაში ნებისმიერ რამეს, ლამის კანალიზაციის მილის გაფუჭებასაც კი, უცხო ქვეყნის აგენტურას აბრალებენ და კონკრეტული დამნაშავის ძიება, საბოლოო ჯამში, ისევ აბსტრაქტული მტრის დადანაშაულებით მთავრდება.

შარაძისნაირი დემაგოგების მიერ შეთქმულების თეორიებით მასების მოხიბვლამ ხელისუფლებასაც მისცა იმედი, რომ მოსახლეობაში თავის თეორიებსაც წარმატებით გაასაღებდა.

რუსეთის აგენტობაში და მოსალოდნელი დესტაბილიზაციის ორგანიზატორობაში პარლამენტის თავმჯდომარის დადანაშაულება ხელისუფლების მხრიდან პირველი მცდელობა იყო, საზოგადოების ზომბირება მოეხდინა.

თუმცა, ერთადერთი, რასაც ამ ხელისუფლებამ ამით მიაღწია, საკუთარი თავის აბუჩად აგდება იყო, და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მას არათუ ქვეყნის მართვა, "ერთი წესიერი ტყუილის" მოფიქრებაც არ შეუძლია.

მიუხედავად ამისა, კანცელარია იხტიბარს მაინც არ იტეხს და შეთქმულების ახალ თეორიას აცხობს, რომლის მიხედვითაც არასწორი საარჩევნო სიები ჯერ "თავისუფალი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოების" ბრალი იყო, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული სიები კომპიუტერში საშინელი შეცდომებით შეიყვანა და ამ შეცდომების დაშვებაში მას "რუსთავი 2"-ის მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამაც დაეხმარა. შემდეგ, როგორც ჩანს, თვით სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებიც კი მიხვდნენ, რომ ეს თეორია არანაირად არ ამართლებდა და უფრო "დამაჯერებელი" ბრალდებები მოიძიეს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე გაახმოვანეს.

ნარჩემაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი ფუნქცია პირნათლად შეასრულა და ზუსტი საარჩევნო სიები შეადგინა, რომელიც შემდეგ ძველმა საარჩევნო კომისიამ გააყალბა. სიების გაყალბებაში კი მთავარი დამნაშავე ოპოზიციაა, რომელიც სამართლიანი არჩევნებით დაინტერესებული არ არის.

ამას მოჰყვა სახელმწიფო მინისტრის განცხადება, რომ გამყალბებლები ოპოზიციაში იმალებიან და მათ ამ დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგონ.

ჯორბენაძისთვის, რომელიც ძალიან მაღალი ჰონორით აკეთებს ასეთ განცხადებებს, ალბათ, ღირს იმის შეხსენება, რომ არასამთავრობო სექტორი, რომელიც გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული, პირადად მასთან აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებდა, დაჟინებით ითხოვდა, რომ დაზუსტებული სიების შედგენა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის დაევალებინათ და სიების შედგენის ბოლო ვადა გაზაფხულისთვის დაედგინათ.

პირადად ავთანდილ ჯორბენაძემ კი არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს პროცესი არ გაჭიანურებულიყო. საბოლოო ჯამში კი პრეზიდენტის დადგენილებით სიების შედგენა მაინც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის პრემიერთან შეკრებილი პოლიციის განყოფილების უფროსები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მათ ამ დავალების შესასრულებლად არანაირი რესურსი არ გააჩნდათ, ხელისუფლებას, ბუნებრივია, გადაწყვეტილება არ შეუცვლია. რადგან სწორედ ის სიტუაცია აძლევდა ხელს, რომლის წინაშეც ამომრჩეველი დღეს, არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, აღმოჩნდა.

თუნდაც მხოლოდ აჭარისა და ქვემო ქართლის "სპეციფიური საარჩევნო სიტუაცია", საშინელი დარღვევებით შედგენილი სიები უკვე ცხადყოფს იმ რეალობას, რომ არჩევნები ნამდვილად ვერ ჩაივლის დემოკრატიულად.

ხელისუფლება კი წინანსწარ ამზადებს იდეოლოგიურ საფუძველს იმისათვის, რომ არჩნევბის შემდეგ, გაყალბებაზე თუ ნებისმიერ საპროტესტო აქციაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას აჰკიდოს.

თუმცა, ასეთი იდეოლოგიური საფუძვლის მომზადების მცდელობა რომ თავიდანვე განწირულია, ამას ეს ხელისუფლებაც უნდა ხვდებოდეს.

მართალია, ქართული საზოგადოება შეთქმულების თეორიების მსხვერპლი ხშირად ხდება, მაგრამ ეს საზოგადოებაც კი საკმარისად ჯანსაღია საიმისოდ, რომ ამ ხელისუფლების ბრიყვული ზღაპრები არ დაიჯეროს.

სხვათა შორის, მაყურებლის მიერ გამოგზავნილი ტექსტური შეტყობინებები, რომელიც "ღამის კურიერის" დროს გადის, ძალიან საინტერესო სურათს აჩვენებს. თუ ამ შეტყობინებების შინაარსს კარგად დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ საზოგადოებაში სამოქალაქო თვითშეგნება თანდათან იზრდება და მოსახლეობის უმრავლესობას ჯანსაღი რეაქცია აქვს ამა თუ იმ მოვლენაზე, პოლიტიკოსზე თუ "საზოგადო მოღვაწეზე".

თუმცა, რამდენად სწორი ინსტინქტებით მოქმედებს ქართველი ამომრჩეველი, ამის დემონსტრირება არჩევნების დროს მოხდება. სიების გაყალბებაში დამნაშავის ძიება დღეს არსებულ სურათს უკვე ველარ შეცვლის, მით უმეტეს, როცა ცხადია, რომ დამნაშავე მხოლოდ ხელისუფლებაა. ერთადერთი, რასაც რაიმეს შეცვლა ჯერ კიდევ შეუძლია, ეს თავად ამომრჩეველია, რომელსაც ეყოფა ძალა, ნერვები და, უბრალოდ, სურვილი, რომ საკუთარი ხმისათვის ბოლომდე იბრძოლოს, რადგან საქართველო - ეს "ჩვენი ბაღია" და მისი მოვლა მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა.

# ხელისუფლება არმიის მიმხრობას ცდილობს

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, კვირას, თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის მე-11 მექანიზებული ბრიგადა და ორხევში მდებარე ლოგისტიკური მართვის სამსახური მოინახულა. როგორც შეხვედრის შემდეგ ავთანდილ ჯორბენაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არმიაში სერიოზული პრობლემებია. პირველ რიგში, ეს არის მცირე დაფინანსება, რომელიც პრობლემებს ქმნის და საყოფაცხოვრებო პირობებზე, ასევე საბრძოლო მომზადებაზე აისახება.

*პრაიმ-ნიუსი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 10 მარტს, გამოტანილ იქნება №40-ე აუქციონზე, რომელიც შედგება 2003 წლის 22 ოქტომბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2003 წლის 22 ოქტომბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

# "გაუნათებელი სინათლე" - "ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლის შემდეგ

## საქართველოს ენერგოსექტორის უცხოელმა მენეჯერებმა ენერგოხულიგნებისგან თავდაცვის ორიგინალური ხერხი იპოვეს

მაია ურუშაძე

"გაუნათებელი სინათლე" – ასე ერქვა დოკუმენტურ ფილმს, რომლის ჩვენებაც შაბათს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, სტუდენტ-ჟურნალისტებისთვის ენერგეტიკის თემაზე გამართულ სემინარზე მოეწყო. ფილმის რეჟისორი ნიუ-იორკელი პოლ დევლინია, ოპერატორი კი - თბილისელი ვალერი ოდიკაძე. ფილმმა, რომელშიც ამერიკული კორპორაცია "ეი-ი-ესის" საქართველოში მოღვაწეობის ოთხწლიანი უმძიმესი პერიოდია ნაჩვენები, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ორი პრიზი დაიმსახურა. "ეი-ი-ეს კორპორაციის" თბილისურ ოდისეას ქართველი მაყურებელი, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ეთერში იხილავს.

ულევი სირთულეებისა და ელექტრომოწყობილობებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, ფილმში ნაჩვენებია მოსახლეობის ქვესადგურებში შეჭრის რამდენიმე ფატალური შემთხვევაც. ფილმში ოსტატურად არის გადმოცემული საზოგადოებისა და კომპანიის ინტერესთა კონფლიქტი, რამაც ამერიკულ კომპანიას საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილებისაკენ უბიძგა და დღემდე ენერგეტიკაზე პოლიტიკური შეტევების ყველაზე პოპულარულ საბაბად რჩება.

და ბოლოს: **"ჩვენ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ სემინარები ქართველ პოლიტიკოსთათვის, რათა ამ უკანასკნელთ ენერგოობიექტების მართვის წესები შევასწავლოთ. ამით ჩვენ თავს დავიზღვევთ ფატალური შემთხვევებისგან და დავზოგავთ იმ თანხებს, რაც მათი ქვესადგურებზე შევარდნის შემდეგ სისტემის აღდგენაზე გვეხარჯება,"** – ასეთი ორიგინალური აზრი დაებადა "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ერთ-ერთ ირლანდიელ მენეჯერს ჯო კორბეტს, ფილმის ხილვისა და ენერგეტიკის პრობლემებზე ჟურნალისტებთან ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. სხვათა შორის, კორბეტის იდეა დიდი ხალისით აიტაცეს სემინარზე დამსწრე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და "თელასის" მენეჯერებმაც.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, როგორც ჩანს, მათ ენერგოსექტორის უცხოელი მენეჯერებისგან გაცილებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს: მასმედიისთვის ენერგეტიკის თემატიკაზე მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის სემინარები იგეგმება.

# 10 მილიონი დოლარი მიკროდაფინანსებისთვის

ამერიკულ კერძო საკონსულტაციო კომპანია "ქემონიქს ინტერნეიშენალ ინკ" საქართველოში იწყებს მიკროდაფინანსების ინსტიტუტების დახმარებისა და განვითარების სპეციალური ოთხწლიანი პროექტის განხორციელებას. ხსენებულ პროექტს, რომლის საერთო ღირებულება 10 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს.

პროექტის მთავარ განმახორციელებელს - ამერიკულ კერძო საკონსუტაციო კომპანიას "ქემონიქს ინტერნეიშენალ ინკ"-ს გააააჩნია მსოფლიო მასშტაბით მიკროდაფინანსების პროგრამების მართვის გამოცდილება.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მიკროდაფინანსების ინსტიტუტების სტაბილიზაციასა და გაძლიერებას. პროექტი გასცემს მსხვილ გრანტებს ადგილობრივ და ამერიკულ მიკროდაფინანსების მქონე დაწესებულებებზე, რათა უზრუნველყოს მათი ხანგრძლივი სტაბილურობა.

ამის გარდა, დაახლოებით 500.000 აშშ დოლარი გაიცემა მცირე გრანტებისა და ქვეკონტრაქტების სახით, საქართველოში მიკროდაფინანსების ინიციატივის მხარდასაჭერად.

განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება მიმართული, რათა პროექტი სასარგებლო აღმოჩნდეს რეგიონებში მოქმედი საწარმოებისა და მეწარმე ქალებისათვის.

პროექტის საგრანტო პროგრამა დაეხმარება მიკროდაფინანსების ინსტიტუტებს, რათა მათ ფინანსურ და სხვა სფეროებში ბევრ მცირე მეწარმეს გაუწიონ მომსახურება არატრადიციული გარანტიებისა და რისკმენეჯმენტის მეთოდოლოგიების გამოყენებით.

*24 საათი*

# "ფორდი" ჩინეთში საქმიანობას აფართოებს

ადამ მჭედლიძე

მსოფლიოს სიდიდით მეორე ავტოგიგანტი "ფორდი" დამატებით 1 მილიარდი დოლარის დაბანდებას აპირებს ჩინეთში. ამ გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ამერიკული კომპანიის მიერ ჩინეთში წარმადობის ახლანდელი ყოველწლიური 20 ათასიდან 150 ათას ცალ მანქანამდე ასვლა. "ყოველი საავტომობილო კომპანია აცნობიერებს, აზია ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარია, სადაც წამყვან როლს ჩინეთი ასრულებს," - განაცხადა "ფორდის" ხელმძღვანელობამ.

ამ გეგმის განცხადების წინ, ამერიკულმა კომპანიამ კვარტალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ავტოგიგანტის ზარალი საგრძნობლად შემცირდა. ბოლო სამი თვის განმავლობაში "ფორდმა" 25 მილიონი დაკარგა, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში ზარალმა 326 მილიონი შეადგინა. ეს მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელობას აფიქრებინებს, რომ კრიზისი წარსულს ბარდება. ჩანს, ჩინეთში ახალი ინვესტიციების დაბანდებაც ამიტომ გადაწყდა. თუმცა, წაგების შემცირება მხოლოდ "ფორდის" საფინანსო შტოს, "ფორდ კრედიტის" ხარჯზე მოხერხდა. რაც შეეხება საავტომობილო ბიზნესს, აქ საქმე დიდად არ გამოსწორებულა – როგორც ჩრდილო ამერიკაში, ასევე ევროპაში "ფორდის" მანქანების გაყიდვა, პრაქტიკულად, არ გაზრდილა. საავტომობილო ბიზნესმა 609 მილიონი იზარალა და რომ არა "ფორდ კრედიტის" მიერ მოტანილი მოგება, ზარალი შარშანდელზე ნაკლები არ იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, კომპანიის თავკაცი ბილ ფორდი აცხადებს, რომ "ავტოგიგანტში კვლავაც მიმდინარეობს ხარჯშემცირება და ახალ მოდელებზე მუშაობა, რაც მალე შედეგს გამოიღებს." ფორდის თქმით, მარტო მომავალ წელს მისი კომპანია მომხმარებელს 40 ახალ მოდელს შესთავაზებს. რაც შეეხება ხარჯშემცირებებს, ავტოგიგანტი ევროპაში მალე 6700 სამუშაო ადგილის შემცირებას გეგმავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ევროპაში "ფორდმა" სამიოდე წლის წინ არაერთი ქარხანა დახურა, მაგრამ საავტომობილო ბიზნესი იქ მოგებაზე მაინც არ ამუშავდა. საერთოდ, ამერიკულ გიგანტს, დიდი ხანია, კრიზისული პერიოდი უდგას, რომლის პიკიც "ფაიარსტოუნის" სკანდალი გახდა. ამ ფირმის საბურავებით აღჭურვილი "ფორდის" რამდენიმე მოდელი ავარიისა და მსხვერპლის მიზეზად იქცა. კომპანია იძულებული გახდა, საბურავები გამოეცვალა და ჯარიმაც გადაეხადა.

მაგრამ ჩინეთში განხორციელებულმა ინვესტიციამ, წესით, სასურველი შედეგი უნდა მოიტანოს. ამ ქვეყანაში ავტომობილებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება და დღეისათვის არ დარჩა სერიოზული ავტოკომპანია, რომელსაც აქ კაპიტალი არ დაებანდებინოს. "ფორდმა" ჩინეთში პირველად 1997 წელს შედგა ფეხი და ერთ-ერთ პიონერადაც იქცა, მაგრამ შემდგომი ინვესტიცია აქამდე არ განუხორციელებია, მაშინ როცა სხვა გიგანტებს ამ მხრივ დრო არ დაუკარგავთ. შედეგად, "ფორდის" უპირველესი მეტოქე "ჯენერალ მოტორზი" და გერმანული "ფოლკსვაგენი" ჩინეთში ამჟამად "ფორდზე" დიდი რაოდენობით აწარმოებენ ავტომანქანებს.

# შევარდნაძე შიდასახელისუფლებო სიტუაციას "ალაგებს" და ბიუჯეტზე პასუხისმგებლობას "ანაწილებს"

თამარ ხორბალაძე

*მანამ, სანამ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოსვლისთვის ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული და ქვეყნის მთავარი პოლიტიკური აქცენტები 2 ნოემბრის არჩევნებისკენ არის გადანაცვლებული, სახელმწიფო კანცელარიაში, ოპოზიციაზე თავდასხმებს შორის გამოცხადებული "შესვენებების" დროს, ახალი "მოძრაობები" შეინიშნება - საქართველოს პრეზიდენტი სსფ-ს ვიზიტის წინ შიდასახელისუფლებო სიტუაციას "ალაგებს" და პასუხისმგებლობას "ანაწილებს".*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სიღარიბის დაძლევის პროგრამისადმი გამოხატული მხარდაჭერა არ ნიშნავს, რომ სსფ კმაყოფილია.*

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციასთან ბოლო პერიოდში გაჩაღებული ბრძოლის პირობებში, საქართველოს ხელისუფლების მთელი შემადგენლობა საჭირო დროს და საჭირო ადგილზე საქართველოს პრეზიდენტს ერთგულებას წარმატებით უმტკიცებს ხოლმე, დღევანდელი ხელისუფლების მთავარ "გასაჭირად" ისევ რჩება სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი შესრულების დღევანდელი მდგომარეობა, რასთანაც, დასარიგებელი ხელფასებისა და პენსიების გარდა, პირდაპირ არის "მიბმული" სსფ-ს კეთილგანწყობა ქვეყნისადმი. ამ კეთილგანწყობაზე, მოგეხსენებათ, დამოკიდებულია პარიზის კლუბში მისი მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა კი გადამწყვეტია საქართველოსთვის საგარეო ვალების რესტრუქტურიზების პერსპექტივის განსაზღვრაში:

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ოთხშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შექმნა. შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ იგი ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობას არ იხსნის და მოითხოვს, სხვა დანარჩენმა პასუხისმგებელმა პირებმაც სათანადოდ იმუშაონ.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჯგუფში, რომელსაც თავად პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, გაერთიანდებიან სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი კახა უგულავა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები. ამასთან, პრეზიდენტის თქმით, ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ეროვნულმა ბანკმა და, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის რწმუნებულებმა.

აღნიშნული საბჭო შეიკრიბება კვირაში ერთხელ, ხოლო საბჭოს მდივანი, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მისი თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია იქნება.

ბასილიასთვის ამ საბჭოს მუშაობის ორგანიზების "ჩაბარება" შემთხვევითი რომ არ გახლდათ, ეს გასული კვირის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა:

სიღარიბის პროგრამამ, რომელიც იმთავითვე ბასილიას საკურატორო სფერო გახლდათ და რომელიც, სხვა "ხიბლთან ერთად" - ხელისუფლებაში მყოფ ძალებს სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად და შემდეგ ამაზე შესაბამისი პიარის ასაგებად საკმარისზე მეტ ფინანსურ სახსრებს აძლევს, გასულ კვირას სსფ-ს დირექტორთა საბჭოს "მოწონება" დაიმსახურა. ამის თაობაზე თავად თემურ ბასილიამ სპეციალურ ბრიფინგზე სასწრაფოდ ამცნო ჟურნალისტებს: მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ საქართველოს "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამას" "მწვანე შუქი" აუნთო. მისივე თქმით, პროგრამას 6 ნოემბერს, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოც განიხილავს, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, 13-წლიანი პროგრამა საბოლოოდ დამტკიცდება. პროგრამის პირველი ეტაპი 3 წელს მოიცავს, რომლის ღირებულება 3 მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსება 450 მილიონია.

რა თქმა უნდა, სიღარიბის დაძლევის პროგრამისადმი გამოხატული მხარდაჭერა არ ნიშნავს იმას, რომ სსფ საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობით კმაყოფილია და **"დადებითი გადაწყვეტილება პარიზის კლუბში ვალების გადავადების გარანტია არ არის."** ეს თავად ბასილიამაც აღნიშნა.

თუმცა ის, რომ შევარდნაძემ მას გადააბარა საბიუჯეტო სიტუაციის "პატრონობა" და, შესაბამისად, სსფ-სთან ურთიერთობა, რასაც თავის დროზე "დიდი გაჭირვებით" ჩამოაცილა ნოღაიდელმა და მისმა გუნდმა, იმას ნიშნავს, რომ ბასილიას აქციებმა, ერთი მხრივ, ისევ ზემოთ აიწია.

მეორე მხრივ კი, ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელ ჯგუფში მთავრობის მთელი შემადგელობის შეყვანა თავის გუბერნატორებიანად ნიშნავს, რომ პასუხისმგებლის მოძიების მომენტისთვის პასუხისმგებლობა ისე იქნება გადანაწილებული, რომ პასუხს, რეალურად, არავინ არ აგებს - როგორც ყოველთვის.

# ბუში სავალუტო პოლიტიკის გამო იაპონიასა და ჩინეთს უპირისპირდება

ბუშმა განაცხადა, რომ იგი გააგრძელებს ზეწოლას ჩინეთსა და იაპონიაზე, რათა მათ შეწყვიტონ თავიანთი ეროვნული ვალუტების ხელოვნური გაუფასურება და ამგვარად ექსპორტის ხელშეწყობა.

აზიაში ვიზიტის წინ (შეგახსენებთ, ვიზიტი გუშინ დაიწყო) აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ იგი აუცილებლად წამოჭრის ვალუტის თემას ჩინეთისა და იაპონიის ლიდერებთან შეხვედრებისას. "თუკი ჩვენ სამართლიან სავაჭრო ურთიერთობებს ვესწრაფვით, მაშინ არსებული დისბალანსები მიუღებელი უნდა იყოს, - აღნიშნა მან, - ვალუტის კურსი თავისუფალმა ბაზარმა უნდა დააფიქსიროს."

იაპონია უკვე დიდი ხანია, რაც იენის გაუფასურებას ახდენს. ქვეყნის ცენტრალური ბანკი რეგულარულად აწყობს ინტერვენციას და გასაყიდად დიდი რაოდენობით იენები გააქვს. ამომავალი მზის ქვეყნის მრეწველობა, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული და ახლა, როცა იაპონიის ეკონომიკა სიძნელეებს განიცდის, ექსპორტის ზრდა ქვეყნისათვის ერთადერთი შეღავათია. რაც შეეხება ჩინეთს, მან კომუნისტური სახელმწიფოების მსგავსად მიაბა იუანი ფიქსირებული კურსით დოლარს და ჯერჯერობით, ამ პოლიტიკაზე უარის თქმას არ აპირებს. ეს ახლახან ჩინეთის პრემიერის მიერ გაკეთებულმა განცხადებამაც დაადასტურა.

ამერიკელ მრეწველთა აზრით, იუანი დაახლოებით 40 პროცენტით არის გაუფასურებული, რაც არაბუნებრივად კონკურენტუნარიანს ხდის ჩინურ საქონელს და ამერიკულ მრეწველობას დიდ დარტყმას აყენებს. ექსპერტთა შეფასებით, ჩინეთში გაყიდულ 1 დოლარის ამერიკულ საქონელზე აშშ-ში გაყიდული 6 დოლარის ჩინური საქონელი მოდის. კომენტარი, ალბათ, ზედმეტია.

გასულ კვირას ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა პრეზიდენტ ბუშს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ეს პრობლემა, რომლის გამოც აშშ-ის მრეწველობა დიდ სიძნელეებს აწყდება. სენატორთა თქმით, იაპონიისა და, განსაკუთრებით, ჩინეთის სავალუტო პოლიტიკის გამო ამერიკაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარება ერთობ გაძნელებულია – სამრეწველო სექტორში სამუშაო ადგილების მასობრივი შემცირება მიდის. გასული 3 წლის განმავლობაში წარმოებაში დასაქმებული 2,7 მილიონი ამერიკელი უმუშევარი დარჩა. ეს კი მომავალი არჩევნების წინ ბუშის ადმინისტრაციას აუცილებლად გაურთულებს საქმეს.

საქმიანი სამყაროსათვის, ცოტა არ იყოს, უცნაურად გაიჟღერა ჟურნალისტებთან საუბარში ბუშის მიერ გაკეთებულმა კიდევ ერთმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მისი ადმინისტრაცია "მყარი დოლარის პოლიტიკას ატარებს." სპეციალისტთა შეფასებით, აშკარაა, რომ ვაშინგტონი დოლარის კურსს შეგნებულად აგდებს, რათა როგორმე კონკურენტუნარიანი გახადოს ამერიკული საქონელი მსოფლიო ბაზარზე და შეამციროს უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს პოლიტიკა წარმატებით ხორციელდება ევროსთან მიმართებაში. ბუშის ტურნე აზიაში მოიცავს ვიზიტებს ფილიპინებში, ტაილანდში, სინგაპურში, ინდონეზიაში, ავსტრალიასა და იაპონიაში. რაც შეეხება ჩინეთს, პრეზიდენტი ამ ქვეყნის ლიდერებს აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზე შეხვდება, რომელიც 20-23 ოქტომბერს, ბანგკოკში გაიმართება.

# საქართველოს რუსეთის წინაშე პოლიტიკური ავანსის გაღება მოუწევს

პირველი გვერდიდან

ერთი რამ ცხადია - რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების "გაუმჯობესების" და ამ კერძო პარტნიორობის საზღაურად, საქართველოს უდავოდ მოუწევს, ავანსის სახით, რუსეთ-ბელორუსია-უკრაინა-ყაზახეთის "ოთხეულის" მიერ შემდგარ ეკონომიკურ სივრცეში შებრძანება, რაც საქართველოს "მაქსიმალურ პოლიტიკურ დაახლოებას" რუსეთთან გარდაუვალს გახდის. ამის შესახებ გასულ კვირას რუსული საქმიანი წრეების და რუსული საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს საკმაოდ ღიად მიანიშნეს.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერთობებს, დღესაც ეს ურთიერთობები საქართველოსთვის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისითაც არამომგებიანია. თავი რომ დავანებოთ რუსეთის მიერ საქართველოს ენერგეტიკის ხელში ჩაგდების უკვე ყბადაღებულ თემას, რუსეთთან საქართველოს ვაჭრობის სტატისტიკაც ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

**რუსულ-ქართული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა:**

რუსეთი საქართველოსთან სავაჭრო ბრუნვის თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებს უკან იტოვებს და პირველ ადგილზეა.

საინტერესოა, რომ 2003 წელს იანვარ-აგვისტოში საქართველოს რეგისტრირებული საგარეო სავაჭრო ბრუნვის (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) მოცულობამ 873,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 238,8 მლნ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი - 635 მლნ აშშ დოლარი. ანუ საქართველოში უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 396,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ქართველი სტატისტიკოსები ირწმუნებიან, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ასეთი ზრდის მიზეზი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის სამშენებლო მასალების შემოტანა გახლავთ, ძირითადად - ევროკავშირის ქვეყნებიდან.

თუმცა, საქართველოს ოფიციალური სავაჭრო ბალანსი რუსეთთანაც უარყოფითი აქვს: რუსეთთან სავაჭრო ბრუნვამ მოხსენიებულ პერიოდში 138,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 13,4 პროცენტით მეტია, თუმცა ძირითადი ზრდა ექსპორტის საფუძველზე არ მომხდარა. მიმდინარე წლის აგვისტომდე საქართველოდან რუსეთში გატანილი პროდუქციის ღირებულებამ 46 მლნ 801,8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა კი - 91 მლნ 486,6 ათასი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში რუსეთიდან 2-ჯერ მეტი პროდუქცია შემოდის, ვიდრე გადის, რაც პირდაპირ "ურტყამს" ქართული ვალუტის სიძლიერეს.

გარდა ამისა, სპეციალისტები აცხადებენ, რომ რუსეთიდან ერგნეთის ბაზრობის გავლით საქართველოში შემომავალი კონტრაბანდის ძირითადი წილი შემოდის, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ განხორციელებული ეკონომიკური დივერსიის ტოლფასია. ამას იმავე რუსეთიდან, უკვე აფხაზეთის გავლით, კონტრაბანდული ტვირთის მოძრაობაც ემატება.

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."
გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სომხეთში იწყებიან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. აგრეთვე 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.
ჩვენი წარმომადგენლობებია:
საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65
სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30
E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am



აქცია ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეიხატორს.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
[illegible] ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
[illegible] მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
[illegible] ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
[illegible] ქ. 5
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
mameuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
[illegible] 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

# „კრემლის კაცის" ინაუგურაცია საიდუმლო ვითარებაში გაიმართა

პირველი გვერდიდან

კადიროვის განცხადებით, პრეზიდენტის პოსტზე მისი პირველი ნაბიჯი ყველა დანაშაულის გამოძიება იქნება, რომელიც ჩეჩნეთში 1991 წლიდან მოხდა და რამაც ქვეყნის სისხლისღვრაში ჩათრევა გამოიწვია. ამისათვის "კრემლის კაცი" სპეციალურ საგამოძიებო კომისიას შექმნის. მართალია, კომისიის სავარაუდო ხელმძღვანელის ვინაობა ჯერ უცნობია, მაგრამ მას თავად კადიროვმა რომ უხელმძღვანელოს, გასაკვირი არ უნდა იყოს. ჯერ არშემდგარი კომისიის დასკვნის შედეგების წინასწარმეტყველება კი აქედანვეა შესაძლებელი. ჩეჩნეთის წინააღმდეგ დანაშაულში ბრალი ყველა იმ ჩეჩენს დაედება, რომლებმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა მოითხოვეს და მის დასაცავად ხელში იარაღი აიღეს. ნომერ პირველი ბრალდებული, ალბათ, ჯოჰარ დუდაევი იქნება, თუმცა მას სიკვდილს ველარ მიუსჯიან. ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ ასლან მასხადოვი და მისი გარემოცვა გამოცხადდება. კადიროვი ასევე რუსლან ხაზბულტოვის დადანაშაულებასაც გეგმავს და ამის პირველი მინიშნებები უკვე გააკეთა. როგორც თავად აღნიშნავს, გამოძიების უპირველესი მიზანი ჩეჩნეთში შერიგების და მშვიდობის დამყარებაა. **"ჩემი უმთავრესი მიზანი – ჩეჩნეთში მშვიდობის აღდგენა, ჩეჩენი ხალხის სამუშაოთი უზრუნველყოფა და მომავლის რწმენის ჩანერგვაა,"** - აცხადებს "კრემლის კაცი." მაგრამ, როგორც ჩანს, მომავლის დიდი იმედი თავადაც არ აქვს. **"დილით სახლიდან გამოსვლისას მე დარწმუნებული არ ვარ, რომ სახლში დავბრუნდები,"** - აღნიშნა კადიროვმა.



"კრემლის კაცი" ყველა დანაშაულის გამოძიებას აპირებს.

REUTERS

იმისათვის, რომ ის სახლში დაბრუნდეს და მოღალატის იარლიყით სიცოცხლე თანამემამულის ხელით არ დაასრულოს, ინაუგურაციის დროს კადიროვმა რუსეთის ხელისუფლებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და პრეზიდენტის პოსტის "ჩუქებისათვის" მადლობა შესწირა. მაშ ასე, კადიროვი უკვე ფიცმიღებული პრეზიდენტია. ის ფაქტი, რომ ეს საზეიმო ცერემონია საიდუმლო შეკრებას უფრო წააგავდა და თანაც ჩეჩნეთის დედაქალაქში არ შედგა, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. თანაც, კადიროვი ხომ იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, ვისი ფიცისაც არავის სჯერა.

# ნეტარი დედა ტერეზა

გუშინ, რომის პაპმა 300 ათასი მაყურებლის თვალწინ დედა ტერეზა ნეტარად შერაცხა, რაც პირველი ნაბიჯია მისი წმინდანად გამოცხადების გზაზე.

გუშინვე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. 83 წლის იოანე-პავლე მეორემ ლოცვების ბოლომდე წაკითხვაც ვერ შეძლო.

თუმცა, წმინდა პეტრეს მოედანზე თავშეყრილი ხალხის საზეიმო განწყობაზე ამას დიდად არ უმოქმედია. ლოცვები რამდენიმე ენაზე წაიკითხეს, დედა ტერეზას ხომ უამრავ ქვეყანაში ჰყავდა თაყვანისმცემლები და არა მხოლოდ კათოლიკეებს შორის.

"ის კეთილი სამარიტელის მაგალითი იყო, – ამბობდა პაპი, – იგი არა მხოლოდ თავად იყო უკანასკნელი, არამედ მსახურებდა უკანასკნელთ".

დედა ტერეზა მაკედონიაში დაბადებული ალბანელი იყო. საყოველთაო პატივისცემა მას ინდოელი ღარიბებისათვის გაწეულმა დახმარებამ მოუტანა. "არ შეიძლება თქვა, მე მიყვარს ღმერთი, მაგრამ არ მიყვარს ჩემი მეზობელი. როგორ შეიძლება გიყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავ, და არ გიყვარდეს შენი მეზობელი, რომელსაც ხედავ, ეხები, რომელთან ერთადაც ცხოვრობ," – განაცხადა დედა ტერეზამ 1979 წელს ნობელის პრემიის მიღებისას.

ცერემონიას ესწრებოდნენ ალბანეთისა და მაკედონიის პრეზიდენტები, პოლონეთის ყოფილი ლიდერი ლეხ ვალენსა და საფრანგეთის პრემიერი რაფარენი, ისევე როგორც ბევრი იტალიელი პოლიტიკოსი.

პაპმა სპეციალურად დედა ტერეზასათვის შეცვალა წმინდანად შერაცხვის წესი, და რამდენიმე წლით შეამოკლა საჭირო პროცედურები.

კათოლიკური ეკლესიის წესების თანახმად, ადამიანს ერთი სასწაული მაინც უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომ ნეტარად შეირაცხოს, ორი სასწაულის შემთხვევაში კი უკვე მისი კანონიზაცია და წმინდანად გამოცხადება შეიძლება.

## ორი სიტყვით

**ერაყი.** გუშინ, ქალაქ კირკუკთან ახლოს, ერაყელმა პარტიზანებმა თავდასხმის დროს ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და ერთი დაჭრეს. ერაყის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ ფალუჯაში ასევე დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ აშშ-ს სამხედრო ავტოკოლონას და ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გახსნეს. მსხვერპლის თაობაზე, ჯერჯერობით, აშშ-ს არმიის წარმომადგენლები განცხადებას არ აკეთებენ. 2003 წლის 1 მაისიდან ერაყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების რიცხვმა 103-ს მიაღწია.

■ ■ ■

**აშშ.** კონგრესის ორივე პალატამ მხარი დაუჭირა ჯორჯ ბუშის მოთხოვნას 87 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფის თაობაზე. როგორც ცნობილია, ეს თანხა ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაციების და დანგრეული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციას მოხმარდება. აქედან 66 მილიარდი ამერიკული დოლარი ამ ქვეყნებში სამხედრო ოპერაციების განხორციელებისთვისაა გამიზნული. აშშ-ს ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ ამ საკითხზე კონგრესის მიერ საბოლოო დოკუმენტი 23 ოქტომბრამდე იქნება მიღებული. როგორც ცნობილია, ამ დღეს მადრიდში უმაღლესი დონის საერთაშორისო კონფერენცია იხსნება, რომელიც ერაყის აღდგენის საქმეში უცხოეთის ქვეყნების მიერ ფინანსურ შენატანებს შეეხება.




# ჯორჯ ბუში წყნარი ოკეანის სამიტზე



აზიაში ჯორჯ ბუშის ვიზიტი გრძელდება.

REUTERS

აშშ-ს პრეზიდენტი ტაილანდში წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტზე ჩავიდა. თეთრი სახლის მეთაურის თქმით, ის შეეცდება, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რეგიონის ქვეყნების გააქტიურებას ხელი შეუწყოს. **"ჩვენ ერთობლივი ამოცანა გვაქვს – ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა,"** - განაცხადა ბუშმა ბანგკოკში ჩასვლის დროს. თუმცა, წყნარი ოკეანის რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერის განცხადებით, მათ არ სურთ, რომ სამიტის მთავარი თემა ტერორიზმთან ბრძოლა იყოს. ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაკსინ სინავატრამ კი აღნიშნა, რომ უსაფრთხოების საკითხები და ეკონომიკური თანამშრომლობის თემები თანაბარი დოზით უნდა იყოს განხილული.

დამკვირვებლების ვარაუდით, ჯორჯ ბუში რეგიონის ქვეყნებს ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით მიმართავს. სამიტის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰუ ძინტაო და იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძუნიტირო კოიძუმი.

ჯორჯ ბუში ბანგკოკში ფილიპინების დედაქალაქ მანილადან ჩავიდა, სადაც ის შაბათს ფილიპინების კონგრესში სიტყვით გამოვიდა და კანონმდებლებს ერაყის აღმშენებლობაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა.

ბანგკოკის სამიტზე ბუში რომ ტერორიზმის საფრთხის შესახებ ილაპარაკებს, მისი გუშინდელი განცხადებებიც მოწმობს. **"მსოფლიო კვლავ საფრთხის წინაშე დგას,"** - განუცხადა თეთრი სახლის მეთაურმა ჟურნალისტებს ჯერ კიდევ აეროპორტში. მან ამის დასტურად შაბათს "ალ-ჯაზირას" ეთერში გაშვებული ბინ ლადენის ხმის აუდიოჩანაწერი მოიყვანა. მსოფლიოს ნომერ პირველმა ტერორისტმა ამჯერადაც ჩვეული ტონი შეინარჩუნა და მუსულმანებს ამერიკელების, ებრაელების და მათი მოკავშირეების განადგურებისაკენ მოუწოდა. **"ვფიქრობ, ბინ ლადენის აუდიოჩანაწერი ადასტურებს იმას, რომ ომი ტერორიზმის წინააღმდეგ გრძელდება და კვლავ არსებობს სერიოზული საფრთხე თავისუფალი ერების წინააღმდეგ. ამიტომ თავისუფალმა სახელმწიფოებმა, როგორც არასდროს, ისე უნდა ითანამშრომლონ,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. მან არც მასპინძელი ქვეყნის – თავისი აზიელი სტრატეგიული პარტნიორის - როლი დაივიწყა. **"ტაილანდმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა და კვლავ აგრძელებს ამ მისიას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა. ტაილანდის სამეფომაც გააკეთა არჩევანი. ჩვენ ამ საფრთხეს წინ აღვუდგებით,"** - განაცხადა ბუშმა.

ტაილანდის დედაქალაქში სამიტის გახსნასთან დაკავშირებით უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ტერორისტების გააქტიურების საფრთხის გარდა, სამართალდამცველებს პრობლემას უქმნიან სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ანტიგლობალისტები, რომლებიც სამიტის მსვლელობის დღეს ბანგკოკში ექსცესების მოწყობას შეეცდებიან. ამის თავიდან ასაცილებლად კი ტაილანდის დედაქალაქის ქუჩებში რამდენიმე ათასი პოლიციელია მობილიზებული.

ბანგკოკის სამიტიდან დამკვირვებლები ბევრს არაფერს ელიან. წყნარი ოკეანის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები კიდევ ერთხელ დააფიქსირებენ თავიანთ, უკვე ყველასათვის კარგად ცნობილ პოზიციებს. აშშ-ს მეთაური კი სამიტის დასრულების შემდეგ სინგაპურში გაემგზავრება.

# არჩევნები, რომლებიც ძალადობით დასრულდა

შახინ რჟაევი
IWPR, ბაქო

აზერბაიჯანში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ილჰამ ალიევის გამარჯვებითა და ბაქოს ცენტრში მომხდარი სისხლისღვრით დასრულდა. ოპოზიციისა და პოლიციის შეტაკების შედეგად, სულ მცირე, ორი ადამიანი დაიღუპა და 300-ზე მეტი დაშავდა.

აყალ-მაყალი ბაქოში ჯერ კიდევ 15 ოქტომბერს, ღამით დაიწყო. პარტია "მუსავატის" ორასამდე მომხრემ, რომლებმაც არჩევნების წინასწარი შედეგები ტელევიზიით შეიტყვეს, პარტიის შტაბთან მოიყარეს თავი. მათი მიტინგი, ღამით, 1:30-ზე პოლიციამ დაარბია, მეორე დღეს კი 2-დან 6:30-მდე ბაქოში მასობრივი მღელვარება სუფევდა, რასაც თან მიტინგის სისხლიანი დარბევა მოჰყვა.

არ არის გამორიცხული, რომ დაღუპულთა რიცხვი გაიზარდოს. სასწრაფო დახმარების ექიმის თქმით, მასთან იმ ღამით 50-ზე მეტი დაჭრილი მიიყვანეს. 12 მათგანი ჯერ კიდევ საავადმყოფოში იმყოფება, მათ შორის - 5 წლის ბავშვი, რომელსაც გადარჩენის მცირე შანსი აქვს. ბიჭი შემთხვევით დაშავდა მაშინ, როდესაც მიტინგის შორიახლოს, დედასთან ერთად სეირნობდა.

ბაქოს პოლიციის შეფის, მეგერამ ალიევის განცხადებით, პოლიციამ 171 კაცი დააპატიმრა, მათ შორის გამბარის პირადი დაცვის ორი წევრი. ალიევის ცნობით, უწესრიგობების დროს, სამართალდამცავი ორგანოების 30 თანამშრომელი დაშავდა.

მმართველი პარტიის ("იენი აზერბაიჯანი") აღმასრულებელმა მდივანმა ალი აჰმადოვმა ორი ადამიანის სიკვდილი დაადასტურა, მაგრამ განაცხადა, რომ ისინი ოპოზიციის მიერ ნასროლი ქვების მოხვედრის შედეგად დაიღუპნენ. "მუსავატის" ხელმძღვანელი პასუხისგებაში უნდა მიეცეს. "მუსავატი" არასტაბილურობის კერაა. კერა, რომელიც ძალიან სახიფათოა აზერბაიჯანისათვის. ამ მხრივ, სამართალდამცავებმა ყველაზე რადიკალური ზომები უნდა მიიღონ".

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ პრეზიდენტის ახლანდელი არჩევნები ყველა წინასგან ბევრი რამით განსხვავდებოდა. განსხვავებული იყო წინასაარჩევნო ვითარებაც. პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი მძიმედ ავად იყო და ბოლო დრომდე ხელისუფლების მხარდამჭერებმა ვერ გაიგეს, ვისთვის უნდა მიეცათ ხმა: მამისთვის თუ შვილისთვის. შედეგად, ისა გამბარის რეიტინგმა იმდენად აიწია, რომ ხელისუფლებისას გაუტოლდა. არადა, მანამდე, ჰეიდარ ალიევი გაცილებით უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანდიდატი. მეორე, მეზობლებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანში არჩევნებს აქამდე ასეთი მასობრივი მღელვარება არასდროს მოჰყოლია. მესამეც, არჩევნები მოსახლეობის არაჩვეულებრივად მაღალი აქტიურობით აღინიშნა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წინასწარი შედეგები მეორე დღესვე გამოაცხადა. ილჰამ ალიევმა 79,5 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე გასულმა გამბარმა კი - 12,06. სულ ურნებთან ამომრჩეველთა 71 პროცენტი გამოცხადდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნები მასობრივი დარღვევებითა და გაყალბებით წარიმართა. საარჩევნო უბანში მისულმა, ჩემი ყურით გავიგონე ხანშიშესული ქალის ხმამაღალი ყვირილი: "აბა ჰე! ყველა, როგორც ერთი, ვხაზავთ ერთიანს. აბა, ერთი რომელიმემ გაბედეთ და თქვით, რომ მე ასე გარიგებდით!" ბიულეტენში პირველი ნომერი, ცხადია, ილჰამ ალიევი იყო

ჩემი ნათესავისაგან გავიგე, რომ ეს ქალი იქვე ახლოს მდებარე ნავთობგადამამუშავებელი მანქანების ქარხანაში მუშაობს. იქვეა დასაქმებული ჩვენი დასახლების მცხოვრებთა უმეტესობა. სკოლაც, რომელშიც არჩევნები ტარდებოდა, ფინანსურ დახმარებას ქარხნიდან იღებს. ამიტომ, ამ ქალისა ეშინოდა ყველას, მათ შორის - სკოლის დირექტორსაც, რომელიც, ამავე დროს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო.

კანონი ირღვეოდა აზერბაიჯანის ბევრ სხვა ქალაქშიც. აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქ განჯაში ყველა საბიუჯეტო დაწესებულების თანამშრომელი აიძულეს, ალიევისათვის მიეცა ხმა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ურიგებდნენ განჯელ მასწავლებლებს უკვე შემოხაზულ ოც-ოც ბიულეტენს. პედაგოგები კი მათ მორჩილად ყრიდნენ საარჩევნო ყუთებში. გარდა ამისა, ცნობილმა ადგილობრივმა მომღერალმა დაიქირავა ავტობუსი, რომლითაც იგი "კარუსელს ატრიალებდა".

პროსახელისუფლებო პრესა ოპოზიციის მხრიდან მომხდარ დარღვევებზე წერს. ყველაზე ხშირად არჩევნების დროს უბნებში აგიტაციას და ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობას ახსენებენ. ამ დარღვევების ნაწილი საერთაშორისო დამკვირვებლებმაც დაადასტურეს.

აზერბაიჯანის არჩევნების ისტორიაში პირველად გამოიყენეს ეგზიტ-პოლები. როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა პოლების შედეგები ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. მაგალითად, სოციალური კვლევების ცენტრ "ადამისა" და საინფორმაციო სააგენტო "თურანის" მიერ ჩატარებული გამოკითხვით, 19 საათისათვის ისა გამბარს მიღებული ჰქონდა 46 პროცენტი, ილჰამ ალიევს კი – 24. სოციოლოგიური სამსახურის პროგნოზის მონაცემებით კი, ალიევმა - 63, ხოლო გამბარმა 15 პროცენტი მიიღო.

პარალელური მონიტორინგი ჩაატარა ორგანიზაციამ: "ყველაფერი სამართლიანი არჩევნებისათვის". ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ზარტუშტ ალიზადე აცხადებს:

"ჩემი შეფასებით, ალიევმა ხმების 50 პროცენტამდე მიიღო, ისა გამბარმა კი - 40-მდე. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ალიევი სამართლიან ბრძოლაშიც გაიმარჯვებდა. მთელი წინასაარჩევნო კამპანია მასობრივი დარღვევებით წარიმართა, ყველა ტელეარხი ერთ კანდიდატს უჭერდა მხარს და ლაფს ასხამდა ოპოზიციას. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს პირდაპირ შანტაჟი მოუწყვეს, ერთი სიტყვით, მთავრობამ ბოლომდე გამოიყენა ე.წ. "ადმინისტრაციული რესურსი", - ამბობს ალიზადე.

არჩევნების შესახებ საერთაშორისო დამკვირვებელთა აზრიც გაიყო. ყველაზე მკვეთრი შეფასება ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა, პიტერ აიკერმა გამოთქვა: "იმედი მქონდა, რომ აზერბაიჯანში არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩაივლიდა, სამწუხაროდ, იმედი გამიცრუვდა. აზერბაიჯანელი ხალხი უკეთეს არჩევნებს იმსახურებდა", - განაცხადა აიკერმა.

ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა კასანმა კი განაცხადა: "იმედი გვაქვს, რომ არჩევნები აზერბაიჯანში ახალი ერის დასაწყისი იქნება. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, დაიცვან კანონი და დემოკრატიული სტანდარტები."

16 ოქტომბრის შემდეგ ბაქოში სიმშვიდეა. ილჰამ ალიევი სხვადასხვა სახელმწიფოების მეთაურებისაგან მილოცვებს იღებს.

# "ბაბუინები" ხევსურული ლეგენდის გადასარჩენად


"ბაბუინები" მუცოსთან.

ნინო ჩერქეზიშვილი
ნონა რეზესიძე

ხევსურული ლეგენდის - მუცოს - გადასარჩენად, კლუბ "ბაბუინების" მიერ ექსპედიცია მოეწყო პირიქითა ხევსურეთში. ექსპედიციის მიზანი იყო, სტუდენტები გაცნობოდნენ ხევსურეთის კულტურულ-ეთნოგრაფიულ ძეგლებს, მის ისტორიას, ტრადიციებსა და თანამედროვე ვითარების პრობლემურ ასპექტებს. ამასთანავე, ახალგაზრდებმა ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და თავისუფალი დროის გამოყენების ალტერნატიული მეთოდები შეისწავლეს.

სტუდენტებმა შვიდი დღის განმავლობაში მოინახულეს შატილის კოშკები, სამძივანათ გორი, ქაჩუს ციხე, გიოწმინდა, საგინას ციხე, არდოტი, ანატოლის აკლდამები, ბოლოს კი "მუცოს" - ხევსურულ ლეგენდას ესტუმრნენ.

"შატილის კოშკები ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება. კომპლექსური ნაგებობა ყოველ 30 წელიწადში პერმანენტულ გადაკეთებას ექვემდებარებოდა. იცვლებოდა როგორც ინტერიერი, ასევე, ექსტერიერი. ჩემი პრეზუმფციით, შატილის ძირითადი კოშკები მე-15 საუკუნეს მიეკუთვნება. რვა-ცხრა კოშკია შუა საუკუნეების," - აღნიშნა არქიტექტორ-რესტავრატორმა ვაჟა ჭინჭარაულმა.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამით "კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია" შატილს 300 000 დოლარი გამოეყო. ამჟამად რესტავრაცია სამოცამდე ობიექტს, კოშკებს, სალუდეს, საფიხვნოს, სამრევლოს უკეთდება. ხუთი კოშკია ძლიერ დანგრეული. მათთვის ხელი არ გვიხლია - ფინანსების სიმცირის გამო. შატილი დიდი კომპლექსია და რესტავრაციაც ეტაპობრივად ტარდება.

ტურიზმი ამ მხარეში კლასიკური სახით ვერ განხორციელდება. შესაძლებელია, სასტუმროს ფუნქცია შატილის კოშკებმა იტვირთოს. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული მხარე უცვლელია, კოშკები გათანამედროვდა, სართულშუა გადახურვები დათხელდა. ნაგებობებში წყალიცაა და ელექტროენერგიაც. კომპლექსს ჰიდროიზოლაციის ფენა აკრავს, რაც წვიმისაგან იცავს".

"ხევსურეთის ადგილობრივ მოსახლეობაში ურწმუნოებაა გამეფებული. სახელმწიფო სტრუქტურებს ხელის შეშლის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ყველა ვიღაცას რაღაცას ჰპირდებოდა. ახლა ვცდილობთ, ეს ნდობა აღდგეს. ხალხი თავიანთ კოშკებს დაუბრუნდეს და მიხედოს. თუ ასეთი სიტუაცია შეიქმნება, შატილი ნელ-ნელა "გამოცოცხლდება," - თქვა ვაჟა ჭინჭარაულმა, რომელიც სათემო ორგანიზაციის თავმჯდომარეცაა.

პირიქითა ხევსურეთი ადრე ცამეტ სოფელს აერთიანებდა. დღეს კი შატილში, გიოწმინდაში, ხახაბოში, ხონისჭალაში, არდოტსა და მუცოშია მოსახლეობა შემორჩენილი. მოსახლეობის რაოდენობის სიდიდით შატილი გამოირჩევა - 11 ოჯახი ბინადრობს. მუცოში კი 3 ოჯახია შემორჩენილი.

ხევსურეთში სატრანსპორტო გზა ძლიერ დაზიანებულია. ამ მხარეში არ გააჩნიათ საკომუნიკაციო საშუალებები, ქართული ჟურნალ-გაზეთები, ტელეარხები. სოფლებიდან მხოლოდ შატილს აქვს ელექტროენერგია. იგი საკუთარი ჰაერით საზრდოობს. აქ მხოლოდ ტელევიზიის I არხი და "რუსთავი-2" მაუწყებლობს. სამედიცინო პუნქტი შატილში ფუნქციონირებს. პირიქითა ხევსურეთის სოფლებში დაზარალებულს პირველად დახმარებას ადგილზე ვერ აღმოვუჩენთ. ავადმყოფს შატილში ექიმი კი დახვდება, მაგრამ საჭირო მედიკამენტები? - გვითხრა მუცოს ბინადარმა ზურაბ დაიაურმა.

შატილშივე ფუნქციონირებს სკოლა-ინტერნატი, სადაც 30 მოსწავლე, 10 პედაგოგი და 3 აღმზრდელია. ყველაზე მეტ დისკომფორტს ხევსურელებს სკოლის შენობის არარსებობა უქმნით. ე.წ. სკოლა, ორი ფინური ტიპის ნაგებობა, 2000 წელს დაიწვა. საკლასო ოთახები ბავშვებს საკუთარ სახლებში აქვთ გახსნილი. "მომავალი წლისათვის ახალ შენობას გვპირდებიან. მშენებარე სკოლა-ინტერნატი მცირე მოცულობისაა, რვა ოთახს შეადგენს. ძირითადი პროექტისათვის თანხები არ გვყოფნის, სახლების ქირაობა კვლავ მოგვიწევს," - თქვა შატილის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა შოთა ჭინჭარაულმა.

სოფლის ახალგაზრდობა არაფრით არ არის დაკავებული. ცდილობენ, ასეთ ყოფას თავი დააღწიონ და ხევსურეთს ტოვებენ. სკოლაში არ ტარდება არანაირი შემეცნებით-გასართობი გაკვეთილები. არ არსებობს ცეკვის, სიმღერის, ხატვისა თუ ფიზიკური აღზრდის წრეები. პროგრამების ცვალებადობა ცუდ გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე. ბიუჯეტიდან სახელმძღვანელოების თანხები არ არის გამოყოფილი. "მოსწავლეები საოჯახო საქმის კეთებისას, განსაკუთრებით, შემოდგომისას, მოსავლის აღების დროს მთელ კვირას სკოლას აცდენენ. ზამთარში, დიდთოვლობის დროს კი, დასვენების დღეებში შინ, ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში ვერ მიდიან," - აღნიშნა სკოლა-ინტერნატის პედაგოგმა შორენა ლიქოკელმა.

"ტურიზმის განვითარებისთვის პოტენციალი ხევსურეთს აქვს. ამიტომ საჭიროა, გაუმჯობესდეს კომუნიკაციები, შეიქმნას ტურისტული ბაზა, - აღნიშნა ექსპედიციის ორგანიზატორმა, კლუბ "ბაბუინის" წევრმა პაატა შეთეკაურმა, - ტურისტები აქ ხშირად დადიან. ისინი არანაირ თანხას არ იხდიან, არც ფონდი არსებობს, საიდანაც რაღაც შემოსავალი ექნება კოშკებს. კლუბ "ბაბუინების" ინიციატივით კი, კოშკებში დაბინავებულმა ექსპედიციის წევრებმა, სიმბოლურად, 100 ლარი გადაუხადეს კოშკის მეპატრონეს".

შატილს რომ ყურადღება ექცევა, კარგია, მაგრამ არსებობს კიდევ ციხე-სოფელი "მუცო", რომელიც შუა საუკუნეებით თარიღდება. მუცო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიატოვა ხალხმა. მას შემდეგ ინგრევა და ნადგურდება.

" გვინდა, ჩვენ მიერ ჩაყვანილმა სტუდენტებმა სხვებს, კომპეტენტურ ადამიანებს გაუღვივონ იმის სურვილი, რომ მუცოს აღდგენაზე იფიქრონ," - თქვა პაატა შეთეკაურმა.

# „მეუღლეებისგან დამოუკიდებელი" ქალები არ ხმაურობენ და არც ნერვებს უშლიან ქმრებს

ირინე სანებლიძე

*მრეწველების მეუღლეებმა, დაახლოებით, 8 წლის წინ გადაწყვიტეს, ზურგი გაუმაგრონ მამაკაცებს და მათთან ერთად სხვა უღელიც იტვირთონ; ამისთვის მათ სპეციალური კლუბიც კი დააარსეს, რომელიც ოქტომბერში არასამთავრობო ორგანიზაციად ოფიციალურად დარეგისტრირდა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ქალები თავიანთ საქმეებს მხოლოდ თოფაძესთან ახმაურებენ.

ქალთა კლუბი ოცამდე წევრს აერთიანებს და მასში, როგორც პარტიის, ისე ზოგადად, მრეწველთა მეუღლეებიც არიან გაწევრიანებულები. კლუბის მოღვაწეობა ბევრ სფეროს მოიცავს და, ძირითადად, მიმართულია კულტურის მეცენატობის, ახალგაზრდა შემოქმედთა სპონსორობის, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად.

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"-თან არსებული ქალთა კლუბის პრეზენტაციისთვის მრეწველებიდან გოგი თოფაძემ მოიცალა და კლუბის თავმჯდომარემ, ირა გელანტია-ტყემალაძემ მას „ანგარიშის ჩააბარა". „გვინდოდა, ჩვენი საქმე წყნარად გვეკეთებინა, არაფერი გაგეგოთ ჩვენი საქმიანობის შესახებ, რომ ზედმეტად არ გენერვიულათ", - უთხრა იმ დღეს მრეწველების ერთადერთ წარმომადგენელს ირა ტყემალაძემ და იმ საქველმოქმედო ღონისძიებების ჩამოთვლა დაიწყო, რაც კლუბს რვა წლის განმავლობაში გაუკეთებია.

„ჩვენ მეუღლეებისგან დამოუკიდებლად ვარსებობთ. ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ, მაგრამ არ გავახმაურეთ. ჯობს, საქმე გააკეთო და ნაკლები იხმაურო", - აღნიშნა „24 საათთან" საუბარში გოგი თოფაძის მეუღლემ მარინა თოფაძემ.

გოგი თოფაძემ, თავის მხრივ, მოიწონა „ანგარიში". „ეს არის დიდი და კარგი საქმე, ყველაფერს არჩევნებს ნუ დაუკავშირებთ", - მოკლედ მოუჭრა მან ერთ-ერთ ჟურნალისტს. ზოგიერთს, შესაძლოა, მართლაც გაუჩნდეს აზრი, რომ წინასაარჩევნოდ ქალთა კლუბის გააქტიურება მეუღლეების მხარდასაჭერად გაკეთებული განაცხადია. „უბრალოდ, დაემთხვა. შესაძლოა, ადრეც მომხდარიყო, მაგრამ ამ კლუბის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი ნატა თათარაშვილი, დავით სალარიძის მეუღლე, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ამან შეგვაჩერა და შეაფერხა ეს პროცესი",- განმარტა ჩვენთან საუბარში მარინა თოფაძემ.

კლუბის წევრებს მეუღლეებისგან დამოუკიდებელი გეგმები აქვთ. „მომავალი გეგმა კი იმით იწყება, რომ რაც დავიწყეთ, ბოლომდე მივიყვანოთ",- თქვა ბოლოს ირა ტყემალაძემ.

# წინასაარჩევნო შეფუცხუნების შედეგი არჩევნების შემდეგ გამოჩნდება

*თბილისში გამეფებული ანტისანიტარია გასული კვირის ერთ-ერთ აქტუალურ თემად იქცა. ამ საკითხით თვით პრეზიდენტიც კი დაინტერესდა და აღმოაჩინა, რომ ჭუჭყიანი დედაქალაქი გვქონია - იმდენად ჭუჭყიანი, რომ მანქანიდან გადმოსვლა და თბილისის ქუჩებში ფეხით გასეირნება არც ღირს. ამ დაბრკოლებამ პრეზიდენტი იმდენად გააღიზიანა, რომ ქალაქის მერი საყვედურებით აავსო და სასწრაფოდ სანიტარული კოდექსის ამოქმედება მოითხოვა.*

ნანა ქადაგიშვილი

პრეზიდენტმა დედაქალაქის ჭუჭყიანი ქუჩები, მაინც და მაინც, არჩევნების წინ რომ შეამჩნია, გასაკვირი არ არის. ეს, ალბათ, ფეხით გასეირნების სურვილის გამო არ მომხდარა. იგი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს - ვანო ზოდელავასაც გაუსწორებს ანგარიშს და თანამოქალაქეებსაც თავს მოაწონებს. პირველი "კურდღლის" რა მოგახსენოთ, მაგრამ მეორე კურდღელს ჩვენი პრეზიდენტი ნამდვილად ვერ დაიჭერს. როცა ქვეყნის ხელმძღვანელი დედაქალაქის ნაგვიან ქუჩებს 10 წლის განმავლობაში პირველად ამჩნევს, ამაში თავის მოსაწონებელი არაფერია - ყველაფერს მუქმინებიან და ელვისისწრაფით მავალ მანქანას ვერ დავაბრალებთ.

პრეზიდენტის " დატუქსვამ" დედაქალაქის ხელმძღვანელობა ოდნავ შეაფუცხუნა. მერიამ ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აშენება გადაწყვიტა. ასეთი ქარხანა, სულ მცირე, 100 მილიონი დოლარი მაინც დაჯდება; სამაგიეროდ, იგი ნაგვის გადამუშავების გარდა, ელექტროენერგიას, ბუნებრივ აირსა და სასუქს გამოიმუშავებს. მერიამ ინვესტორის ძიებაც დაიწყო. ფრანგულმა, იტალიურმა და გერმანულმა კომპანიებმა ინვესტიციის განხორციელების სურვილი უკვე გამოთქვეს, მაგრამ საგადასახადო შეღავათებს ითხოვენ. ვანო ზოდელავა მთავრობასა და პარლამენტს დახმარებას სთხოვს. ამის გარდა, იგი ნაგვის დამყრელ იურიდიულ თუ კერძო პირთა მიმართ 1.5 ლარიანი საჯარიმო სანქციის 50-დან 2.500 ლარამდე გაზრდას მოითხოვს. **"ბაზრისა თუ ბაზრობების ტერიტორიები ყოველ ღამით სუფთავდება, მაგრამ მოვაჭრეები მის დანაგვიანებას დილიდანვე იწყებენ. რა ქნას მხოლოდ მერიამ? დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში ანტისანიტარიის მთავრი კერის, გარე ვაჭრობის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია,"** – აცხადებს ქალაქის ხელმძღვანელობა და საკუთარი ნამოღვაწარის საჩვენებელ შემოვლას უკვე კვირაში ორჯერ აწყობს. ანტისანიტარიისა და გარე ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს მერია სისტემატურად გეგმავს, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია რეიდებს, თითქმის, ყოველ კვირა ატარებს, ბაზრობის ტერიტორიებს ყოველ ღამით გვიან, მაგრამ შედეგი ბევრი არაფერია. პრობლემას ვერც სანიტარული კოდექსის ამუშავება შველის. 5 სექტემბრიდან ძალაში შევიდა სანიტარული კოდექსის ის მუხლები, რომელიც ვაჭრობის წესების დარღვევისას ჯარიმის ოდენობის გაზრდას ითვალისწინებს. ამიერიდან ვაჭრობის წესების დარღვევაზე ფიზიკური პირი, 9 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი – 100 ლარით, დარღვევის განმეორების შემთხვევაში კი ფიზიკურ პირს 200 ლარის გადახდა მოუწევს, იურიდიულ პირს – 500 ლარის. თუმცა, ჯარიმის ოდენობის საგრძნობლად გაზრდა გარე ვაჭრობის პრობლემის მოსაგვარებლად დიდად ვერ გამოდგება. გარე მოვაჭრეთა დაჯარიმებას მხოლოდ ჯარიმის სიმცირე არ უშლიდა ხელს - არანაკლები პრობლემაა მოვაჭრეთა ვინაობის დადგენა. გარე ვაჭრობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად მიიჩნევა და მოვაჭრეთა ვინაობის დადგენაც პოლიციის კომპეტენციაში შედის. პოლიცია კი მოვალეობას იმით ასრულებს, რომ თითოეულ მოვაჭრეს არაოფიციალურ გადასახადს უწესებს.

ასე გრძელდება წლების მანძილზე და, საეჭვოა, მხოლოდ წინასაარჩევნო მოწადინებამ გამოიღოს რეალური შედეგი.

# საქმიანი ფუსფუსი WELLA-სტუდიაში

*სახელგანთქმული გერმანული WELLA-ს კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელი ფირმის ექსკლუზიურმა წარმომადგენელმა საქართველოში, კომპანია "გეოსტარმა" ერთი თვის წინათ თბილისში, წერეთლის 117-ში სტუდია გახსნა. ერთი კვირაა, სტუდიაში დიდი ფუსფუსია. 13-18 ოქტომბერს WELLA-ს სტილისტების ინსტრუქტორი დსთ-ს ქვეყნებში ლუის ჰუმელტი საქართველოს მოქმედ სტილისტებს სემინარებს უტარებდა პროფესიონალურ კოსმეტიკაში. მეექვსე წელია, WELLA ასეთ სემინარებს აწყობს. განსხვავება ისაა, რომ წელს იგი პირველად ტარდება ახლად გახსნილ სტუდიაში და არა სასტუმრო "მეტეხში".*

თამარ დვალი

WELLA-სტუდია მშვენიერი სანახავია - კარგად მოწყობილი, კომფორტული. ჩვენი სტუმრობის დღეს ქართველი სტილისტები ნაყოფიერი თეორიული მეცადინეობის შედეგებს "იმკიდნენ" – მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად ახორციელებდნენ; საამისოდ მათ მიწვეული ჰყავდათ მოდელები. საპარიკმახერო ხელოვნების ახალი მეთოდები - ვარცხნილობის, თმის შეჭრის, მოვლისა და დახვევის ახალი მიმართულებები სემინარის მონაწილეებმა, როგორც თავად ამბობენ, სულ სხვა თვალით დაინახეს. **"ეს სემინარები ძალიან ბევრს გვაძლევს. ქიმია, რომელსაც აქამდე ვაკეთებდით, თურმე, ახალი ტექნოლოგიებით ისე შეიძლება გააკეთო, რომ თმა არ გაფუჭდეს,** - ამბობს ირმა აივაზოვა, - **WELLA ყველა თმისთვის განსაკუთრებულ პრეპარატს ქმნის. უამრავი სიახლეა მელირებაში, შეღებვაში და სხვა."**

სემინარების მიზანიც ეს არის – აამაღლოს სტილისტების პროფესიონალიზმი. "გეოსტარის" მენეჯერი, WELLA-ს წარმომადგენელი საქართველოში გიგა მაჩაიძე დარწმუნებულია, რომ შედეგები საუკეთესო იქნება: **"ლუის ჰუმელტი მაღალი დონის პროფესიონალია. იგი ამერიკის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობდა; იყო რუსეთის საპარიკმახერო ნაკრების მწვრთნელი და, მისი ხელმძღვანელობით, ამ ნაკრებს ბევრი წარმატებისთვის მიუღწევია. ამასთან, ბატონი ლუისი პარიკმახერთა უმეტესი ჩემპიონატის ჟიურის უცვლელი წევრია. თავად პროდუქცია, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება. ამის გათვალისწინებით, იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში რომელიმე წამყვან სამოდელო სააგენტოსთან ერთობლივ პროექტსაც განვახორციელებთ."**

კმაყოფილია ლუის ჰუმელტიც: **"WELLA-ს მსოფლიოს სალონებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. "გეოსტართან" ერთად ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ამ სტუდიის შექმნა დასაბამს მისცემს საქართველოში ხარისხიანი, თანამედროვე მოდელების დამკვიდრებას. რუსეთში უკვე არსებობს "დოლორესის აკადემია" და, იმედი მაქვს, ქართული ცენტრიც ისეთივე დონის იქნება. აქ ნასწავლმა დამწყებმა სტილისტებმაც კი, შეიძლება, სამ თვეში დიდი შედეგები აჩვენონ. მათი მონდომება ამაში მარწმუნებს - ახალი ტექნოლოგიების ათვისება სწრაფად ხდება. არის რაღაცები, რასაც ქართველები ჯერ არ იყენებენ, მაგრამ ბევრი რამ ახლებური მიდგომით, თანამედროვე საღებავებითა და პრეპარატებით უკეთეს შედეგს იძლევა."**


ვახო ჯაპარიძის ფოტო
WELLA-სტუდიაში.

ცოტა ხანში კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად ქართველ სტილისტებს კიდევ ერთი შანსი მიეცემათ – თავად გახდნენ მწვრთნელები. WELLA-სტუდიას მწვრთნელი ნინო დაშნიანი ლუის ჰუმელტმა "მეტეხში" გამართული ასეთი სემინარის დროს შეამჩნია და მწვრთნელობა შესთავაზა. **"გამაფრთხილა, რომ მწვრთნელი კონკურსებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ვერ ეყოლებოდა საკუთარი კლიენტურა,** – იხსენებს ნინო, - **დავთანხმდი, რადგან საქმე საინტერესოდ მომეჩვენა და არც შევმცდარვარ. სპეციალური კურსი გავიარე გერმანიაში და დსთ-ს მწვრთნელების 16-კაციან ჯგუფში შევდივარ. რაც ეს სტუდია გაიხსნა, ყოველ დღე სწავლება გვაქვს. სამუშაო ბევრია, რამაც მომავლისთვის ასისტენტის აყვანა გვაფიქრებინა."** გერმანული მხარე ამ წინადადებას მხარს უჭერს.

Mercy Corps
USAID

2003 წლის აგვისტოში საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორმა" ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ საქართველოს სათემო მობილიზაციის ინიციატივის ფარგლებში არჩევნებთან დაკავშირებული ამომრჩეველთა განათლების მიზნით გასცა გრანტები შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციაზე.

ამ გრანტების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ირგვლივ (ამომრჩეველთა უფლებები, ამომრჩეველთა სიების შემოწმება და ა.შ.) და არჩევნებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა სამართლიანი და თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისათვის.

ორგანიზაციების შერჩევა მოხდა მათ მიერ წარდგენილი განაცხადებისა და სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების საფუძველზე. პოლიტიკური პარტიების ან მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები არ იყო მიღებული მერსი ქორის მიერ. დაფინანსებული ორგანიზაციები:

- სიცოცხლის ფონდი (თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონები)
- ასოციაცია "თელაველი" (თელავის რაიონი)
- ლიდერ ქალთა ასოციაცია (საგარეჯოს რაიონი)
- აზერბაიჯანელთა კავშირი "თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა" (მარნეულის რაიონი)
- შიდა ქართლის იძულებით გადაადგილებულთა უფლებების დაცვისა და სოციალური რეაბილიტაციის კავშირი (გორის რაიონი)
- რეფორმებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშემწყობი ცენტრი (ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები)
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრი (მცხეთის და ახალგორის რაიონები).

თავის საქმიანობაში ყველა ორგანიზაცია იყენებს ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალებს, რომელიც შემუშავებულია სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ და დამტკიცებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. საზოგადოებასთან შეხვედრების მოწყობის დროს ყველა ორგანიზაცია თანამშრომლობდა შესაბამის ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებთან, რათა ამ საქმიანობის მიზანი და დანიშნულება სწორად ყოფილიყო გაგებული.

## ორი სიტყვით

**წალენჯიხა.** წალენჯიხის ეკლესიის მხატვრობის რესტავრაციაზე ბერძნები იზრუნებენ. წალენჯიხის ეკლესიის XIV საუკუნის მხატვრობა ხელოვნების უნიკალური ნიმუშია და საკმაოდ დაზიანებულია. მის გადასარჩენად ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი ნოემბრის თვეში სპეციალურ დახმარებას აღმოგვიჩენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყნეთი.** წყნეთობის პირველი ზეიმი ახლად გახსნილი, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის კურთხევით დაიწყო. ტაძარი გურჯაანის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე ექვთიმე ლეჟავამ და საგარეჯოს ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე ლუკა ლომიძემ აკურთხეს. ეკლესიის კურთხევის შემდეგ შეიქმნა წყნეთის მზრუნველთა საბჭო, რომელშიც დაბაში მცხოვრები ცნობილი ადამიანები და ბიზნესმენები გაერთიანდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდა და ყოვლად ქებული თომა მოციქულის ხსენების დღე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა. თომა მოციქული ქრისტეს რჯულისათვის მოწამეობრივად აღესრულა. მისი წმინდა უხრწნელი ნაწილები ინახება: ინდოეთში, უნგრეთში, ათონის მთაზე და სხვა ადგილებში. მისი თავის ქალა კი სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოცდამეექვსე დღეა, სახელმწიფო კანცელარიის წინ გრძელდება საპროტესტო აქცია, რომლის ორგანიზატორია „საქართველოს ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციათა ასამბლეა". „ასამბლეის" აღმასრულებელი კოორდინატორის ზაზა სიხარულიძის თქმით, ისინი არ გამორიცხავენ, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს თბილისშიც ისეთივე მოვლენები განვითარდეს, როგორც - ბაქოში საპრეზიდენტო არჩევნებისას. სიხარულიძის განცხადებით, აქცია გაგრძელდება მათი მოთხოვნების შესრულებამდე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკრებულოს დღევანდელ საგანგებო სხდომაზე დეპუტატები დედაქალაქის ხელისუფლებას მოსთხოვენ პენსიონერებისთვის სამლარიანი დანამატის გაორმაგებას. დღესვე განიხილავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისთვის, ტექნიკური მუშაკებისა და მუსიკალური სკოლების მასწავლებლებისთვის ბუნებრივი აირის 50-ლარიანი ვაუჩერების გაცემის საკითხს. დღის წესრიგშია, ასევე, თბილისში მცხოვრები I ჯგუფის ინვალიდებისთვის ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირების საკითხიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყანაში აღრიცხული 1.250 წყალსადენიდან ჰიგიენურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს 1.059 წყალსადენი. მათ შორის, 544-ს არ აქვს სანიტარიული დაცვის ზონა, 554-ს - ნედლი წყლის დამუშავებისთვის აუცილებელი გამწმენდი ნაგებობები, 875-ს – გასაუვნებელი დანადგარები - საქლორატოროები. 938 წყალსადენის ქსელის ნაგებობების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო 993-ს არა აქვს წყლის ხარისხის კონტროლის საწარმოო ლაბორატორია. **მედია-ნიუსი**

# ახალი პროვოკაცია რუსეთიდან



გელაევის რაზმი საომარი მოქმედებების დროს.

პირველი გვერდიდან

შაბალკინის განცხადებით, გელაევი ჩეჩენ საველე მეთაურებს ჯერ კიდევ ეხმარება იარაღის შეძენაში და ჩეჩნეთში გადაგზავნაში, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდება, რადგან გელაევი დაიღალა და განზრახული აქვს მშვიდად იცხოვროს მეზობელ ქვეყანაში. **"მომდევნო საველე მეთაური, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას შეწყვეტს, ასლან მასხადოვი იქნება,"** - აცხადებს გენერალი შაბალკინი, რომელიც ირწმუნება, რომ ბრძოლებით გადაღლილი მასხადოვი უფლებამოსილების "აჟრასა" და საზღვარგარეთ შვილთან წასვლას აპირებს.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საუკუნის ყველაზე დიდ სენსაციას უწოდებს საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ერთ-ერთი ლიდერი ხიზრი ალდამოვი. **„რუსები მიეჩვივნენ, დაგვაბრალებენ ტყუილს და ჩვენ საკადრის პასუხს არ ვცემთ, მხოლოდ თავს ვიმართლებთ. ჩემი აზრით, რუსული მედიის მსგავსი პროვოკაციული განცხადებები უკომენტაროდ არ უნდა დავტოვოთ. რუსლან გელაევი თავის სამშობლოშია და საკუთარ ხალხს იცავს,"** – აცხადებს ხიზრი ალდამოვი.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი წკრიალაშვილი. მისი განცხადებით, გელაევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მოქალაქეობის მიღების თხოვნით არ მიუმართავს და მის სახელზე არც საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობაა გაცემული.

რუსული მედიის ახალი სკანდალი სასაცილოდ არ ჰყოფნის საქართველოს უშიშროების სამინისტროს, რომელიც გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარს კატეგორიულად არ აკეთებს. **"ეს არის ფანტასტიკისა და კომედიის ჟანრის ნარევი, ამ ზღაპარზე კომენტარს არ ვაკეთებთ,"** – აცხადებენ საქართველოს უშიშროების სამინისტროში.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა სხვისი ქონების მითვისების ფაქტზე ფოთის წისქვილის ქარხნის ყოფილი დირექტორი დავით კუპრეიშვილი და ფოთის "შპს ხორდას" პრეზიდენტი რეზო ბერაია ამხილეს. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე აცხადებს, მოკვლეული მასალების მიხედვით, ბერაიამ და კუპრეიშვილმა 1994 წლის 29 სექტემბერს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთშეთანხმებით, თურქეთში 500 ტონა არმატურა გაყიდეს, ხოლო მისი ღირებულება - 92 500 აშშ დოლარი მთლიანად მიითვისეს. აღნიშნულის შესახებ გამოძიებას იმერეთის საოლქო პროკურატურა აწარმოებს. მოგვიანებით, მასალები გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ორდღიანი სემინარი ჩაატარა, რომელიც მასმედიის მიერ სასამართლოს მუშაობის ობიექტურ გაშუქებას ეხებოდა. "აღნიშნული სემინარის ჩატარება ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი გახდა, რადგან საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა და საჭიროა, კიდევ უფრო დარეგულირდეს სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობა," - აცხადებენ სემინარის ორგანიზატორები. "მართლმსაჯულების სისტემა მზად არის, კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ შემოსულ საარჩევნო დავებთან დაკავშირებით პერიოდულად კონსულტაციები გაიმართოს ჟურნალისტებთან, რათა ინფორმაცია ობიექტური და სამართლებრივად დასაბუთებული იყოს," – აცხადებენ მოსამართლეები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვლადიკავკაზის მაცხოვრებელი, ოცდათხუთმეტი წლის ნიკოლაი ბაისანგუროვი, რომელსაც 112 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა, თბილისში პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. საქართველოს კანონმდებლობით, ეს დანაშაული 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. როგორც შსს-ში აცხადებენ, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პოლიცია რუს კოლეგებს უკვე დაუკავშირდა. ნიკოლაი ბაისანგუროვი ვლადიკავკაზში გამომძიებელი იყო, იგი დაახლოებით ერთი თვეა უმუშევარია. "შავ ბაზარზე" ერთი გრამი ჰეროინის ფასი, ხარისხის მიხედვით, 250 აშშ დოლარი და მეტია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ოთხმოცდაორი წლის გრიგოლ ნანავას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ივნისში, გულრიფშის რაიონში ტერაქტების სერიის მომზადების ბრალდებით დააკავა, ამნისტია არ ეხება",- აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე გივი აგრბა. აფხაზებმა ქართველ მოხუცს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ქართული მხარე არ გამორიცხავდა, რომ აფხაზები მას ამნისტიით გაათავისუფლებდნენ. სოხუმის მტკიცებით, 82 წლის გრიგოლ ნანავას მასობრივი თავშეყრის ადგილებში დღე-ღამის განმავლობაში 8 აფეთქება უნდა მოეხდინა, რის სანაცვლოდაც, ქართული მხარე დამნაშავეს 3 ათასი აშშ დოლარის ჯილდოს დაჰპირდა. როგორც სოხუმში აცხადებენ, გრიგოლ ნანავას ჩხრეკისას 1,5 კილოგრამი პლასტიდი, ასევე 8 მექანიკური ასაფეთქებელი და დეტონატორი აღმოაჩნდა. **პრაიმ-ნიუსი**


განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61


# კალაძის გატაცების საქმეში ახალი დეტალები გაჩნდა

*შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის განცხადებით, ორწელიწადნახევრის წინ გატაცებული და მთელი ამ ხნის მანძილზე უგზო-უკვლოდ დაკარგული მძევლის, ლევან კალაძის საქმეში ახალი დეტალებია. მართალია, რუბენ ასანიძე არ აკონკრეტებს დატყვევებულის ადგილსამყოფელს, მაგრამ ირწმუნება, რომ ლევან კალაძე ცოცხალია და ჯანმრთელადაა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

მინისტრის მოადგილის განცხადებას გამოეხმაურა ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე, რომელმაც დაადასტურა ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაცია, რომ სამართალდამცველ ორგანოებს მისი ძმის - ლევან კალაძის გატაცების საქმესთან დაკავშირებით ახალი და დამაიმედებელი ცნობები გააჩნიათ.

თუმცა, სამართალდამცველთა ხელთ არსებულ ინფორმაციას არც კახი კალაძე აკონკრეტებს, მაგრამ აცხადებს, რომ მისი ძმა ცოცხალია და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. კახი კალაძე არც იმას აზუსტებს, საგამოძიებო ორგანოები მიახლოებით მაინც თუ ფლობენ ინფორმაციას გატაცებულის ადგილსამყოფელის შესახებ.

კახი კალაძე დარწმუნებულია, რომ ძიება ამჯერად სწორ კვალზე დგას და თავისი ძმის შესახებ ახალ დამაიმედებელ ინფორმაციებს მოუთმენლად ელის. კალაძე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ლევან კალაძის გარშემო ატეხილი ხელახალი აჟიოტაჟი სამართალდამცველ ორგანოებს წინასაარჩევნოდ დასჭირდათ.

ლევან კალაძისა და გატაცების სხვა რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით დამაიმედებელი ინფორმაციები ორი წლის განმავლობაში სამართალდამცველებისგან, მათ შორის - შს მინისტრისგანაც არაერთხელ მოგვისმენია. სხვათა შორის, შს მინისტრი ძალზე ხშირად იწონებს თავს მისი უწყების ნამუშევრით და აცხადებს, რომ ამ წელიწადს მომხდარი გატაცების ყველა საქმე გახსნილია. თუმცა, თუ გასულ წლებს გადავხედავთ, ამ მხრივ, კანონდამცველებს საამაყო ნამდვილად არაფერი აქვთ. საქმე ისაა, რომ მესამე წელი სრულდება, რაც გატაცებულია ლევან კალაძე, მამა ბასილ მაჩიტაძე, არაფერია ცნობილი წყნეთში გატაცებული მარიამ გოგინაშვილის შესახებ. არადა, სამართალდამცველთაგან დროგამოშვებით მაინც ვისმენთ ინფორმაციებს, რომ მათთვის "ცნობილია გამტაცებელთა ვინაობა, გატაცებულთა ადგილსამყოფელი, გატაცებულები ჯანმრთელად არიან, საფრთხე არ ემუქრებათ და უახლოეს დღეებში გათავისუფლებული იქნებიან". გაცილებით მყარი "პოზიციები" გატაცებულთა მაძებარ ძალოვანებს მამა ბასილთან დაკავშირებით გააჩნიათ. როგორც აცხადებენ, მათთვის ცნობილია მძევლის სამალავი პანკისის ხეობაში. თუმცა, მიუხედავად პირობისა, მამა ბასილი, მესამე წელია, კვლავ ტყვეობაშია.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ კანონდამცველთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალი დეტალები გაჩნდა მარიამ გოგინაშვილის გატაცების საქმეში. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ "ახალი დეტალი" თბილისის პროკურატურის მიერ დაკავებული პროფესიონალი თაღლითი ქალბატონი გახლდათ, რომელიც გოგინაშვილების ოჯახს ფულს სძალავდა - გატაცებული გოგონას ადგილსამყოფელის შესახებ ცრუ ინფორმაციაში იგი სოლიდურ თანხას ითხოვდა. ისევე, როგორც გატაცების სხვა საქმეები, 15 წლის მარიამ გოგინაშვილის საქმეც გაუხსნელია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მოსამართლეთა ასოციაციაში შექმნილია მოსამართლეთა ეთიკის კომისია, რომელშიც ახლახან ცხელი ხაზი გაიხსნა. ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერია 25-25-53 და მასზე ინფორმაციის დატოვება შეუძლია ყველა მოქალაქეს და მოსამართლეს, რომლის უფლებებიც ირღვევა სასამართლოში.

როგორც უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე აცხადებს, ცხელ ხაზზე მიღებული ინფორმაცია აუცილებლად დამუშავდება და მოსამართლეები, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მოსამართლის ეთიკის კოდექსის შესაბამისად დაისჯებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას მიეძღვნება სემინარი, რომელიც მოსამართლეებისათვის ლიკანში გაიმართება.

სემინარში რაიონული, საოლქო და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს ოცი მოსამართლე მიიღებს მონაწილეობას. ქართველ მოსამართლეებს სემინარს ევროსაბჭოს ექსპერტები — პროფესორი დოუ კორფი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი იურისტი ჟიუსტინა მეტელსკა ჩაუტარებენ. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა სესბ-ის წევრებს 2003 წლის ოქტომბრის თვის ელექტროენერგიის დღეღამური და სიმძლავრის საათობრივი მიწოდების გრაფიკი დაუწესა

მოგეხსენებათ, რომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ყოველთვიურად სესბ-ის წევრებს ელენერგიის მოხმარების ლიმიტებს უწესებს. აღნიშნული ლიმიტების დადგენა გენერაციის ობიექტების გამომუშავების, მომხმარებელთა განაცხადებისა და გადახდების გათვალისწინებით ხდება.

ოქტომბრის თვის დასაწყისში ბაზრის არც ერთ წევრს სესბ-ისთვის ელექტროენერგიის იმპორტის განაცხადით არ მოუმართავს. შესაბამისად, ოქტომბრის თვის ელექტროენერგიის ბალანსი საქართველოს ელექტროსისტემაში არსებული ენერგორესურსების საფუძველზეა შედგენილი. ოქტომბრის თვის ენერგობალანსში მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურები მონაწილეობენ, ვინაიდან თბოელექტროსადგურების (ეი-ი-ეს მტკვარი, თბილსრესი) ამუშავება აღნიშნულ პერიოდში გათვალისწინებული არ არის.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სესბის მიერ დაწესებულ ლიმიტებში ბაზრის წევრების მიერ იმპორტირებული ელენერგიის შემოტანა არ იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებული მწირი ენერგორესურსების გამო თბილისის გამანაწილებელმა ენერგოკომპანიამ არსებული დეფიციტის შესავსებად რუსეთიდან 100 მვტ ელენერგიის იმპორტი დაიწყო. საქართველომ რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა 16 ოქტომბრიდან დაიწყო.

ჰიდროელექტროსადგურების ბაზისური სიმძლავრე მაქსიმუმზე 180 მვტ-ს შეადგენს, მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების "ჟინვალჰესი" და "!ხრამი-1" დილის 9 საათიდან 11 საათამდე, საღამოს 19 საათიდან 24 საათამდე მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ. დროის აღნიშნულ მონაკვეთში "ენგურჰესი" 520 მვტ-ს, "ვარდნილჰესი" - 60 მვტ-ს, "ძევრულჰესი" - 50 მვტ-ს, "ხრამი-1" - 50 მვტ სიმძლავრეს გამოიმუშავებენ. მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის დონის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია ზემოთ მოყვანილი რეჟიმის უმკაცრესი დაცვა.

აღნიშნული რესურსების გათვალისწინებით სესბ-მა მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი დაგეგმა.

თბილისი - მოგახსენებთ, რომ "თელასმა" სესბ-ს დღეღამური მოხმარებისთვის 6,5 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება მოსთხოვა. ენერგობაზარმა აღნიშნულ კომპანიას ქვეყანაში არსებული ენერგორესურსების გათვალისწინებით 5,5 მლნ კვტსთ ელენერგიის მიწოდება დაუდგინა. "თელასის" მიერ 100 მვტ ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შემდეგ სესბ-ის მიერ დაწესებული ლიმიტის გადახედვა საჭირო არ გახდა, ვინაიდან ბაზრის მიერ დადგენილი ლიმიტი "თელასის" რეალური მოხმარებისთვის საკმარისია. უბრალოდ, 100 მვტ ელენერგიის იმპორტის შემოტანის შემდეგ სესბ-ის მიერ დაწესებულ 5,5 მლნ კვტსთ ლიმიტში იმპორტის ხარჯზე ბაზრის წილობრივი მონაწილეობა შემცირდა.

აჭარა - აჭარის ენერგოკომპანიას მოთხოვნილი დღეღამური მოხმარების 1,3 მლნ კვტსთ-ის ნაცვლად 0,767 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება დაუდგინდა. ანუ აღნიშნული კომპანია მოთხოვნილი 70 მვტ-ის ნაცვლად 45 მვტ-ის სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს.

კახეთი - კახეთის ენერგოკომპანია მაქსიმუმზე მოთხოვნილი 35 მვტ-ის ნაცვლად 17 მვტ სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია - აღნიშნულმა ენერგოკომპანიამ დღეღამური მოხმარებისთვის 3,8 მლნ კვტსთ ელექტროენერგია მოითხოვა. სესბ-დან კი ელექტროენერგიის ლიმიტი 1,289 მლნ კვტსთ-ით განესაზღვრა. ანუ გაერთიანებული ენერგოკომპანია პიკის საათებში საჭირო 280 მვტ-ის ნაცვლად 114 მვტ ელექტროენერგიას მიიღებს.

აჭარის, კახეთისა და გაერთიანებული ენერგოკომპანიებისთვის მოთხოვნილი ელექტროენერგიის ლიმიტის შემცირება მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლებიდან არის განპირობებული. რაც შეეხება თბილისის გამანაწილებელი კომპანიისთვის ელექტროენერგიის ლიმიტს, აღნიშნულ კომპანიას ელექტროენერგია მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდება.

[illegible]

2003 წლის ოქტომბრის [illegible]

I. [illegible]

| | თვე, ათასი კვტსთ | დღეღამური | 0-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-20 | 20-21 | 21-22 | 22-23 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენგურჰესი | 233430 | 7530 | 220 | 200 | 180 | 180 | 180 | 200 | 230 | 280 | 390 | 310 | 310 | 310 | 290 | 270 | 270 | 270 | 270 | 320 | 390 | 470 | 520 | 520 | 520 |
| ვარდნილჰესი | 44640 | 1440 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 |
| ხრამჰესი 1 | 26815 | 865 | 40 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 65 | 65 | 65 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 35 | 35 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| ხრამჰესი 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 13392 | 432 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 |
| [illegible] | 20460 | 660 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 50 | 50 | 50 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 35 | 50 | 50 | 50 | 50 |
| [illegible] | 30380 | 980 | 40 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 40 | 45 | 45 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 45 | 45 | 50 | 50 |
| [illegible] | 369117 | 11907 | 393 | 343 | 323 | 323 | 323 | 343 | 373 | 478 | 628 | 548 | 508 | 473 | 453 | 433 | 433 | 433 | 438 | 488 | 593 | 693 | 743 | 748 | 748 |
| [illegible] | 110670 | 3570 | 120 | 120 | 120 | 120 | 120 | 120 | 120 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 180 | 180 | 180 | 180 | 180 |
| [illegible] | 479787 | 15477 | 513 | 463 | 443 | 443 | 443 | 463 | 493 | 628 | 778 | 698 | 658 | 623 | 603 | 583 | 583 | 583 | 588 | 638 | 773 | 873 | 923 | 928 | 928 |
| [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 479787 | 15477 | 513 | 463 | 443 | 443 | 443 | 463 | 493 | 628 | 778 | 698 | 658 | 623 | 603 | 583 | 583 | 583 | 588 | 638 | 773 | 873 | 923 | 928 | 928 |
| [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| [illegible] | 479954 | 15482 | 510 | 468 | 446 | 441 | 440 | 462 | 495 | 630 | 775 | 698 | 662 | 622 | 608 | 587 | 589 | 588 | 591 | 633 | 768 | 874 | 921 | 923 | 925 |
| [illegible] | 55149 | 1779 | 59 | 53 | 51 | 51 | 51 | 53 | 57 | 72 | 89 | 80 | 76 | 72 | 69 | 67 | 67 | 67 | 68 | 73 | 89 | 100 | 106 | 107 | 107 |
| [illegible] | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 |
| [illegible] | 424805 | 13703 | 450.7 | 414.7 | 394.7 | 389.7 | 388.7 | 408.6 | 438.1 | 557.8 | 685.8 | 618.3 | 585.9 | 550.0 | 538.6 | 520.1 | 522.1 | 521.4 | 522.7 | 560.2 | 678.6 | 774.1 | 815.4 | 816.2 | 817.9 |
| [illegible] | −167 | −5 | 3 | −5 | −3 | 2 | 3 | 1 | −2 | −2 | 3 | 0 | −4 | 1 | −5 | −4 | −6 | −5 | −3 | 5 | 5 | −1 | 2 | 5 | 3 |

II. [illegible]

| | თვე, ათასი კვტსთ | დღეღამური | 0-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-20 | 20-21 | 21-22 | 22-23 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 424805 | 13703 | 451 | 415 | 395 | 390 | 389 | 409 | 438 | 558 | 686 | 618 | 586 | 550 | 539 | 520 | 522 | 521 | 523 | 560 | 679 | 774 | 815 | 816 | 818 |
| [illegible] | 169570 | 5470 | 160 | 110 | 100 | 100 | 100 | 110 | 130 | 170 | 300 | 280 | 270 | 240 | 230 | 220 | 220 | 220 | 220 | 250 | 280 | 350 | 370 | 370 | 370 |
| [illegible] | 26453 | 853.5 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.4 | 41.9 | 34.2 | 34.2 | 34.2 | 34.1 | 35.0 | 35.4 | 35.9 | 34.9 | 35.6 | 33.3 | 36.8 | 35.4 | 37.4 | 36.6 | 44.9 | 43.6 |
| [illegible] | 57815 | 1865 | 70 | 75 | 65 | 60 | 60 | 70 | 75 | 95 | 85 | 85 | 80 | 75 | 70 | 70 | 70 | 70 | 70 | 75 | 75 | 80 | 100 | 100 | 100 |
| [illegible] | 23777 | 767 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 25 | 35 | 35 | 35 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 40 | 45 | 45 | 45 | 45 |
| [illegible] | 8867.9 | 286.1 | 9.84 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 12.89 | 16.89 | 13.89 | 8.97 | 8.95 | 10.57 | 8.97 | 8.97 | 8.97 | 9.05 | 10.57 | 13.15 | 17.97 | 19.57 | 17.95 | 17.97 |
| [illegible] | 7626.0 | 246.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 11.0 | 15.0 | 12.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 11.0 | 17.0 | 17.0 | 17.0 | 17.0 |
| [illegible] | 1241.80 | 40.06 | 1.84 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 0.97 | 0.95 | 2.57 | 0.97 | 0.97 | 0.97 | 1.05 | 2.57 | 2.15 | 0.97 | 2.57 | 0.95 | 0.97 |
| [illegible] | 36859 | 1189 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 77.0 | 77.0 | 28.5 | 24.0 | 21.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 19.0 | 19.0 | 110.0 | 112.5 | 114.0 | 114.0 | 113.5 |
| [illegible] | 34323.1 | 1107.13 | 41.03 | 49.94 | 49.94 | 49.99 | 50.00 | 50.02 | 50.15 | 44.17 | 46.51 | 50.51 | 45.56 | 47.80 | 45.83 | 40.56 | 41.61 | 42.87 | 45.83 | 48.89 | 37.51 | 45.28 | 44.98 | 43.87 | 46.54 |
| [illegible] | 86304 | 2784.0 | 115.0 | 115.0 | 115.0 | 115.0 | 115.0 | 115.0 | 116.0 | 116.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 117.0 | 116.0 | 116.0 | 115.0 | 115.0 | 115.0 |
| [illegible] | 44640 | 1440.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 |
| [illegible] | 20088 | 648.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 |
| [illegible] | 372.0 | 12.0 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 |
| [illegible] | 4464.0 | 144.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| [illegible] | 1116.0 | 36.0 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 |
| [illegible] | 5208.0 | 168.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 7.0 | 7.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 7.0 | 7.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| [illegible] | 10416 | 336.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 |
| [illegible] | 26803.0 | 865.0 | 35.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 36.30 | 37.20 | 37.20 | 30.50 | 29.80 | 33.40 | 24.40 | 23.50 | 26.00 | 28.60 | 34.00 | 28.50 | 38.20 | 38.70 | 36.30 | 37.90 |

[illegible]

# ყაზბეგობა

*წლევანდელი 19 ოქტომბერი ყაზბეგელთათვის შარშანდელივით მზიანი არ გამოდგა, მაგრამ სითბო არც ამ დღეს აკლდა. გუშინ ხევში დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის 155 წლისთავი აღინიშნა და ამასთან დაკავშირებით ყველა დაშაქრული ენით საუბრობდა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

განსაკუთრებული სიტყვატკბილობით მაინც პრეზიდენტის რწმუნებული არმაზ შამანაური გამოირჩეოდა. მან ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აუხსნა სიყვარული მოხევეებს და მომავალში ამ გრძნობის საქმით დამტკიცების პირობაც დადო. შემდეგ კი ისეთი სასიხარულო განცხადება გააკეთა, ხალხმა ტაში დაუკრა.

**"დღეს ძალიან ბევრი სტუმარი გვყავდა მოწვეული. სახელმწიფო მინისტრიც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ უამინდობამ შეუშალა ხელი და მე დამავალა, მეცნობებინა თქვენთვის, რომ 22 ოქტომბერს, ოთხშაბათს ხევში გაზი ჩაირთვება და მთელი ზამთრის განმავლობაში აღარ გამოირთვება,"** – ბრძანა შამანაურმა. ამაზე დიდ საზამთრო საჩუქარს უტყეო მთის შვილები მთავრობისაგან, ცხადია, არც ელოდნენ და ხალხმა ეს შესაბამისი აპლოდისმენტებითაც გამოხატა.

გახარებულმა მოხუცმა კი გვითხრა:

**"შარშანაც ასე იყო, კაცო. 19-ში ჩამოვიდა თოფაძე, ჯორბენაძეც ჩამოჰყვა და თქვა, რო 21-ში გაზს ჩაგირთავთო. მართლაც ჩართეს და მაისამდე აღარ გამოურთიათ."**

ამასობაში ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში შეკრებილი საზოგადოება საიუბილეო შეხვედრას განაგრძობდა. გენერალ მოჩხუბრიშვილის დიდი ქვის სახლის ბაქანზე ერთმანეთს ცვლიდნენ მწერლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი და ადგილობრივი ლექსის მთქმელები. ყოველი მათგანი ალექსანდრე ყაზბეგით იწყებდა და გოგი თოფაძით ამთავრებდა. სუსხიანი ამინდის მიუხედავად არც სიტყვა შეუმცირებია ვინმეს და არც გამომსვლელთა რიცხვი. ხალხი კი დიდიან-პატარიანა ყურადღებად იყო ქცეული. ეროვნული სიტყვისა და მადლიანი სიმღერის შემდეგ გოგი თოფაძე გამოვიდა, რომელმაც ყველასათვის სასიამოვნო მისია შეასრულა. ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებს "ხევის აღორძინების საზოგადოების მიერ" დაწესებული ყოველწლიური ფულადი პრემია მიანიჭა.

გოგი თოფაძე: **" მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოება მწერალთა კავშირის ჟიურის მიერ შერჩეულ კანდიდატებს ყოველწლიურად გადასცემს 20 ათასი დოლარის ფულად პრემიებს. დღემდე ჩვენი რჩეულები იყვნენ ოთარ ჭილაძე, რობიკო სტურუა, ჯანსუღ კახიძე და თამაზ ჭილაძე.**

**წელს ხუთი კანდიდატი გვეყოლება. ეს ის ხალხია, ვისი ნაშრომები დაკავშირებულია ხევთან: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ლითანიშვილი; ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ ავსაჯანიშვილი; მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი და მოქანდაკე მერაბ ფირალიშვილი, რომლის საუცხოო ქანდაკება ალექსანდრე ყაზბეგისა მალე საბურთალოზე დაიდგმება."**

განსაკუთრებით სასიხარულო გოდერძი ჩოხელის წარმატება გახლდათ, რაც თავად გოგი თოფაძემაც აღნიშნა: ძალიან მიხარია, რომ გოდერძი ჩოხელი კარგად გამოიყურება და იმედი მაქვს, პრემიით ცოტას ჩვენც გავამხნევებთო.

**"ალექსანდრე ყაზბეგის პრემია ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდოა, იმიტომ რომ მთაში დაბადებული, გაზრდილი კაცი ვარ და, თუ რამემ გადამაწყვეტინა მწერლობა, სწორედ ვაჟაფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება იყო,"** – ბრძანა თავის მოკლე ინტერვიუში გოდერძი ჩოხელმა.

ამის შემდეგ დოღი გაიმართა, რომელმაც განსაკუთრებით გაახალისა მოედანზე შეკრებილი ხალხი.

ასე დამთავრდა ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე, რომელიც ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარში დაიწყო. იქ სტუმრები და მასპინძლები დალოცა სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა მეუფე პეტრემ, რომელმაც დიდი მწერლის სულის საოხი პანაშვიდიც გადაიხადა და ბრძანა, ლოცვითი შეწევნა შევვედროთ, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილსო.










## მოსკოვში არჩევნების წინ ჟურნალისტებს ასამართლებენ

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუს ამომრჩეველს არჩევნების წინ უფლება აღარ აქვს, მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის კანდიდატი, როგორია იგი ოჯახში, რა მიდრეკილებები აქვს, რას ჰპირდება ხალხს და ა.შ.

კანონმდებლობაში შეტანილი შესწორებებით, საპარლამენტო არჩევნებამდე რუსეთში მასების ინფორმირება აგიტაციასთანაა გათანაბრებული. ასეთ პირობებში, ერთი მხრივ, მედია ვერ ასრულებს საკუთარ დანიშნულებას, მეორე მხრივ კი, ბევრი მოსკოვური გაზეთი და ტელეარხი რეალურად გაბანკროტების ზღურბლზე დგას.

რუსეთში მომქმედი ექვსი საერთონაციონალური ტელეარხიდან ექვსივე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა, ოპოზიციური აზრი არსაიდან აღარ ისმის. პრესისადმი ცინიზმის გამოვლინებაა ის, რომ "ენტევე" დროდადრო მაყურებელს სთავაზობს პროგრამა "სიტყვის თავისუფლების" ძველ ჩანაწერებს.

გასული კვირის ბოლოს რუსეთის პარლამენტი რამდენიმე საათის განმავლობაში ბჭობდა იმაზე, გადაიცეს თუ არა პირდაპირ ეთერში ტელედებატები პოლიტიკოსების მონაწილეობით, თუ მოულოდნელობების გამოსარიცხად, გადაცემის ჩაწერა და შემდგომ რედაქტირებაა უფრო გამართლებული. თუმცა, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, თვით კომუნისტური დუმა, მორალური თვალსაზრისით, რუსეთის ხელისუფლებაზე ბევრად ზნემაღალი აღმოჩნდა. რუსმა დეპუტატებმა კატეგორიულად მოითხოვეს ტელედებატების ღია ეთერში გაშვება. ეს მაშინ, როცა მოსკოვში ბევრი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა და ტელეარხების პროდიუსერებმა, კომენტატორებთან ერთად, უარი განაცხადეს ღია ეთერზე. მაგალითად, რუსეთის ტელევიზის პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინ ერნსტმა პრესკონფერენციაზე ასეთი "არგუმენტი" მოიყვანა: **"დებატების ჩაწერა გამორიცხავს დროში გაწელილ პოლემიკას."**

რუსეთის სუბიექტებში გახშირდა ჟურნალისტთა დაშინებისა და მკვლელობის ფაქტები. გაზეთები გვერდს უვლიან საარჩენო ანალიტიკას. ხალხმა არ იცის, ვის აძლევს ხმას და როგორ ქვეყანაში გაიღვიძებს არჩევნების შემდეგ. ორი პატარა მაგალითი წინასაარჩევნო მოსკოვის ჟურნალისტური სამზარეულოდან: რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში მიიწვიეს წარსულში ცნობილი ტელეწამყვანი სერგეი დორენკო და კომპარტიის ფრაქციის წარმომადგენელი ქალბატონი. ლონდონიდან ტელეფონით ბორის ბერეზოვსკი და იგორ მალაშენკო უნდა ჩაერთოთ. მოულოდნელად, მთელ რედაქციაში გამოირთო ტელეფონები. მეორე მაგალითი: მოსკოვში დუბროვკის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ფილმის "ტერორი მოსკოვში" ჩვენებაზე უარი განაცხადა მოსკოვის კინოცენტრმა. ფილმი ანდრეი სახაროვის ფონდში წაიღეს. ჩვენების წინ შენობაში შუქი გამოირთო.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ სამაგალითოდ დასაჯა ერთი მოსკოვური გამოცემის ჟურნალისტი, რომლემაც დეპუტატობის კანდიდატზე პოზიტიური ინფორმაციის შემცველი სტატია გამოაქვეყნა: პუბლიკაციაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დეპუტატობის კანდიდატმა პეტროვმა თავისი სამი შვილი დილით სკოლაში მიიყვანა.

მეორე შემთხვევაში სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ჟურნალისტს, რომელიც წერდა, რომ დეპუტატობის კანდიდატმა დილით გაიღვიძა, რამდენიმე ჰექტარიან ეზოს თვალი მოავლო და ვეღარ დაინახა საკუთარი "მერსედესი", რომელიც წინა ღამით გაეტაცათ. რუსეთის კონსტიტუციის გარანტთა აზრით, მასალა ნეგატიურ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ, იმავდროულად, თურმე შეეძლო, მკითხველში სოლიდარობის გრძნობა გამოეწვია. ეს კი წინსაარჩევნო პიარია.

ამ დროს საზღვარგარეთულ ტურნეში მყოფი რუსეთის პრეზიდენტი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: **"რუსეთში სიტყვის თავისუფლება არასოდეს ყოფილა!"**

ამით ყველაფერი ნათქვამია.

## „ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურებმაც დაიდეს წილი"

პირველი გვერდიდან

ამაში კი ყველაზე დიდი წვლილი დღევანდელ ხელისუფლებას მიუძღვის, რომელიც ხალხს საკუთარი წარმომადგენლების არჩევისა და ნების გამოხატვის საშუალებას არ აძლევს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს უკვე ჩანდა, რომ ტოტალური გაყალბება იქნებოდა. რა თქმა უნდა, ხალხს აქვს პროტესტის გამოხატვის უფლება. ის, რაც 16 ოქტომბერს მოხდა, ყოველგვარ ჩარჩოებს გასცდა. კატასტროფა იყო, როცა ორი მხარე ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით ებრძოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას შეუძლია გაიყოს იმ ნაწილებად, რომელიც ასეთი ხერხებით დაუწყებს ერთმანეთს ბრძოლას. სახელისუფლებო ძალები ბევრად ძლიერნი არიან და ისინი, ალბათ, უახლოეს მომავალში სიტუაციის ჩაწყნარებას შეძლებენ, მაგრამ როცა საზოგადოების ასეთი გახლეჩა ხდება, ეს უკვე სერიოზული საქმეა.

**- რამდენად იყო შესაძლებელი ამ მოვლენების თავიდან არიდება იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია ერთიანი იქნებოდა და იმ ხელშეკრულებას დაიცავდა, რომელიც ე.წ. ლონდონის ხელშეკრულების სახელით არის ცნობილი. ანუ ოპოზიცია არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ხელისუფლებასთან ბრძოლის, მოქმედების ერთიან სტრატეგიას შეიმუშავებდა...**

- შეიძლებოდა არიდება. მაგრამ, სამწუხაროდ, შეთანხმებებს ყოველთვის როდი იცავენ. ახლა არ შემიძლია იმის განმარტება, თუ რატომ მოხდა ეს. თუმცა, ვფიქრობ, პოლიტიკა იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ვიღაცის მოტყუებას ცდილობდე. ყოველთვის სუფთა პოლიტიკის მომხრე ვიყავი, მე ჩემი სიტყვა შევასრულე.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თქვენ უკვე მაშინ განუდექით გაერთიანებულ ოპოზიციას, როცა თქვენი პარტიის წევრები პარტია "მუსავატის" მიერ ორგანიზებულ მიტინგს არ დაესწრნენ?**

- უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ ერთობლივი აქციის ჩატარების შესახებ პარტიებს შორის კონკრეტული შეთანხმება არ ყოფილა. არანაირი გვერდზე განდგომის შესახებ არ შეიძლება საუბარი. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ ვინ დაიწყო ეს დემონსტრაციები, რა ძალები მონაწილეობდნენ მასში. "მუსავატებმა" ჩვენთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტეს ამის გაკეთება, თუმცა, საბოლოოდ, ჩვენი პარტიის წევრებმაც გადაწყვიტეს მათ მხარდასაჭერად ამ მიტინგზე მისვლა. სხვათა შორის, მქონდა ინფორმაცია, რომ მიტინგის დროს ხალხში ძალზე ბევრი კარგად მომზადებული პროვოკატორი იქნებოდა, რომელთა მთავარი მიზანი მიტინგის დროს შეხლა-შემოხლის გამწვავება, შეტაკებისთვის სასტიკი სახის მიცემა იყო. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია, რომ ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურებმაც დაიდეს გარკვეული წილი. რა თქმა უნდა, მიტინგი "მუსავატების" მიერ იყო ორგანიზებული, მაგრამ, საბოლოოდ, ვითარებას ისინი უკვე აღარ მართავდნენ...

**- რამდენად მართალია ცნობა იმის შესახებ, რომ თავისუფლების მოედანზე მომხდარი დიდი აქციის შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთობლივი სტრატეგიის შესამუშავებლად გარკვეული გეგმები დასახეს?**

- ასეთი რამ არ ყოფილა.

**- ე.ი. ამჟამად თქვენ არანაირი კავშირი, ურთიერთობა არ გაქვთ "მუსავატებთან"?**

- ისინი ახლა იატაკქვეშეთში წავიდნენ...

**- საუბრობენ იმის შესახებ, რომ არჩევნების გამო გამართული აქცია-მიტინგების შემდეგ ბევრი მათი მომხრე იდევნება...**

- რეპრესიები მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება, არა მხოლოდ "მუსავატის" პარტიის წარმომადგენლების, აქტივისტების მიმართ, არამედ საერთოდ - ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერებისადმი. არის ხალხი, რომელიც იძებნება და იდევნება. "მუსავატებს", ბუნებრივია, უფრო მეტად ერჩიან, რადგან ისინი მეტნი არიან და სამართალდამცავებს მათ შესახებ კონკრეტული ვიდეო მასალა, ფოტოსურათები მეტი აქვთ.

**- რამდენად სამართლიანად ჩატარდა არჩევნები, კონკრეტულად, თქვენს მიმართ? ითვლება, რომ თქვენ და თქვენს პარტიას საკმაოდ მაღალი რეიტინგი გაქვთ, ამ დროს კი არჩევნებისას საკმაოდ დაბალი მაჩვენებლები გქონდათ.**

- ჩვენს მიერ ორგანიზებულ მიტინგებში, დაახლოებით, ათჯერ მეტი კაცი მონაწილეობდა, ვიდრე ის რაოდენობა, რაც ჩემს ამომრჩევლად არის ნაჩვენები. ჩემს მხარდამჭერად 70 000 ათასი კაცია მითითებული.


*სისხლისღვრა ბაქოს ქუჩებში.*

**- ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია და დამკვირვებელი აღიარებს, რომ არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა. რატომ არ დააფიქსირა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაცრად ეუთო-მ?**

- იმიტომ, რომ ყველას თავისი კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი აქვს, რომელიც დღევანდელი რეჟიმის მიერ არის გარანტირებული. შესაბამისად, ისინიც ბევრ რამეზე თვალს ხუჭავენ. მაგრამ მთავარია, რომ ხალხი სულით არ დაეცეს. არ უნდა იფიქრო, რომ ეს არის ბოლო შანსი და ამის მეტი აღარ იქნება. ხალხის სულით დაცემა არსებული რეჟიმის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ახლა, ამ ბრძოლის შემდეგ, თითოეული ძალა საკუთარი ჭრილობების მოშუშებით არის დაკავებული. მთავარი ის კი არ არის, რომ ოპოზიცია ერთიანი ფრონტით იბრძოდეს, არამედ ის, რომ ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს.

**- როგორ პროგნოზს გააკეთებდით აზერბაიჯანში პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში?**

- ახლა ბრძოლის სხვა სტადია დაიწყო. მიმდინარეობს ბრძოლა ვითარების ჩაწყნარებისათვის და, შესაბამისად, არანაირი საუბარი არ არის იმის შესახებ, თუ ვის რა შანსები აქვს ქვეყნის მეთაურად გახდომისა. დაძაბულობა გარკვეული ხანი იარსებებს. უფრო კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

www.24hours.ge 24 B

# მომავალ ორშაბათამდე

ნოდარ ლადარია

უახლოესი წარსულის მოვლენათაგან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე **ედუარდ შევარდნაძის** ერთმა ცნობილმა განცხადებამ მოახდინა, რომელსაც უკვე შევეხე "24 საათის" ფურცლებზე. და მაინც, ვერა და ვერ დავივიწყე, რომ ჩვენი ქვეყნის მეთაურს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობა საქართველოს პრეზიდენტობაზე უფრო მაღალ თანამდებობად მიაჩნია. გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტი, მაგალითად, **იგორ ივანოვს** თავის უშუალო შეფად აღიქვამს... არა, ახლა სრულიად არ ვაპირებ საუბარს **ირინა სარიშვილ-ჭანტურიაზე** — თუ ვინმეს რამე გასარკვევი დარჩა ამ "შპიონობანაში", უმჯობესია, 14 ოქტომბრის ნომერი გადაშალოს და **ირაკლი ბერიაშვილის** სვეტი წაიკითხოს — *ირინა მზეზე*. იქ საკმარისად გამომზეურდა ყველაფერი.

მე სულ სხვა მიზეზით გავიხსენე შევარდნაძის ის ავადსახსენებელი განცხადება. აგონიური ბოდვა ესოდენ ხანგრძლივი ყურადღების ღირსი არ იქნებოდა, მის უკან უკვე საკმაოდ ხილული ტენდენცია რომ არ ჩანდეს...

ახლა კი შორიდან უნდა დავიწყო, რადგან ჩვენი ცხოვრების მთავარი შინაარსი პოლიტიკა არაა: მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების წინა პერიოდი გვიდგას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ პოლიტიკური არჩევანი გადაწყვეტს ჩვენს მომავალ ბედს, მაინც არ უნდა დავკარგოთ ჩვენი შინაგანი რესურსების ზუსტი შეფასების უნარი.

ოდესღაც დეკანოზ **პავლე ფლორენსკის** რომელიღაც ნაწარმოებში წავაწყდი ერთ ფრაზას: "*კულტურებს გარეგანი მტერი ვერაფერს აკლებს. კულტურები მაშინ იღუპებიან, როცა ყველა ერთად რატომღაც ინტერესს კარგავს*". აი, 14 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ **ნინო ჭანიშვილის** მასალას *ვინ უნდა გაქაჩოს ქართული კულტურა*. ამ წინადადებას ბოლოში ალბათ კითხვის ნიშანი მოუხდებოდა და არც სიტყვას "გაქაჩოს" აწყენდა ბრჭყალებში ჩასმა, მაგრამ ასეა თუ ისე, სათაურის აზრი მაინც გასაგებია. დავიწყოთ სტატიის კითხვა: "**რატომ არ არის პოპულარული თბილისის საგალერეო ცხოვრება, რატომ ვერ ხორციელდება საინტერესო მხატვრული პროექტები საქართველოში, რატომ ვერ ახერხებს ქართული კულტურა ფინანსების მოპოვებას და რა უშლის მას ხელს, რომ თავის ქვეყანაშივე გახდეს პოპულარული — ეს ის საკითხებია, რომლებიც გუშინ ბაზრობა "კავკასია 2003" ფარგლებში მოწყობილ კონფერენციაზე დაისვა**". ერთი შეხედვით, ყველაფერი შესანიშნავადაა: საკითხები მართლაც საჭირბოროტოა და უნდა გაგვიხარდეს, რომ ქართველმა "გალერისტებმა" (არ ვიცი, შევიდა თუ არა ეს სიტყვა ქართული ენის სალიტერატურო ლექსიკაში, მაგრამ სიმოკლისა და მოხერხებულობის გამო მეც გამოვიყენებ), ბოლოს და ბოლოს, მოიცალეს მათ გადასაწყვეტად. მაგრამ ოდნავ ქვემოთ ვიგებთ, რომ "**კონფერენცია... გაზეთ "კულტურას" კორესპონდენტმა საქართველოში, ვერა წერეთელმა მოაწყო**". აჰა, ესე იგი, სულ ტყუილად მივაწერეთ ეს ღვაწლი ქართველ გალერისტებს, რომელთა უმრავლესობა, როგორც სტატიიდან ირკვევა, "**ჩვენი სახელმწიფოთი უკმაყოფილოა, უფრო ზუსტად კი კულტურის სამინისტროთი**". ამის მერე იურისტმა ნინო კუნცევამ "**სახელმწიფოზე განაწყენებულ გალერისტებს შესთავაზა, პირველ რიგში, საქართველოში კულტურაზე არსებული საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, შემდეგ კი ამ ბაზის თავიანთივე სასარგებლოდ გამოყენება**". შენდობას ვითხოვ ამ საშინელი ქართულისთვის, მაგრამ სტატიაში სწორედ ასე წერია და ვერაფერს შევცვლი. მხოლოდ ის შემიძლია, მოკლედ გადმოვცე, რაც გავიგე. მაშ ასე, რუსული გაზეთის "კულტურას" კორესპონდენტმა ვერა წერეთელმა ჩვენს გალერისტებს კონფერენცია მოუწყო; მათ არც აციეს, არც აცხელეს და ტირილი მორთეს, აქაოდა სახელმწიფო არ გვაფინანსებსო; მერე იურისტმა ნინო კუნცევამ საქმის კეთება შესთავაზა (ნეტა ვინაა ეს კუნცევა და აქვს თუ არა რაიმე კავშირი გაზეთ "კულტურასთან"? — ამის შესახებ სტატიაში არაფერია ნათქვამი), რაზეც, როგორც ეტყობა, ჩვენმა გალერისტებმა მხრები აიჩეჩეს: "ეჰ, აქამდე ის გვეგონა, ჩვენი "გაქაჩვა" გინდოდათ და ფულებსაც დაყაჭავდით, თქვენ კიდევ კანონებიო და ისაო კიდევ! — ეს ხომ ისედაც ვიცით, რადნაია ნაშა ნინა ივანოვნა". მაგრამ იურისტი კუნცევა არ ცხრებოდა და კვლავაც აყრიდა ცრცვს ჩვენი გალერისტების ცოცხალ კედელს: "**ნურასდროს ეძებთ ფულს, ეძებეთ იდეები, ხოლო თუ იდეები არა გაქვთ, ფულს ტყუილად ნუ დახარჯავთ**". ხომ წარმოგიდგენიათ ქართველების იმედგაცრუება! ახლა კი საოცარი აბზაცი ნინო ჭანიშვილის სტატიიდან:

"**მართალია, კონფერენციაზე მყოფი გალერისტები გამუდმებით კულტურის სამინისტროს და საკუთარ სახელმწიფოს საყვედურობდნენ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში ვერც ერთმა გალერეამ ვერ მოახერხა, რომ თუნდაც ერთი მხატვარი "გაექაჩა" და ეს მხატვარი თავისი პოპულარობით ქართული შოუ-ბიზნესის რომელიმე "ვარსკვლავს" გატოლებოდა**".

ნეტა, ჩვენი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავების პოპულარობა რა შესაშურია, ან მსოფლიოს რომელ კუთხეში ამტვრევენ პირყვითელა ფანები საგამოფენო დარბაზის კარებს?!

ახლა კი ჩვენი ყურადღების ფოკუსში ისევ ედუარდ შევარდნაძე გამოჩნდა:

"**ხელოვნება, სათანადოდ რეკლამირებული და მიმზიდველად მოწოდებული, ალბათ შეუმჩნეველი არასდროს დარჩება. მაგალითისთვის კი რობერტ კაპას გამოფენის მოწყობა შეიძლება მოვიყვანოთ, რომელიც პრეზიდენტსაც კი არ დარჩა შეუმჩნეველი და თავად ეწვია გამოფენას**".

აქ პირველი წინადადება მაინც შევასწორე სტილისტურად, მეორე წინადადების შესახებ კი ეს უნდა ვიკითხო: ნუთუ სტატიის ავტორს სჯერა, რომ შევარდნაძის სტუმრობა კარგად მოფიქრებული რეკლამის შედეგი იყო?

ეს პუბლიკაცია პრეზიდენტით დავიწყეთ და თუ ახლა ისევ პრეზიდენტს მივადექით, სულაც არ ნიშნავს, რომ წრედი შეიკრა: შევარდნაძის კაპიტულანტობასა და ჩვენი გალერეების საქმიანობას შორის გაცილებით უფრო ღრმა კავშირია, რომლის გასარკვევად და წრედის შესაკვრელად 16 ოქტომბრის ნომერი უნდა გადავშალოთ და **თეონა ჯაფარიძის** სტატია წავიკითხოთ: *თბილისში ზიჩის შეეშინდათ*. ამის კითხვაც დავიწყოთ: "**გუშინ სალამოს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს, თბილისის გალერეებმა არსებობა შეწყვიტეს**". საქმე მარტო ის არ გახლავთ, რომ გალერეა "ტი-ემ-ესი" (ავტორი მას "რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ ცნობილ გალერეას" უწოდებს, ალბათ მოჭარბებული ხათრიანობის გამო) რომელიღაც მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო შტაბად იქცა (მე ხათრიანობა არ მაწუხებს, უბრალოდ, გვარს ვერ ვიხსენებ). საქმე გაცილებით უფრო მძიმედაა: "ძველ გალერეაში" 15 ოქტომბერს **მიხაი ზიჩის** ეროტიკული გრავიურების გამოფენა უნდა გახსნილიყო, მაგრამ "**გალერისტი მანანა ვადაჭკორია დამთვალიერებლებს ატყობინებდა, რომ გრავიურები გამოფენის გახსნამდე გალერეაში ტელეფონით შემოსული მუქარის ზარის გამო ჩამოხსნეს: უცნობები გალერეის მეპატრონეებს ზნეობაზე მიუთითებდნენ და მოითხოვდნენ, არ გამოეფინათ უნგრელი მხატვრის, "ვეფხისტყაოსნის" ცნობილი ილუსტრატორის ჩვენთვის აქამდე უცნობი ეროტიკული ნამუშევრები**".

ჯერ ერთი, თუ ვინმე შეურაცხყოფილად გრძნობს თავს იმის გამო, რომ "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრატორი ეროტიკულ ჟანრშიც მუშაობდა, იმისთვის იბრძოლოს, რომ შოთა რუსთაველის პოემა აღარ გამოსცენ ზიჩის ილუსტრაციებით. მაგრამ ჩვენს მორალისტებს უფრო ადვილი ის ჰგონიათ, რომ უნგრელი მხატვრის ბიოგრაფიიდან ამოგლიჯონ უტყუარი ფაქტები. და მაინც, მსოფლიო მიხაი ზიჩის ეროტიკულ გრავიურებს უფრო იცნობს, ვიდრე "ვეფხისტყაოსნის" მისივე ილუსტრაციებს, საქართველოს საზღვარზე რკინის ფარდის ჩამოშვება კი, მადლობა ღმერთს, აღარ მოხერხდება.

გარდა ამისა, ისიც ვიკითხოთ, რას ნიშნავს ზნეობაზე ანონიმური მითითება? მაგრამ ახლა სხვა შეკითხვაზე გვსურს პასუხის მიღება: რას ნიშნავს გალერისტი — ჩვენი ლექსიკის ფარგლებში ჯერ კიდევ ნეოლოგიზმის სამოსელში მავალი სიტყვა? თუ ორი უკვე მოხსენიებული პუბლიკაციის საფუძველზე ვიმსჯელებთ, გალერისტი მათხოვარს უნდა ნიშნავდეს, რადგან სწორედ იგი ითხოვს წამდაუწუმ ფულს და ეშინია რისკის. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში პარიზელმა ქალბატონებმა ქოლგებით დახვრიტეს იმპრესიონისტების ნამუშევრები. ისინიც "ზნეობას" და "ტრადიციას" იცავდნენ, თანაც სრულიად აშკარად და არა ანონიმურად, მაგრამ პარიზელ გალერისტებს მაინც არ შეეშინდათ. ჩვენებს კი რისი ეშინიათ? — ალბათ რამდენიმე კვადრატული მეტრი ფართის დაკარგვისა. ან როგორ უნდა დაკარგონ? — დიდი-დიდი ვინმე ზნეობრივ "ახვარს" დაერბია "ძველი გალერეა" და თითო-ოროლა შუშა ჩაემტვრია, ან ხუთიოდე ქსეროასლი ჩამოეგლიჯა კედლიდან და შინ წაეღო (ზნეობრივ "ახვრებს" ეროტიკის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ). ნუთუ ეს საკმაო საბაბია შიშისთვის? მაგრამ ჩვენი გალერისტებიც ხომ ქართველები არიან და ძირითადი ქართული ინსტინქტი — ფიზიკური გადარჩენისაკენ სწრაფვა — მათაც არ ასვენებს. ისევე როგორც ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც პრეზიდენტის თანამდებობამაც არ გაუქრო იმის შეგრძნება, რომ ქვეყანა უპატრონოა: ამიტომაც უფრო მაღალ თანამდებობად ის ეჩვენება, სადაც პატრონი ჰყავდა. ჰოდა, გამოდის, რომ პრეზიდენტსაც და გალერისტსაც ის აერთიანებს, რომ ერთიც და მეორეც თავისი ძირითადი მოვალეობის წინაშე პასუხისმგებლობას გაურბის.

აქ შეიკრა ჩვენი წრედი და თითქოს დენმაც უნდა დაგვიაროს. ალბათ სულის სიღრმემდე ვერ შეგვძრავს, მაგრამ ოდნავი ჟრუანტელი მაინც უნდა გამოიწვიოს. ფიზიკური გადარჩენისკენ (ნეტა, რა უნდა იყოს ეს გადარჩენა?) სწრაფვამ ჭეშმარიტების მიმართ ინტერესი დაგვაკარგვინა. თითქოსდა კი არ ვცხოვრობთ, საზოგადოება მიგვაწერს ჩვენივე ბიოგრაფიას, ვიღაცის ნებით ჩნდება და ქრება მოვლენები ადამიანების წარსულსა და აწმყოში: საკმარისია, ირინა სარიშვილი-ჭანტურია გამოვიდეს საჯაროდ და განაცხადოს, ბურჯანაძე და ჟვანია ჯაშუშებიაო, რომ ვალდებულნი ვართ არა მარტო ეს დავიჯეროთ, არამედ თვით ირინა სარიშვილ-ჭანტურიას ცხოვრებიდან დავივიწყოთ ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდებოდა; საკმარისია **ცოტნე ბაკურიამ** განაცხადოს, "კმარა" ჰომოსექსუალისტთა მოძრაობააო (ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს?), რომ ვალდებულნი ვართ, დავიჯეროთ — აბა, დამტკიცებას ხომ არ მოვთხოვთ, ქართველები ვართ, ბოლოს და ბოლოს; საკმარისია, "ზნეობრიობის" ვიღაც ანონიმურმა მსაჯულმა მოითხოვოს და ლამის უნგრელი მხატვრის ბიოგრაფიაც შეცვალონ. აი, ასე დაიკარგა ჩვენში ჭეშმარიტებისადმი ინტერესი და თვალსა და ხელს შუა აგვიხდა XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის, პავლე ფლორენსკის წინასწარმეტყველება. განა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენს კულტურას უკვე ველარაფერი უშველის?

ამ კითხვაზე გასული კვირის "24 საათი" მოსკოვში საკუთარი კორესპონდენტის, **რუსუდან ნიკურაძის** პირით პასუხობს — 14 ოქტომბერი, *მოსკოვში ქართული მუზები ალაპარაკდნენ*. სხვათა შორის, მუზები იმის ჩიტები არ არიან, უფასოდ ილაპარაკონ. მე კი ვერც გაზეთებში და ვერც ტელევიზიიდან ვერ გავიგე, ვინ და რამდენი დახარჯა მოსკოვში ქართული კულტურის ფესტივალის მოსაწყობად...

მაგრამ შორიდან დავიწყოთ: ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში პირველად 1937 წელს მოეწყო, როცა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი **ლავრენტი ბერია** იყო. მაშინ დეკადის მონაწილეები ერთად დაასახლეს გმირთა მოედანზე თერთმეტსართულიან სახლში. დღეს ალბათ კულტურის ფესტივალის მონაწილეები საჩუქრად "ცენტრპოინტის" ბინებს არ მიიღებენ, მაგრამ ღირსების ორდენები შეიძლება უკვე ელოდებათ კიდეც. საზოგადოდ, ძალიან მსგავსად მეჩვენება ამ ორი მოვლენის ირგვლივ გამეფებული განწყობა: აკი თვით **ზურაბ წერეთელმა** დაადასტურა ეს: "**რა კარგია, რომ ყველაფერი მეორდება. ეს ამბავი ძველ საბჭოთა დროს მაგონებს**". რუსუდან ნიკურაძე გვამცნობს, რომ "**მასპინძელი, რაღა თქმა უნდა, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი იყო**". ახლა კი დაფინანსების საკითხი ოდნავ უფრო ცხადი გახდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არა.

ქართველ მხატვრებს მართლაც გაუმართლათ, მოსკოველი გალერისტები ნაკლებად მშიშრები აღმოჩნდნენ: რუსეთის თანამედროვე ისტორიის სახელმწიფო ცენტრალურ მუზეუმში მათ ექსპოზიციაც გახსნეს — "საქართველოს პალიტრა". რუსუდან ნიკურაძემ იქ წარმოდგენილი ქართველი მხატვრების გვარები, როგორც ეტყობა, რუსული პრესრელიზიდან გადმოიწერა, თორემ **ნანა ჭურღულიას** *ნანა ჩურგულიად* არ მოიხსენიებდა: საქმეში ჩახედული ადამიანი მაშინვე მიხვდება, რომ მეგრელ ქალს არ შეიძლება ასეთი გვარი ჰქონდეს.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, თუ როგორ გადმოსცემს ავტორი მოვლენის პოლიტიკურ სარჩულს: "**რა ხდება ისეთი განსაკუთრებული ორი ქვეყნის ურთიერთობაში? რატომ ეთმობათ დღეს ქართული კულტურის მოღვაწეებს მოსკოვის საუკეთესო სცენები — დიდი თეატრი, ჩეხოვის სახელობის "მხატი", ახალი და პრესტიჟული მუსიკის სასახლე, ჩაიკოვსკის დიდი საკონცერტო დარბაზი? სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ თავდაცვის მინისტრი პრევენციული დარტყმებით იმუქრებოდა; პუტინი ჰიტლერსაც შეადარეს — ახლა რაღასთან გვაქვს საქმე?**". ეს კითხვები უპასუხოდ რჩება, თუმცა კი მათი დასმა სრულიად უაზროა, რადგან პასუხი ერთია: ფული, რომელიც არ ვიცით, რამდენი იყო და საიდან მოვიდა. პოლიტიკურ სარჩულს გულმოდგინედ აფარებენ ხელს: "**კარგით რა, რა ყველაფერში პოლიტიკას ხედავთ. დღეს, მაგალითად, ია ნინიძის შემოქმედებითი საღამოა... იქ, კაზინო "იმპერიალში" — ესეც პოლიტიკაა?**" — აღშფოთებულია ზურაბ წერეთელი და ჩვენც ვეთანხმებით, რადგან ია ნინიძის საღამო კაზინოში ნამდვილად არაა პოლიტიკა — ეს დიდი-დიდი პოლიტიკური ჩავარდნა შეიძლება იყოს, რადგან კულტურული მოსკოველი იქ არ მივა.

და მაინც, ჩვენც დავსვათ შეკითხვა: პოლიტიკური თვალსაზრისით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? რუსეთის მხრიდან ალბათ დიდს ვერაფერს: თავის დროზე, მაგალითად, ჩრდილოეთის ხალხების, ჩუკჩების, ნენცების, ევენკების გულის მოსანადირებელი საშუალება — სამეცნიერო ხარისხების მინიჭება — იმდენად გავრცელებული იყო, რომ ანეგდოტებშიც კი აისახა. ჩვენც გვაქვს ილუზია, თითქოს ჩვენი მსახიობებისა და მუსიკოსების ხელოვნებას რაღაც სერიოზული პოლიტიკური შედეგის მოტანა შეუძლია. ხომ გახსოვთ ყბადაღებული ფრაზა საბავშვო ანსამბლ "მზიურის" შესახებ: "აჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება". მოსკოვი ტაშს უკრავს, მოსკოვს ეს არ ენანება, მოსკოვი დიდია და მასში ყოველთვის მოიძებნება "სულიკოსა" და წითელი ღვინის იმდენი მოყვარული, თავისუფლად რომ აავსებს ნებისმიერ დარბაზს. რატომ არაფერს გვეუბნებიან იმაზე, რა ღირდა ბილეთები და რამდენად ადვილი იყო მათი შოვნა. არა, სრულიად არ ვამტკიცებ, რომ ბილეთები იაფი იყო და ყოველი მეტროს სადგურთან თავისუფლად იყიდებოდა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყოველი მოვლენის შესახებ არის არსებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მიწოდებული გაზეთის მკითხველისათვის, რომელსაც, იმედი მაქვს, სულ არ აინტერესებს, მაგალითად, **თენგიზ კიტოვანის** როყიო წამოძახილები დიდი თეატრის ფოიეში.

არსებითისა და ჭეშმარიტის მიმართ ჩვენი საყოველთაო უინტერესობა იწვევს იმას, რომ ასე მიამიტად გვიხარია ჩვენი ხელოვნების წარმატება რუსეთში და ისევ მსოფლიოს კიდედ მიგვაჩნია დიდი თეატრის სცენა. ამავე უინტერესობის გამო ხდება, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ქილიკობენ **შალვა ნათელაშვილისა** და მისი პარტიის რეიტინგის შესახებ, მაგრამ საშინლად ამაყნი ხდებიან, როცა **ვლადიმირ ჟირინოვსკის** მოუგებენ კამათში. თუ პირველ შემთხვევაში ჰყოფნით ჭკუა, მერე სადღა კარგავენ? ათიოდე წლის წინათ, მოსკოვში ყოფნისას, გვიან საღამოს ერთი მოხუცი ქალის ნათქვამს მოვკარი ყური: "вот выбрали Владимира Вольфовича в Думу, а трамваи все равно не ходят". ამომრჩეველსა და ამორჩეულს შორის ყოველთვის არსებობს იდუმალი შესაბამისობა. აქედან კი არა მარტო ის უნდა განვსაზღვროთ, რომ სრულიად უვნებელი ტაკიმასხარა აგვირჩევია საფრთხობელად, არამედ ისიც, რომ თევზის სიმყრალე, თუმც კი თავიდან იწყება, ტანზეც მალე გადადის.

ვშიშობ, ჩვენს შემთხვევაში უკვე ტანზეც გადავიდა, ამიტომაც დავტოვე დღეს უყურადღებოდ ქართული პოლიტიკური პერიპეტიების პირველი პლანი და მთელი ყურადღება მეორე პლანს დავუთმე. ბოლოს და ბოლოს აქ, სწორედ ამ მეორე პლანში ვცხოვრობთ მე და თქვენ, აქ იზრდებიან ჩვენი შვილები და ისინიც, ვინც სულ ახლო მომავალში ჩვენს ბედს გადაწყვეტენ. **გოგა ოქროპირიძემ** ორიოდე კვირის წინ შევარდნაძის ხელისუფლების დღევანდელ მდგომარეობას "პიროსის აგონია" უწოდა — პიროსი ჯერაც არ წასულა მოუსავლეთში, სადაც მას ასე მედგრად მიერეკება "კმარა". მაგრამ მაინც უნდა დავიწყოთ ბინის დალაგება, მაინც უნდა აღვიჭურვოთ მოთმინებით და გავიტანოთ მისი მყრალი განავლით სავსე ქოთნები, თორემ გვიან იქნება.

**P. S.** ჩემი წინა სტატიის შემდეგ რამდენიმე მკითხველისაგან ერთი და იმავე შინაარსის შენიშვნა მივიღე: არ შეიძლება **რევაზ თაბუკაშვილისა** და **აკაკი ბაქრაძის** ერთ დონეზე დაყენება. და თუმცა ასეთ შენიშვნას ყოველი ქართველი მხოლოდ ჩუმად და პირადად თუ გამოთქვამს, მე მაინც მსურს მასზე საჯაროდ გავცე პასუხი.

შეგახსენებთ, რომ საუბარი იყო იმაზე, რომ აკაკი ბაქრაძის ვაჟმა და რევაზ თაბუკაშვილის შვილიშვილმა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პასუხები გასცეს ერთსა და იმავე შეკითხვებზე. აქედან გავაკეთე დასკვნა, რომ წინაპართა მიერ ჩვენთვის დატოვებული კრიტერიუმები დღეს უკვე აღარაა საკმარისი სინამდვილის შესაფასებლად: მათ შორის ის კრიტერიუმიც, როცა ადამიანს მისი წარმომავლობით აფასებენ და ამის წყალობით საზოგადოებრივ გარანტიებსაც აძლევენ.

როგორც ეტყობა, მკითხველებმა რამდენიმე მიზეზის გამო ვერ გამიგეს:

1) ორ პიროვნებას შორის პარალელი ირონიული იყო, ირონია კი სნობურ გარემოში ყველაზე იშვიათად გამოყენებული და ძნელად საცნობი რიტორიკული ხერხია.

2) მოხარული ვარ, რომ ჩვენს ინტელექტუალებს კარგად ესმით ამ ორ პიროვნებას შორის არსებული ფაქიზი თვისებრივი განსხვავება, მეც ამ ინტელექტუალთა რიგებს მივაკუთვნებ თავს. ოღონდ სამყარო ჩვენით არ შემოიფარგლება და "24 საათისა" და, კერძოდ, ჩემი პუბლიკაციების მკითხველთა შორის ისინიც არიან, ვისგანაც ჩვენ ფენოვან ხაჭაპურებს ვყიდულობთ ხოლმე. ვერც იმის მტკიცებას მოვყვები, რომ მათაც ესმით ეს განსხვავება და ვერც იმას ავიტან, რომ ეს მდგომარეობა გაგრძელდეს. კრიტერიუმები ყველგან უნდა შეიცვალოს, ყველა საზოგადოებრივ დონეზე.

3) პიროვნებათა ღვაწლის მიხედვით დახარისხება დიახაც უნდა ხდებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მივიჩნიე არსებითად ყურადღების გამახვილება განსხვავებაზე: გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ჩადებული მცირეოდენი ნათელიც კი არ დაიკარგოს და თაობიდან თაობას გადაეცეს.

4) ჩემგან ძალიან ბევრს მოითხოვენ.



# ქალები ანტიკური სამყაროდან


ნანა ტონია, ქეთი ნადარეიშვილი და გუგა კოტეტიშვილი

თეონა ჯაფარიძე

"ასე მგონია, მომავალშიც გაგვიხსენებენ" - საფო, ძვ.წ.VII-VI ს.ს.

დიზაინერ გუგა კოტეტიშვილის მიერ ბაქოში შექმნილი ფოტოები ვინც იხილა, ყველას უმალ გაუქარწყლდა ამ დღეებში ტელევიზორში ნანახი ბაქოს სისხლიანი ქუჩებიდან გამოყოლილი თავზარდამცემი შთაბეჭდილება. უფრო გასაგებად მოგახსენებთ: 18 ოქტომბერს საზოგადოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერვე კორპუსში შეიკრიბა, სადაც კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა მეტად საინტერესო და, დღევანდელი გადასახედიდან, აქტუალური წიგნის პრეზენტაცია მოაწყო - მეცნიერული ნაშრომი "პენელოპეს" წარდგინება. ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტების" ავტორები, ქალბატონები - ნანა ტონია და ქეთი ნადარეიშვილი ბრძანდებიან, რომელთაც თავის დროზე გუგა კოტეტიშვილს მომავალი წიგნის გაფორმება შესთავაზეს. პრეზენტაციის დღეს ბაქოდან ახლად დაბრუნებულმა დიზაინერმა საზოგადოებას ფოტოგამოფენაც შესთავაზა: "ეს ის ასოციაციაა, რაც ამ წიგნზე მუშაობის შედეგად გამიჩნდა", - მითხრა მხატვარმა. წარმოდგენილი 12 დიდი ფორმატის ფოტო, ერთი შეხედვით, ფერწერულ ტილოებს წააგავს. "ბაქოდან რვა კილომეტრში, ზღვაში, პატარა კუნძულზე, სადაც შუქურა დგას, ერთი განმარტოებული სახლია", - მიხსნის გუგა; და მეც ვხვდები, რომ ეს ფერწერის განცდა ზღვისა და მზისგან გაცრეცილი ძველი სახლის კედლების ცალკეული ფრაგმენტებისგან იქმნება, სადაც ფოტოს სიზუსტით მხოლოდ კედლის ფაქტურა და შუქ-ჩრდილი ფიქსირდება.

ახალი წიგნის გარეკანიც, სწორედ ასეთივე პრინციპით, ფრაგმენტულია – ოღონდ, არა კასპიის ზღვის, არამედ ეგეოსური, მინოსური კულტურის კედლის ცნობილი ფრესკების ფრაგმენტებითაა დამშვენებული: კნოსოს სასახლის "პარიზელი ქალბატონითა" თუ "შროშანებიანი დარბაზის" მერცხლებით. "რა საჭირო იყო გარეკანზე ჩემი გრაფიკა, როცა ეს ფრესკები და ორნამენტები არსებობს," – ამბობს გუგა. სამაგიეროდ, მისი გრაფიკული მონახაზები წიგნის ყოველ ახალ თავთან და ახალ პერსონაჟთან ერთად იკითხება (მაღალ დონეზე შესრულებული წიგნის კომპიუტერული დიზაინი ბესიკ დანელიას ეკუთვნის). წიგნი გამომცემლობა "ლოგოსმა" გამოსცა.

თავად ნანა ტონიასა და ქეთი ნადარეიშვილის ნაშრომი, თავისთავად, მეტად აქტუალურია. ის სამი ნაწილისაგან შედგება: I – პოეტესები, II – ქალები საზოგადოებრივ სარბიელზე, III – ქალები, რომლებიც უყვარდათ. "წიგნი ფემინისტებსაც დააინტერესებთ და ჩვეულებრივ ქალბატონებსაც. რაც მთავარია, ის ახლა პოლიტიკოსებისთვისაა საინტერესო", - ითქვა პრეზენტაციაზე. თავად ქეთი ნადარეიშვილს მიაჩნია, რომ, - "წიგნი ნამდვილად არ არის ფემინისტური, უბრალოდ, ის კომპლექსური ნაშრომია ქალთა საკითხებზე. ცნობილ ბერძენ და რომაელ ავტორებზე დაყრდნობით, თითქმის, მთლიანადაა შესწავლილი ანტიკურ ქალთა პოტენციალი". წიგნის პრეზენტაციაზე ნაშრომს დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ცნობილმა მეცნიერებმა - რისმაგ გორდეზიანმა, ზურაბ კიკნაძემ და ოთარ ჯაფარიძემ.

ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები ცნობილი ლესბოსელი პოეტი ქალის საფოს, ერთდროულად, სკანდალური და რომანტიკული პორტრეტით იწყება." პორტრეტის ჟანრი იმიტომ ავირჩიეთ, რომ დამაინტრიგებელია და ადვილად იკითხება", - ამბობს ქალბატონი ქეთი ნადარეიშვილი.

და მართლაც, წიგნი დამაინტრიგებელია, ისევე, როგორც იმ ქალბატონთა ბუნება, რომელიც, ფაქტობრივად, ანტიკური სამყაროს ისტორიას ქმნიდა, და რომელსაც ზოგიერთი ძველი ავტორი, ჰესიოდესავით ქალთმოძულე, ბოროტების საწყისად მიიჩნევდა, ზოგი კი დიო კასიუსივით ხოტბას ასხამდა.

# ქალები ჰენდელის წინააღმდეგ

კონსერვატორიის საოპერო სტუდია "ამადიჩის" თანამედროვე თეატრალურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს


ორიანა – ნატალია ბოგდანოვა


ამადიჩი - ეკა გაბიტაშვილი


მელისა – თამარ სვანიძე

მადი სერებრიაკოვა

კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჰენდელის მოსასმენად მისულ ძველი მუსიკის მოყვარულთ გუშინ დიდი სიურპრიზი დახვდათ. ოპერა "ამადიჩის" ახალი სცენური ვერსია კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ სრულიად არაორდინარული ინტერპრეტაციით წარმოადგინა. ახალგაზრდა დირიჟორი ქალბატონის კორნელია ფონ კერსენბროკისა და მისი დის რეჟისორ ვერენა ფონ კერსენბროკის მიერ დადგმულ სპექტაკლში (სადაც მამაკაცთა, თითქმის, ყველა პარტიას, ტრადიციულად, ქალები ასრულებენ) ჰენდელის ზღაპრული გმირები ახალი ტექნოლოგიური მიღწევებით აღჭურვილ ინტერიერში თანამედროვე ჯარისკაცის კოსტიუმებით დააბიჯებდნენ. ჰენდელის ეპოქის მიმართ ფემინური კიჩის მამრობითი სქესის ერთადერთმა გმირმა კი სცენაზე ტრადიციული, ქართული ჩოხით შემოაბიჯა. კონსერვატორიის სტუდენტებმა ამ საკმაოდ სკანდალური სპექტაკლით თანამედროვე საოპერო რეჟისურის პრეტენზიული და მეტად არაორდინარული სამყარო აღმოაჩინეს.

კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მუშაობა სტუდენტებისთვის ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის ნაწილია. არატრადიციულობის ტრადიციაც, რომლის ნაწილი გუშინდელი "ამადიჩი" გახლდათ, ქართველი სტუდენტებისთვის თვალსაწიერის გაფართოების მცდელობა იყო. ექსპერიმენტული დადგმების მოდურ ტენდენციას დღეს მსოფლიოს ვერც ერთი ტრადიციული თეატრი ვეღარ არიდებს თავს. შესაბამისად, შეიცვალა მოთხოვნები მომღერლების მიმართაც - მათ მუსიკალურ ღირსებებზე მეტად არტისტული უნარ-ჩვევები მოეთხოვებათ. მოქნილმა, იუმორითა და სითამამით აღსავსე მსახიობებმა გრანდიოზული ხმისა და 100-კილოგრამიანი პრიმადონას მითი გააუფერულეს. ახალი ტიპის მომღერლების თაობას გუშინ კონსერვატორიის სტუდენტები წარმოადგენდნენ - ეკა გაბიტაშვილი (ამადიჩი), თამარ სვანიძე (მელისა), ნატა კიკნაძე (დარდანო), ნატალია ბოგდანოვა (ორიანა) და გიორგი დარბაიძე (ორგანდო).

"ამადიჩი" კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში გოეთეს ინსტიტუტისა და ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. სპექტაკლი მხოლოდ სამ კვირაში დაიდგა. გერმანელი დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკი, დიდი ხანია, მეგობრობს ქართულ მუსიკალურ წრეებთან. გერმანიაში იგი საქართველოს კამერულ ორკესტრს დირიჟორობდა, თბილისში კი ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრებთან ერთად გამოვიდა. 2001-02 წლებში დირიჟორი თბილისში ფრანსუა ლოლუს სახელობის ჩასაბერ საკრავზე შემსრულებელთა კონკურსის ჟიურის წევრი იყო.

კერსენბროკს ძველ მუსიკასა და, განსაკუთრებით, ჰენდელის შემოქმედებაზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. 1999 წელს იგი ჰალეში ჰენდელის ფესტივალზე კომპოზიტორის სახელობის პრიზით დაჯილდოვდა. ზალცბურგის "მოცარტეუმის" დამთავრების შემდეგ ბაროკოს მუსიკას იგი ლონდონის უძველესი მუსიკის აკადემიაში ეუფლებოდა. მასტერკლასები გიულკესთან და გელმეტისთან გაიარა. ევროპაში გამოდიოდა ბადენ-ბადენის ფილარმონიის, ფრაიბურგის, ჰალეს აკადემიურ, სოფიის საფესტივალო ორკესტრებთან ერთად. ხელმძღვანელობდა რუმინეთის, უკრაინის, კანადისა და იტალიის ორკესტრებს. კერსენბროკის პროფესიონალიზმი "ამადიჩის" ახალ დადგმაში თავისებურად აისახა. მართალია, ახალგაზრდა მომღერლებს ურთულესი ტექნიკური პასაჟების შესრულება უხერხული მოძრაობებისა და მდგომარეობის დროს (რეჟისორმა ეროტიკული თუ სტრიპტიზის სცენების შესრულებისთვისაც "გაიმეტა" კლასიკურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი მომღერლები) უწევდათ, თუმცა რთულ ამოცანას მათ მაინც კარგად გაართვეს თავი: **"ძალიან ნიჭიერი სტუდენტები არიან,** – აღნიშნავს ვერენა ფონ კერსენბროკი, **- ასეთ მოკლე დროში ამ სპექტაკლის განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა, მათ რომ არ მოენდომებინათ. ჩვენ ყოველ დღე 8-საათიანი რეპეტიციები გვქონდა. სტუდენტები საკუთარ თავზე მუშაობას სახლშიც აგრძელებდნენ"**.

მუშაობის ახალ მეთოდებთან ზიარება სტუდენტებისთვის იოლი არ იყო. ეკა გაბიტაშვილს (მას საქართველოში პოპ-ჯგუფის "ენსის" (ყოფილი "სეთ") სოლისტობის გამოც იცნობენ) მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერებისა და საკუთარი ქალურობის გადალახვაც მოუხდა. **"ძნელია, იმღერო ასეთი მოძრაობის, მოქმედების დროს. თავიდან ძალიან მიჭირდა,** - აღნიშნავს ეკა გაბიტაშვილი, **– მაგრამ, ყველაზე ძნელი მამაკაცის - თანაც ჯარისკაცის, შესრულება იყო. რეჟისორთან ერთად ძალიან ბევრი მუშაობა დამჭირდა, რომ დამეძლია ქალური მოძრაობები, რომლებიც ხანდახან მეპარებოდა ხოლმე"**. არანაკლებ რთული იყო სადო-მაზოხისტურ პლანში გადაწყვეტილი მელისას სახის შესრულება თამარ სვანიძისთვისაც. ამ ახალგაზრდა მომღერლის გარდასახვა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ზაფხულში ამავე სტუდიაში ტრადიციის სრული დაცვით დადგმული "იოლანტას" შემდეგ, სადაც იგი მთავარ პარტიას – ბრმა იოლანტას ასრულებდა. მსმენელის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ნატალია ბოგდანოვამ და ნატა კიკნაძემ, რომელთა იუმორითა და ექსტრავაგანტულობით შეზავებულ სახეებს მუსიკალობაც არ აკლდა.

ახლებურ "ამადიჩის" საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა მაყურებლის მხრიდან. ტრადიციის ერთგულნი, "დამახინჯებული ჰენდელის" გამო უკმაყოფილებასა და პროტესტს ვერ ფარავდნენ; დანარჩენებმა კი რეჟისორის ორიგინალობა, ხოლო ახალგაზრდა მომღერლების სითამამე და არტისტიზმი დააფასეს.

დები კერსენბროკების საოპერო პროდუქციას 30 ოქტომბერს სტუდიის მეორე შემადგენლობა წარმოადგენს.

## მოკლედ

### "პინქფლოიდი" კედლებზე



პარიზის საგამოფენო ცენტრში, "მუსიკის ქალაქში" გაიხსნა უკანასკნელი ათწლეულის უდიდესი გამოფენა, რომელიც ლეგენდარულ ბრიტანულ ჯგუფს "პინქფლოიდს" მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილია უიშვიათესი ექსპონატები, მათ შორის ჯგუფის წევრების პირადი ნივთები, რომლებიც მუსიკოსებმა გამოფენის ორგანიზატორებს თავად გადასცეს.

ექსპოზიციაზე დამთვალიერებელი იხილავს რეზინის ნიღბებს, ჯგუფის წევრებს პირველ კონცერტებზე რომ ეკეთათ; ასევე გონგს, რომელიც მუსიკოსებმა პომპეიში გამართულ კონცერტზე გამოიყენეს. ექსპოზიციაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველაზე ცნობილი სიმღერების ხელნაწერებს. გამოფენილია "პინქფლოიდის" მუსიკოსების პირადი ინსტრუმენტები, ფოტოსურათები და ეპიზოდები ჯგუფისადმი მიძღვნილი ფილმებიდან. გამოფენა, რომელმაც ევროპაში საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, იანვრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

### "ბითლზის" პირველი კონცერტი DVD-ზე



შავ-თეთრი კინოფირი აშშ-ში "ბითლზის" პირველი კონცერტის ჩანაწერით DVD-ის ფორმატზე გამოიცემა. ლეგენდარული ოთხეულის პირველი ამერიკული კონცერტი 1964 წლის 11 თებერვალს ვაშინგტონის კოლიზეუმში გაიმართა. ფრაგმენტები ამ კონცერტებიდან დროდადრო გამოყენებული იყო ჯგუფის კლიპებსა და ფილმში "ბითლზის ანთოლოგია". ამიერიდან კი ლივერპულელი ოთხეულის თაყვანისმცემლებს საშუალება ექნებათ, კონცერტი მთლიანად იხილონ.

### Fatboy Slim ჰიპ-ჰოპს უბრუნდება

Fatboy Slim-მა დაასრულა მუშაობა ახალ ალბომზე. მიწვეული მუსიკოსების ამპლუაში ჩანაწერში მონაწილეობა მიიღო დეიმონ ელბარნმა (Blur-ის ვოკალისტი), ასევე, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილებმა - ბატსი კოლინსმა და ლატიფმა (ჯგუფიდან Blackalicious). "ეს ალბომი ძალიან განსხვავდება წინამორბედებისგან, რამდენადაც უკანასკნელ პერიოდში მუსიკა მკვეთრად განვითარდა. ჩანაწერში მივმართავ ექსპერიმენტებს და ვცდილობ, არ იყოს ისეთი ჟღერადობა, რითაც ცნობილია Fatboy Slim", - ამბობს ნორმან კუკი და ამატებს, რომ, ჰაუსის ნაცვლად, ახალ ჩანაწერში ის უფრო თავის ჰიპ-ჰოპურ საწყისებს უბრუნდება. ალბომს ჯერჯერობით არც სახელწოდება აქვს და არც მისი გამოსვლის თარიღია დაზუსტებული.

### კობეინი თეატრალურ სცენაზე



ნოემბერში მოსკოვის მაიაკოვსკის სახელობის თეატრში დაგეგმილია პრემიერა. იური გრიმოვის სპექტაკლში "ნირვანა", რომელიც 90-იანი წლების საკულტო სიეტლურ ჯგუფს ეძღვნება, გარდაცვლილი ვარსკვლავის კურტ კობეინის როლს რუსი მომღერალი ნაიკ ბორზოვი შეასრულებს. თავად მუსიკოსი დარწმუნებულია, რომ არ გაუჭირდება კობეინად გარდასახვა, რადგანაც მისი მუსიკა, ასე თუ ისე, ახლოს არის ამერიკელი როკ-ვარსკვლავის შემოქმედებასთან.

# გააღეთ გალია და გაათავისუფლეთ ჩიტები


"ველოსიპედისტი"

დალი კუპრავა

ჩიტები აფრინდნენ, გალიის კარი ღიაა... ნიჟარაც ღიაა და ნიჟარაში ქალს ძინავს, სასთუმალთან წითელი ვაშლი უდევს. წითელი იქნებოდა ის ვაშლიც, ოდესღაც ქალმა და კაცმა ერთად რომ შეჭამეს. კაცმა ვაშლი დატოვა. ქალი რომ გაიღვიძებს, ვაშლს ნახავს და გული დასწყდება, მაგრამ ნიჟარა ხომ ღიაა, ჩიტებიც ცაში აჭრილან და ამ ყველაფერს ცხოვრება ჰქვია; სიკვდილსაც სიცოცხლე ჰქვია.

ასე დავინახე მე ზურა რამიშვილის უკანასკნელი, ავადმყოფობის დროს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე შესრულებული ნახატი.

გამოფენა, რომელიც მხატვრის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების გალერეაში, მისტიკურად, ან თუ გნებავთ, ძალიან ბანალურადაც ასახავდა სიკვდილით გაცოცხლების შესაძლებლობას.

მხატვრის ნახატებმა, რომლებიც ზურა რამიშვილის ახლობლების და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების კოლექციებიდან შეიკრიბა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ, - "მხოლოდ ხელოვანს ვერ ეწევაო სიკვდილი". ნახატები ისევ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან და სიცოცხლეს გააგრძელებენ.

ზურა რამიშვილის ნახატების ერთი სიტყვით დახასიათებაც შეიძლება - ლამაზი:

ლამაზია სიხარული; ლამაზია სევდა; ლამაზია თავისუფლება; ლამაზია სიყვარულიც და სიკვდილიც - ლამაზი.

მხატვრისთვის მთავარი ხასიათია და მას სხვადასხვა, კლასიკური და არატრადიციული მასალის შეხამებით ქმნის და მნახველზე ზემოქმედებს. არსად არ არის სიხისტე - მხოლოდ ხაზის და ფერის სირბილე, ყველაზე მძაფრი ხასიათის გადმოსაცემადაც კი.

ერთი შეხედვით უკვე უსარგებლო ნივთებს სიცოცხლეს უბრუნებს - ყავლგასულ ვიოლინოს, გატეხილ ფინჯანს, მოძველებულ ნაქარგს... არაფერს არ იმეტებს სასიკვდილოდ და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

მუშაობისას მარტო ყოფნა ერჩივნა და ამ პროცესს მხოლოდ მეუღლეს ასწრებდა; ხატვა მას ასვენებდა, განტვირთავდა და ასე იყო ბოლო წუთამდე.

ახლა ზურა რამიშვილის სიცოცხლეს მისი ნახატები გააგრძელებენ.

# ბალეტი, მხატვრობა თუ ფეიერვერკი

თეონა ჯაფარიძე

*თბილისის ისტორიის მუზეუმსა და გალერეა "შარდენში" გუშინ ხალხმრავლობა იყო - პირველი კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიის აღსაზრდელებმა ბალეტების "კოპელიასა" და "ლურჯი ფრინველის" კოსტიუმები წარმოადგინეს. ჩვენებას გალერეა "შარდენში" საინტერესო გამოფენა მოჰყვა. ორივე გამოფენა მხატვარ ანა კალატოზიშვილის საბალეტო კოსტუმებსა და ესკიზებს უკავშირდება.*

**რა შეიძლება ყოველივე ამას დავარქვათ: ბალეტი, კოსტუმების ჩვენება თუ მხატვრობა?**

**მაკა მახარაძე:** - "ანკას ბრალია ეს ყველაფერი. ეს ისეთი კოსტიუმებია, რომ მხოლოდ სპექტაკლებით ვერ შემოიფარგლები. მოდი, ამ ყველაფერს ანა კალატოზიშვილის გამოფენა ვუწოდოთ."

ბალეტების – "კოპელიასა" და "ლურჯი ფრინველისათვის" შექმნილი ანა კალატოზიშვილის 150-მდე კოსტიუმი (არც ერთი შტრიხი არ მეორდება, რაც აშკარად, კოლოსალური შრომის შედეგია) თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიის პატარა ბალერინებმა ოპერის საბალეტო სივრციდან საგამოფენო სივრცეში გადმოიტანეს და შედეგად, მართლაც, ანა კალატოზიშვილის პერსონალური გამოფენა მივიღეთ. მაგრამ, თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) იარუსებიანი ფოიე, ერთი შეხედვით, მართლაც, მოგაგონებდათ თეატრის სივრცეს, მით უმეტეს, რომ ქარვასლის კიბეზე ჩამომავალი პატარა ბალერინები ამ განცდას თავიანთი არტისტულობით კიდევ უფრო გვიმძაფრებდნენ. "სტუდია, უკვე შვიდი წელია, არსებობს. ჩვენ პროფესიონალებს კი არა, უბრალოდ, ბალეტის გულშემატკივრებს ვზრდით," – ამბობს ქალბატონი მაკა. "ბალერინებს", რომელთა უმრავლესობა პარამეტრებით ნამდვილად არა, მაგრამ პლასტიკით ნამდვილი ბალერინებივით ჩამოდიოდნენ კიბეზე, ალბათ, ეს ჩვენება ისევე არ დაავიწყდებათ, როგორც ოპერის სცენაზე თავიანთი პირველი სპექტაკლი. მნახველებს კი ყოველი ახალი კოსტიუმის გამოჩენა ოვაციით ხვდებოდნენ.


მაკა მახარაძე და ახალგაზრდა მოდელი


პატარა ბალერინები


ანა კალატოზიშვილი

მაგრამ გამოფენის ეს ცოცხალი ნაწილი დასრულდა და დამთვალიერებლებმა იქვე, ახლოს, გალერეა "შარდენში" გადაინაცვლეს. საზოგადოება აქამდე მხოლოდ ანა კალატოზიშვილის თოჯინებსა და ალილაიებს იცნობდა. აქ კი ესკიზები, კოსტიუმები და მისი ნატიფი აპლიკაციები გამოიფინა. "მინდოდა, მეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება თავდაპირველი ესკიზი კოსტიუმად იქცეს. ამიტომ ერთიმეორის გვერდით გამოვფინე "ლურჯი ფრინველის" ესკიზებიც და კოსტიუმებიც. კოსტიუმები ოპერის თეატრისა და მოზარდმაყურებელთა თეატრის სახელოსნოებში შეიკერა და ვირტუოზულად ნამუშევრებია," – ამბობს მხატვარი.

**- როგორ მიხვედით ბალეტამდე?** - ვეკითხები ანა კალატოზიშვილს.

- თავის დროზე კოსტიუმები დრამატული თეატრებისთვის მქონდა გაკეთებული, მაგრამ ბალეტისათვის მათი შექმნა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა. საბალეტო კოსტიუმი უფრო მოხერხებული უნდა იყოს, რომ იცეკვო. ამ სირთულის დაძლევაში ქორეოგრაფი თამარ ვაჩეიშვილი დამეხმარა. კოსტიუმები "კოპელიასთვის" საბალეტო ჟანრში ჩემი პირველი ნამუშევარია - სულ სხვა სამყაროა, რომელიც ძალიან მომეწონა და, ალბათ, კიდევ ვიმუშავებ ამ ჟანრში.

## მოკლედ

### ამერიკაში ალფრედ ნობელს ძეგლი დაუდგეს

ნიუ იორკში ალფრედ ნობელის სახელის უკვდავსაყოფად და იმ 271 ამერიკელის აღიარებისათვის, რომლებსაც თავის დროზე ეს პრესტიჟული პრემია მიანიჭეს, მემორიალური ძეგლი დაიდგა. წითელი მარმარილოს სვეტი მანჰეტენის ცენტრში, თეოდორ რუზველტის პარკში აღიმართა. მემორიალის გახსნაზე ცერემონიალში მონაწილე ნორვეგიის ტახტის მემკვიდრემ პრინცმა ხოკონამ განაცხადა: "თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლება და დემოკრატია დამუქრებებით ვითარდება. დღეს განსაკუთრებულად უნდა გვახსოვდეს კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის იდეები, ალფრედ ნობელს რომ სწამდა".

შვედმა სკულპტორმა სივერტ ლინდბლომმა მომავალი ამერიკელი ნობელიანტების გვარებისათვის ძეგლზე თავისუფალი ადგილი დატოვა. მომავალში სვეტზე იმ ამერიკელების გვარები დაემატება, რომლებიც ნობელის პრემიას დაიმსახურებენ.

### ლენონი ბროდვეიზე



ბროდვეის პროდიუსერები აცხადებენ, რომ იოკო ონომ მათ ნება დართო, ჯონ ლენონის სიმღერებზე დაყრდნობით, მიუზიკლი დადგან. ჯერჯერობით მიუზიკლის პირობითი სათაური "ლენონის პროექტია".

ავტორები შეეცდებიან, 1960-70-იანი წლების ფასეულობები და სულისკვეთება ყოფილი "ბითლზის" ჰანგებით გადმოსცენ. ლენონის 200-ზე მეტი კომპოზიციიდან ისინი 30-მდე სიმღერას აირჩევენ. ამასთან დაკავშირებით, იოკო ონო აცხადებს: "სცენაზე აუცილებლად უნდა გადავიტანოთ ჯონის მთავარი მოწოდება – Gimme Some Truth (მჭირდება სიმართლე). ხალხს კვლავაც უნდა განვაცდევინოთ ის მხნეობა, შთაგონება, ხალისი, რასაც მათ ლენონი ანიჭებდა. ეს მიუზიკლი უნდა იყოს იმის გარანტი, რომ ჯონის სახელის შეხსენების შემდეგ მათ იმედი და თვითრწმენა დაუბრუნდებათ".

მიუზიკლი 2004-05 წლების სეზონისთვის დასრულდება. მასზე იმუშავებენ ედგარ ლენსბერი და ჯონ სკარდინო. სცენარს ერიკ ოვერმეიერი დაწერს.

სხვათა შორის, "ლენონის პროექტი" ერთი კონკრეტული მუსიკოსისადმი მიძღვნილი ბროდვეის ერთადერთი მიუზიკლი არ გახლავთ: ძალზე პოპულარული "მამა მია", Abba-ს სიმღერებზე გახლავთ დაფუძნებული, "ტონის" მფლობელი როკ-ბალეტი Movin' Out კი – ბილი ჯოელის მელოდიებზე. ეს სეზონიც ბროდვეიზე მსგავსი ხასიათის მუზიკლით იხსნება – შოუ The Boy from Oz კაბარეს ავსტრალიელ მომღერალს – პიტერ ალენს ეძღვნება.

### ლუჩანო პავაროტი თაყვანისმცემლებს სამუდამოდ ემშვიდობება

მსოფლიოში ცნობილი იტალიელი ტენორი ლუჩანო პავაროტი ლათინოამერიკელ მსმენელს გამოემშვიდობა. გამოსამშვიდობებელი კონცერტის გასამართად ქალაქ მეხიკალთან უდაბნო შეარჩიეს.

ადგილზე, რომელიც "ლაგუნა სალადას" სახელწოდებითაა ცნობილი, სპეციალური სცენა აღიმართა და ინფრასტრუქტურა მომზადდა. კონცერტს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო. მზის ჩასვლისთანავე უდაბნოში ოპერის ვარსკვლავის ხავერდოვანი ხმა გაისმა. მაესტრო ბავშვთა გუნდთან ერთად, კალიფორნიის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით მღეროდა.

"კონცერტი საზღვრების გარეშე" ლუჩანო პავაროტის უკანასკნელი მსოფლიო ტურნეს ფარგლებში გაიმართა. 2005 წლის 12 ოქტომბერს, საკუთარ დაბადების დღეზე, როდესაც მას 70 წელი შეუსრულდება, ლუჩანო პავაროტი მსოფლიო ტურნეს დაასრულებს და სამუდამოდ დატოვებს სცენას.

# დისნეი: ახდენილი ოცნება №...

## ფოლადის რაფსოდია საოფისე ზღვაში

თამარ ბაბუაძე

ჩემი თაობის ბავშვებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ "მზიური" ქართული "დისნეილენდი" გახდებოდა. თავბრუდამხვევი სიჩქარისა და თავგადასავლების სულ პაწაწკინტელა იმედს მაშინ ერთი (ბოლომდე მშენებარედ დარჩენილი) ატრაქციონი გვაძლევდა...

ახლანდელი თაობის ბავშვები ნაგვით სავსე პარკებში იზრდებიან და, ცხადია, მათი "დისნეილენდად" ქცევის ილუზიით ჩვენსავით აღარ იტყუებენ თავს. დაჟანგული "ეშმაკის ბორბლების" სინამდვილეში ისინი ვირტუალური ბავშვობით "ბავშვობენ" – ვიდეოთამაშებითა და "ნიკოლოდეონის" არხით.

მე კი კიდევ ერთხელ დავბრუნდებოდი ლოს ანჯელესში (საიდანაც ერთხელ "დისნეილენდში", იმ ჩემი ძველი ფანტაზიის ხათრით, საგანგებოდ ჩავედი და ყველა იმ ატრაქციონით გავერთე, რაზეც ბავშვობაში ვოცნებობდი). უკან, ლოს ანჯელესში ჩემი დაბრუნების მიზეზი კვლავაც "დისნეი" იქნებოდა, ოღონდ ამჯერად არა მიკი მაუსისა და დონალდ დაკის, არამედ ახალი მუსიკალური ცენტრის გამო, რომელიც ლოს ანჯელესის ცენტრში ახლახან გახსნეს.

ალბათ, ამ ვოიაჟში ბევრი მუსიკოსიცა და არქიტექტორიც დამემგზავრებოდა – უოლტ დისნეის საკონცერტო ჰოლი ხომ მსოფლიოში უნიკალურ დარბაზს შეიცავს, თვითონ კი მთლიანად არქიტექტურულ შედევრს წარმოადგენს. რაც მთავარია, ის სულ ახალია და თავის პირველ კონცერტს ამ კვირაში მასპინძლობს.

"მოისმინეთ მრავალფეროვანი მუსიკალური ნაწარმოებები საუკუნეების ცვალებადობით (ბახიდან სტრავინსკიმდე); დააგემოვნეთ დარბაზის აკუსტიკა სოლო ვოკალური შესრულებითა და სიმფონიური ორკესტრის გამოსვლით", - წავიკითხე 23 ოქტომბრისთვის დაგეგმილი საპრეზენტაციო საღამოს პროგრამაში და მაშინვე გამახსენდა ლიკანის, თითქმის, დანგრეული კომპოზიტორთა სახლის უნიკალური დარბაზი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში დადუმებულია – "ხელოვნების ზეიმით" ათდღიან გამოცოცხლებას თუ არ ჩავთვლით; და ვახტანგ ჭაბუკიანის ასევე უნიკალური ქორეოგრაფიული დარბაზი, რომელიც ძლივს გადაურჩა შემთხვევით პატრონებს...

გამახსენდა ეს ყველაფერი და უცებ გადავწყვიტე: სანამ ძალიან ცუდ გუნებაზე დავმდგარვარ, ჯობს, ბავშვების ახლანდელ თაობას მივბაძო, არასასურველ რეალობას – ვერის ვიწრო ქუჩებზე ჩამომხობილი, მშენებარე მრავალსართულიანების თამადობით – ვირტუალურად მაინც მოვშორდე-მეთქი და ასე გავწიე ინტერნეტისკენ – არქიტექტორ ფრენკ გერის მორიგი შედევრის, დისნეის საკონცერტო ჰოლის დასათვალიერებლად. ვისაც გაინტერესებთ ეს საოცარი ნაგებობა, დამემგზავრეთ, დანარჩენებს კი აქვე დაგემშვიდობებით:



*ლოს ანჯელესის ახალი ღირსშესანიშნაობა*

უოლტ დისნეის საკონცერტო ჰოლი ლოს ანჯელესის ფილარმონიის ორკესტრის ახალი სახლია. 1988 წელს კომპანია "დისნეიმ" პროექტის მთავარ არქიტექტორად ფრენკ გერი – ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმის ავტორი აირჩია. მშენებლობა უოლტ დისნეის ქვრივის ლილიან დისნეის პირველი გრანტით (50 მილიონი დოლარით) დაიწყო და სხვადასხვა დონორისგან შეწირული თანხებით გაგრძელდა. საბოლოო ჯამში, 15-წლიანი მშენებლობა 270 მილიონი დოლარი დაჯდა.

ასე რომ, განხორციელდა დისნეის ქვრივის სურვილი – ლოს ანჯელესს დისნეის იმპერიისგან უნიკალური მუსიკალური დარბაზი გადაეცა საჩუქრად, რომელიც დიდი უოლტის ხელოვნებისადმი სიყვარულის სიმბოლოც გახლავთ.

პრეზენტაციისთანავე დისნეის საკონცერტო ჰოლი, ორი თვალსაზრისის გათვალისწინებით, შედევრად იქცა – არქიტექტურული და მუსიკალური. სწორედ ამიტომ, "ლოს ანჯელეს ტაიმსის" მიმომხილველმა მას ძალზე მოსწრებულად "ფოლადის რაფსოდია" შეარქვა:

**არქიტექტურა:** გერის საკონცერტო ჰოლი ლოს ანჯელესის არქიტექტურისგან რადიკალურად განსხვავდება. თვითონ ცენტრი მზეზე აელვარებული მინისა და მეტალის ცივ ზღვას ჰგავს, სადაც ტალღებად საოფისე, საქმიანი განწყობა ღელავს, თანაც ღელავს ცაში – ქუჩა ხომ ცათამბჯენებითაა სავსე.

ამ ფონზე გერის შენობა "ქინდერ სიურპრიზის" როლს თამაშობს – ცათამბჯენების ზღვაში მოულოდნელად აღმოჩენილი შენობის აღსაქმელად ფეხით მოსიარულეს მზერის მეასე სართულამდე დაძაბვა არ სჭირდება. ის იქვეა, მიწაზე და თანაც - მიწიდანვე ლამაზი და უცნაური.

"შენობა, ლოს ანჯელესის ურბანული ლანდშაფტის ფონზე, მოძრავ ქანდაკებას უფრო ჰგავსო", - ამიტომაც ასკვნიან სპეციალისტები და გულისხმობენ შენობის აბსტრაქტულ გეომეტრიულ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ბუნებრივად უერთდება და ფრინველის ორ გაშლილ ფრთას ჰგავს; და მასალას – უჟანგავი ფოლადის გიგანტურ დაფებს, რომლებზეც დღის განმავლობაში მზის სხივები "თამაშობენ", ღამით კი ნეონის შუქები "ერთობიან". ეს 24-საათიანი განათება კი კიდევ უფრო აძლიერებს ასოციაციას, რომ, თითქოს, სადაცაა შენობა ფრთებს გაშლის და გაფრინდება.

ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დისნეის ცენტრში ამუშავდება ასკაციანი რესტორანი, უზარმაზარი კაფე, 250-ადგილიანი ბარი კოქტეილ-საღამოებისთვის. მთავარი საკონცერტო დარბაზის გარდა, შენობას ამშვენებს სახურავში გაშენებული ბაღი, ღია ამფითეატრი და საგუნდო მუსიკის დარბაზი.

**აკუსტიკა:** 2.265-ადგილიანი საკონცერტო დარბაზიც საოცრებაა. უფრო ზუსტად, როგორც ექსპერტები უწოდებენ – "საოცრება საოცრების შიგნით". ეს ორღანის ფორმის არენა გერიმ ორღანების ლოს ანჯელესელი დიზაინერის მანუელ როზალესის კონსულტაციებით შექმნა.

არქიტექტორი დიდხანს უთანხმდებოდა სპეციალისტებს, კერძოდ კი, "ნაგაკა აკუსტიკსის" წარმომადგენლებს დარბაზის სრულყოფილი აკუსტიკის შესაქმნელად და, როგორც ჩანს, მიზანს მიაღწია კიდეც. შენობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: "ეს დარბაზი, აკუსტიკის თვალსაზრისით, ყველაზე კომპლექსური სტრუქტურისაა. იქ მუსიკის მოსმენას დღემდე მიღებულ ვერც ერთ შთაბეჭდილებას ვერ შეადარებთ". ერთ-ერთი ჟურნალისტი კი დარბაზის შესახებ წერს: "ცხადია, დისნეის ცენტრის შესაძლებლობები მაყურებელმა თავად უნდა შეაფასოს. თუმცა, ის, რაც მე შემემთხვა, ამ გამოცდის ფრიადზე დასრულების წინაპირობა გახლავთ: "რეპეტიციის დროს ბალკონზე ვიჯექი, ცენტრალური სცენიდან, დაახლოებით, 50 იარდში, სადაც ორკესტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დებორა ბორდა მუსიკოსებს შენიშვნებს აძლევდა. ის ლაპარაკობდა მშვიდად, თითქმის, ჩურჩულით, მაგრამ მისი სიტყვები ისე გარკვევით მესმოდა, თითქოს, ჩემს გვერდით სავარძელში მჯდარიყოს".

**ავტორი:** ერთი სიტყვით, ლოს ანჯელესი გერის ქმნილებით აღფრთოვანებულია. თუმცა, 15-წლიანი მშენებლობის ეპოპეა დიდი ნერვიულობითაც გამოირჩეოდა. 1988 წელს ფრენკ გერის ლოს ანჯელესში კარგად არ იცნობდნენ, ამიტომ სპონსორთა ნაწილი მისი პროექტიდან მოხსნას ითხოვდა. ერთხანს სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ გერიმ, საერთოდ, ლოს ანჯელესიდან გადასახლებაც კი გადაწყვიტა. მაგრამ, დისნეის ოჯახის წევრებმა თავიანთი ფავორიტი არქიტექტორი კბილებით დაიცვეს და გერი არსად არ გაუშვეს. მალევე მან პრიცკერის პრიზი მოიპოვა (ამ ჯილდოს ხშირად აქტიტექტურულ ნობელად მოიხსენიებენ) და გუგენჰაიმის მუზეუმის მშენებლობაც დაიწყო. ეს პროექტი კი ისეთი პოპულარული გახდა, რომ მისი ფოტოები მსოფლიო პრესაში 1997 წლამდე – გახსნის დღემდეც ხშირად ჩნდებოდა. ასე მოიპოვა გერიმ ლოს ანჯელესელთა ნდობა, რომელიც მან 100 პროცენტით გაამართლა.

ასე რომ, 23 ოქტომბერს ლოს ანჯელესი, კომპანია "დისნეი" და ამაყი ფრენკ გერი ახალ მუსიკალურ ეპოპეას იწყებენ... ჩვენ კი, ალბათ, დროა, "ჯორჯია ონლაინს" დავემშვიდობოთ, ინტერნეტ-კავშირი გავწყვიტოთ და ისევ ჟანგიანი "ეშმაკის ბორბლების" რეალობას დავუბრუნდეთ, რომელსაც სხვადასხვა კულტურული ღონისძიება მხოლოდ ხანდახან, ფრაგმენტულად თუ ამრავალფეროვნებს ხოლმე; და რომელსაც, ძირითადად, მაინც არჩევნების მოლოდინი "ახალისებს".



*უნიკალური საკონცერტო დარბაზი ორღანის ფორმით*



*დისნეის საკონცერტო ჰოლი დღის შუქზე*



*დირიჟორი ესა-პეკა სალონენი და არქიტექტორი ფრენკ გერი რეპეტიციაზე მიიჩქარიან*





# თეატრი ტუალეტში

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

თეატრალური ავანგარდი, როგორც ნებისმიერ ავანგარდს შეეფერება, შეტევაზე გადადის. ის მთელი ფრონტით უტევს და დაუნდობლად ანგრევს ძველ კანონებს. აქამდე ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ თეატრი გასახდელით იწყება. მაგრამ, ამერიკელმა დრამატურგმა ბობ ევანსმა ეს ჭეშმარიტება უარყო. ის ამტკიცებს, რომ თეატრი ტუალეტში იწყება და მთავრდება!

თავისი თეორიული პოსტულატები ევანსმა უკვე პრაქტიკულად განახორციელა. მან ამომწურავი სახელწოდების მქონე პიესა "ფეხსალაგი" ფეხსალაგში დადგა. აბა, სად უნდა დაედგა? საზოგადოებრივი ტუალეტია, მერითაიმ ჰილზე, სან ფრანცისკოში. კრიტიკოსები ცხვირს სულაც არ იბზუებენ, რადგან მისი ნოვატორული სული შეიგრძნეს და აღიარეს. საზოგადოებაც ძალიან მიილტვის სპექტაკლის სანახავად, თუმცა მასზე მოხვედრა ყველას არ შეუძლია. საქმე ისაა, რომ მერითაიმ ჰილის საზოგადოებრივი საპირფარეშო, დიდი-დიდი, ოც ადამიანს იტევს. მაგრამ, ერთის მხრივ, ეს ძალიან კარგია. ამ გარემოების წყალობით, ბილეთის ფასების გაზრდა მოხერხდა. სნობები და გურმანები - თეატრალები - ამ "ექსკლუზიური" სანახაობისთვის არაფერს იშურებენ.

რის შესახებაა ეს სპექტაკლი?



*ტუალეტი მრავალფუნქციური დანიშნულებით*

ის ფილოსოფიურია. ვიღაც თავგადაკლული თეატრალი, რომელიც შექსპირის "მეფე ლირზეა" მისული (ამას მისი სიტყვებიდან ვიგებთ), შესვენების დროს საპირფარეშოში გადის და იქ სიკვდილს ხვდება. ჯერ – ცელიანს, შემდეგ კი – ბიოლოგიურს. თავისი პიესის თემის შესახებ საუბრისას დრამატურგმა ევანსმა გაზეთ "სან ფრანცისკო ქრონიკლისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა: "გარდაცვალება ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს შეიძლება" - მართალია, ვერ შეედავები.

"ფეხსალაგი" უანტრაქტო დადგმაა. ამიტომ აფიშაში საგანგებოდა ცხადდება, რომ თუკი მაყურებელს სპექტაკლის მსვლელობის დროს ძალიან გაუჭირდა, შეუძლია, სპეციფიკური მაყურებელთა დარბაზი პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენოს. ზოგიერთი მაყურებელი ასეც იქცევა. და ეს ბუნებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა ექსპრომტად, წარმოდგენაში ძალიან ბუნებრივად ჯდება. მართალია, სიკვდილს ჯერ არავინ შეხვედრია.

აი, დავწერე "ფეხსალაგის" ამბავი და უცებ შემეშინდა. ვაიდა, ჩვენმა თეატრალურმა ავანგარდისტებმაც აიტაცონ სან ფრანცისკოელი ავანგარდისტების ნოვაციები? სან ფრანცისკოს საზოგადოებრივი ტუალეტი ხომ სხვაა და ჩვენი საზოგადოებრივი ტუალეტი - სულ სხვა...

ფორმულა 1

# წავა - არ წავა, საკითხავი აი, ეს არის



შუმახერი ფორმულა 1-დან წასვლას არ აპირებს

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, "ფერარის" გერმანელ პილოტს, მიხაელ შუმახერს, არ სურს სამეფო რბოლებიდან წასვლა, რადგან, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, რა უნდა აკეთოს კარიერის დასრულების შემდეგ. მეტიც: მათი ვარაუდით, შუმახერს, უბრალოდ, ეშინია სპორტის გარეშე ცხოვრების. ამაში უფრო დავრწმუნდებით, თუ თავად ჩემპიონს მოვუსმენთ:

"არის ერთი კითხვა, რომლის მოსმენაც აღარ შემიძლია... "მიხაელ, ახლა თქვენ ექვსგზის ჩემპიონი ბრძანდებით. მიატოვებთ ფორმულა 1-ს?" – არ ვიცი, ეს კიდევ რამდენჯერ უნდა გავიმეორო. მეც ვპასუხობ და ვპასუხობ: "არა. მე არ წავალ. რატომ უნდა წავიდე?

მე არც რეკორდებისთვის დავქრივარ და არც სტატისტიკისთვის. მე მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და გუნდისთვის დავაქროლებ მანქანას. თანაც, ჯერ კიდევ არ მომბეზრებია ეს ყველაფერი. "ფერარის" ოჯახიც მხიბლავს. ჩემი ვნება წითელი მანქანის მიმართ უსაზღვროა. ამიტომაც არაფრის შეცვლას არ ვაპირებ.

იტალიურ საჯინიბოსთან დადებულ კონტრაქტს სამი წლის შემდეგ გასდის ვადა. ასე რომ, ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ, რატომ უნდა წავიდე დროზე ადრე. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, სახლში რითი შევიქციო თავი. გარდა ამისა, ბინაში ჯერ კიდევ არის ადგილი ტიტულებისთვის. სრულიად სერიოზულად ვაცხადებ: არ ვიცი, როდის გავიხდი სარბოლო კომბინეზონს. არ ვიცი, მომინდება თუ არა, ეს ახლო მომავალში გავაკეთო. თუმცა, როცა წავალ, ცხოვრებაში ბევრ რამეს შევცვლი. საერთოდ, არაფერს გავაკეთებ. უბრალოდ, დავტკბები იმით, რომ არ მექნება არანაირი საქმიანი შეხვედრები. არ მეცოდინება, თუ რას გავაკეთებ მარტის დასაწყისში ან აგვისტოს მიწურულს. ერთადერთი, რაც ახლავე შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, ეს არის: ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერის სახელის მქონე საჯინიბოს შეფობას ვერ ნახავთ. როდესაც ჩვენს შეფს, ჟან ტოდტს ვუყურებ, მიკვირს, საიდან აქვს ამდენი ენერგია. ის ყოველდღე ესაუბრება ჩვენს ინჟინრებს, მუდმივად დასაქმებულია. ამისთვის კი უდიდესი ენერგია და მოტივაციაა საჭირო.

არადა, ერთხელ ჩემს მეუღლეს შევპირდი, რომ კარიერის დასრულების შემდეგ საჯინიბოს უბრალო მფლობელი გავხდებოდი".

ფეხბურთი

# ლიდერთა ორდინარული სინქრონი

მიხეილ აბაიშვილი

17, 18 და 19 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სადებიუტო ტურის თამაშები.

ცენტრალური მატჩები მცხეთაში და თბილისში შედგა.

"მცხეთამ" თბილისის "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. მცხეთის გუნდმა, რომელიც წლეულს შემოიჭრა საქართველოს 12 საუკეთესო გუნდში, პირველი ეტაპის პირველ წრეში უკვე დაამარცხა ისეთი ავტორიტეტები, როგორებიცაა თბილისის "დინამო", ქუთაისის "ტორპედო" და თბილისის "ლოკომოტივი".

ამიტომაც მასპინძლები ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ვიტ ჯორჯიასთან", ფავორიტად თუ არა, აუტსაიდერად ნამდვილად არ მიიჩნეოდნენ. ვეტერინარულმა გუნდმა არათუ დამაჯერებლად, დიდი ანგარიშით დაამარცხა ავტორიტეტთა ძლევაში დახელოვნებული მეტოქე. სტუმრებმა 4 გოლი გაუტანეს "მცხეთას", საკუთარ კარში კი მხოლოდ ერთი მიიღეს, 25 ქულა დააგროვეს და პირველი წრის მიწურულს ლიდერის პოზიცია ერთი დღით დაიბრუნეს.

მეორე დღეს, 19 ოქტომბერს, "ლოკომოტივის" სტადიონმა ჩემპიონატის, ალბათ, მთავარი ფავორიტის "დინამოსა" და "სპარტაკი-ლაზიკას" მატჩს უმასპინძლა. ივო შუშაკს, მართლაც, მისალოცად ჰქონდა საქმე. ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ ოთარ ხიზანეიშვილი და გიორგი ანჩაბაძე, რომელთა არყოფნა საქართველოს ჩემპიონს პირველი ეტაპის პირველი წრის შეხვედრებში მტკივნეულად დაეტყო.

ოპტიმალური შემადგენლობით შეკრებილი "დინამოს" დამარცხება საქართველოს ჩემპიონატში ძალიან ძნელია და იშვიათად ხდება. ახლაც შუშაკის გუნდი დებიუტშივე შეუდგა საქმეს და უკვე მე-7 წუთზე რატი ალექსიძემ ანგარიში გახსნა. ნომინალურმა მასპინძლებმა ისღა მოახერხეს, რომ ტაიმის დარჩენილ წუთებში "მშრალად" შეინახეს საკუთარი კარი, რაც ნამდვილად არ იყო იოლი. თუმცა, მატჩის მეორე ნახევარში ჯერ დარასელიამ მისთვის დამახასიათებელი უძლიერესი შორეული დარტყმით გაზარდა ანგარიშში სხვაობა, ხოლო 78-ე წუთზე სანდრო იაშვილმა საქართველოს ჩემპიონატში თავის სადებიუტო გოლით საბოლოო სახე მისცა ანგარიშს. "დინამომ" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში ერთი დღით დაკარგული პირველი პოზიცია დაიბრუნა.

**მე-12 ტური**

*17 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| დილა – კოლხეთი | 0:0 |

*18 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| მცხეთა – ვიტ ჯორჯია | 1:4 |
| ბათუმი – ტორპედო | 4:0 |
| თბილისი - მერცხალი | 3:1 |

*19 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| სპარტაკი – დინამო | 0:3 |
| სიონი – ლოკომოტივი | 3:1 |

12 ტურის შემდეგ "დინამოს" 26 ქულა აქვს. მას ქულით ჩამორჩება "ვიტ ჯორჯია". მესამე ადგილზე მყოფ გორის "დილას" 23 ქულა დაუგროვდა.

# კუპერი "ინტერიდან" გააძევეს

იტალიურმა გაზეთმა "Gazzetta dello Sport"-მა ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ განაცხადა, რომ ექტორ რაულ კუპერის სკამი შეირყა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც "ინტერმა" რიგით 256-ე ქალაქური დერბი წააგო "მილანთან" (1:3). გაზეთის წინასწარმეტყველება ახდა: გუშინ, დილით, "ინტერის" ხელმძღვანელობამ კუპერის გადაყენების შესახებ განაცხადა. რამდენიმე საათში მწვრთნელის პოსტზე მისი შემცვლელის ვინაობაც დაასახელეს – ალბერტო ძაკერონი. "ინტერის" პრეზიდენტის მასიმო მორატის მოთმინების ფიალა შაბათს, "ბრეშასთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ აივსო. კუპერის გუნდი ბრეშაში ფრეს (2:2) დასჯერდა, თანაც, არგენტინელი მწვრთნელი შედეგით კმაყოფილებას არ მალავდა.

იტალიის 13-გზის ჩემპიონის მწვრთნელად კუპერი 2001/2002 წლების სეზონის წინ დაინიშნა. გულშემატკივარმა და პრესამ ესპანური "ვალენსიას" ყოფილი თავკაცი თავიდანვე დიდი ზეწოლის ქვეშ მოაქცია. პრეზიდენტმა მორატიმ კი დაუყოვნებლივ ჩემპიონობა მოსთხოვა. თუმცა, კუპერმა ამ მოთხოვნის შესრულება ორი სეზონის განმავლობაში ვერ მოახერხა. 48 წლის მწვრთნელზე ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა. "მილანთან"



კუპერი უსამსახუროდ დარჩა

განცდილმა მარცხმა და "ბრეშასთან" ძლივს მიღწეულმა ფრემ კუპერის კარიერას "ინტერში" წერტილი დაუსვა.

ამ სეზონში ჩატარებული 6 ტურის შემდეგ მილანის "ინტერი" 7 ქულით ჩამორჩება იტალიის ჩემპიონატის ლიდერს "იუვენტუსს", ეს კი მიუღებელია მორატისთვის. ალბერტო ძაკერონის მძიმე მისია ეკისრება, ჩემპიონობას მასაც მოსთხოვენ.

"უდინეზეს" ყოფილი მწვრთნელი ძაკერონი 1999 წელს "მილანში" გადაბარგდა და კლუბს იტალიის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. 2001 წელს, ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხის შემდეგ, "მილანმა" ძაკერონი დაითხოვა. ამის შემდეგ ის რომის "ლაციოს" ჩაუდგა სათავეში, თუმცა, ძაკერონის "რომაული არდადეგები" ხანმოკლე და წარუმატებელი აღმოჩნდა. მას შემდეგ ის უმუშევარი იყო.

მილანის "ინტერის" ახალი მწვრთნელი სამსახურს ოთხშაბათიდან შეუდგება. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს კონტრაქტის პირობებზე. ოთხშაბათს კი "ინტერი" მოსკოვის "ლოკომოტივს" შეხვდება ჩემპიონთა ლიგაში. ამ მატჩში გუნდს უხელმძღვანელებს კუპერის თანაშემწე კორადო ვერდელი, შემდეგ კი ძაკერონი ჩაერთვება საქმეში.

მძლეოსნობა

# ფრედერიქსმა უკანასკნელად გაირბინა

მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სახელოვანი მორბენალი, ნამიბიელი ფრენკი ფრედერიქსი სპორტულ კარიერას ამთავრებს. 26 წლის მორბენალმა, რომელმაც სამჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის ტიტული, განაცხადა, რომ ამიერიდან შეჯიბრებებში მონაწილეობას აღარ მიიღებს, მაგრამ სპორტიდან წასვლას არ აპირებს. ფრედერიქსი სხვა რამემ გაიტაცა: მან გადაწყვიტა, ღარიბი ქვეყნების ბავშვებს დაეხმაროს და სპორტში თვითრეალიზაციის საშუალება მისცეს.

"ვფიქრობ, მწვრთნელობაში ვცადო ძალა. ვაპირებ, აფრიკის ქვეყნები შემოვიარო და ჩემი გამოცდილება ბავშვებსა და ახალგაზრდა სპორტსმენებს გავუზიარო", - განაცხადა ფრედერიქსმა, რომლის უკანასკნელი მიღწევა სრულიად აფრიკულ თამაშებზე 200 მეტრ დისტანციაზე სირბილში მეორე ადგილია.

ფრენკი ფრედერიქსმა სპორტული კარიერა 1980 წელს დაიწყო. 1990 წელს ის იყო ამერიკელი მაიკლ ჯონსონის უმთავრესი კონკურენტი, რომელიც, თავის მხრივ, 200 მეტრ დისტანციაზე საუკეთესო იყო.

ფრენკი ფრედერიქსის მიღწევები საკმაოდ შთამბეჭდავია. მსოფლიო ჩემპიონატებზე მან ოთხი მედალი მოიპოვა. ოთხჯერ გამოიჩინა თავი სრულიად აფრიკულ თამაშებზე, ერთხელ – მსოფლიო ჩემპიონატზე დახურულ დარბაზში და ოთხჯერ – აფრიკის ჩემპიონატზე.

რაგბი

# ვა`ა, ეს ვინ ყოფილა

**საქართველო - სამოა 9:46**

კლოდ სორელმა ჯერ კიდევ სამოასთან მატჩამდე განაცხადა, ოკეანელთა წინააღმდეგ შერკინება თუ გვიშველის, სხვაგვარად შანსი არა გვაქვსო. მუსიე კლოდი გულისხმობდა სამოელთა ფეხმარდ გარემარბებს, რომლებმაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე ურუგვაისთან მატჩის დროს დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. სწორედ სამმეოთხედელებმა დაალელოვეს 10-ჯერ ურუგვაი და სწორედ მათი მეცადინეობის შედეგია, რომ საქართველოს ნაკრებმა გუშინ ექვსი ლელო გაუშვა.

სამოას, მართლაც, ძალიან სწრაფი და გამოცდილი ხაზი ჰყავს. ხოლო მათმა 9 და 10-მა ნომრებმა სტეივენ სო`ოიალომ და ერლი ვა`ამ აშკარად აჯობეს თავის ქართველ ვიზავის, ირაკლი აბუსერიძესა და პალიკო ჯიმშელაძეს. ამის გამო სორელი იძულებული გახდა, ირაკლი აბუსერიძე მერაბ კვირიკაშვილით შეეცვალა, მაგრამ სამოამ ამ დროს უკვე მიაგნო თავის საყვარელ, გაშლილ თამაშს, რომელშიც ბადალი არ ჰყავს. ამდენად, ყველა ცვლილება, რომელიც მუსიე კლოდმა განახორციელა, ამაო აღმოჩნდა.

ქართველებმა ვერ მოახერხეს, უპირატესობა შერკინებაში მოეპოვებინათ, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, სამოას გუნდი შერკინებაშიც ძლიერი აღმოჩნდა და ორი ლელო სწორედ მისი გარჯის შედეგად მივიღეთ. კლოდ სორელის ვარაუდი, რომ შერკინება ჩვენი კოზირი იქნებოდა, არ გამართლდა. და რაკი არ გამართლდა, სამოას წინაშე, ფაქტობრივად, უიარაღოდ დავრჩით.

სამოამ შეძლო, გამოუცდელი ქართველებისთვის თამაშის საკუთარი სტილი მოეხვია თავს, - ამბობენ ავსტრალიელი მიმომხილველები. სტევენ სო`ოიალო და ერლი ვა`ა ციბრუტივით ტრიალებდნენ ბორჯღალოსანთა ნახევრის 22-მეტრიან მონაკვეთში. სწრაფად ანაწილებდნენ ბურთს და ამიტომაც იყო, რომ ქართველებს ძალიან უჭირდათ მათი მოქმედების არეალის შეზღუდვა და, აქედან გამომდინარე, შეჩერება.



REUTERS

ბესიკ ხამაშურიძე სამოელების გარემოცვაში

